ენერგეტიკული პროექტების განსახორციელებლად დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმები და შეთანხმებები

სამართლებრივი ანალიზი

თბილისი, 2012 წ. დეკემბერი

პუბლიკაცია მომზადებულია მწვანე ალტერნატივას პროექტის „ადგილობრივი თემების გაძლიერება იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) ფარგლებში. ამ პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს ავტორის მოსაზრებებს, გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2012

ავტორი: მერაბ ბარბაქაძე
ასევე წვლილი შეიტანა ქეთი გუჯარაიძემ

რედაქტირება: ქეთი გუჯარაიძე

ფოტოები ყდაზე: სტეფანე წიკლაური (2011),
მწვანე ალტერნატივა (2012)

ს ა რ ჩ ე ვ ი

რეზიუმე ---------- 2
შესავალი ---------- 4
1. საქართველოს მთავრობასა და ინვესტორებს შორის ენერგეტიკული პროექტების განსახორციელების თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმების დადების სამართლებრივი საფუძვლები ---------- 5
1.1 მემორანდუმის ცნება და მისი სამართლებრივი საფუძვლები ---------- 5
1.2 საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის #107 დადგენილება ---------- 5
1.3 107-ე დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ძირითადი მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები ------ 6
1.4 სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი ---------- 9
1.5 ინფორმაციის გამჭვირვალობის საკითხები ---------- 14
2. საქართველოს მთავრობასა და ინვესტორებს შორის ენერგეტიკული პროექტების განხორციელების თაობაზე დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმები და შეთანხმებები ---------- 15
2.1 საქართველოს მთავრობასა და შპს „აჭარა ენერჯი 2007“-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ---------- 21
2.2 საქართველოს მთავრობასა და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერს“-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ---------- 23
2.3 საქართველოს მთავრობასა და სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასთრაქჩა“-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ---------- 24
2.4 საქართველოს მთავრობასა და შპს „ენერგო-არაგვს“ შორის დადებული მემორანდუმი ---------- 25
2.5 საქართველოს მთავრობასა და სს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია“-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ---------- 26
2.6 საქართველოს მთავრობასა და Nurol Energy Production and Marketing Inc., Korea Electric Power Corporation და SK Engineering and Construction Co. Ltd-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ---------- 27
2.7 საქართველოს მთავრობასა და შპს „რუსმეტალს“ შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი --------- 29
2.8 საქართველოს მთავრობასა და შპს „ზოტი ჰიდროს“ შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ------ 30
2.9 საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ესკო-ს და შპს „ჯორჯიან რეილვეი ქონსთრაქშენ“-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ---------- 31
2.10 საქართველოს მთავრობას, Kolin Construction, Tourism, Industry and Trading Co Inc-ს, შპს „ენერგო ტრანს“-ს და ესკო-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ---------- 33
2.11 საქართველოს მთავრობას, ესკო-ს და კომპანია „UNAL INSAAT VE TICARET AS“-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ---------- 36
2.12 საქართველოს მთავრობასა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ---------- 37
2.13 საქართველოს მთავრობას, Optimum Enerji Uretim A.S.-ს, შპს „ენერგო ტრანს“-ს და ესკო-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ---------- 38
2.14 საქართველოს მთავრობას, ესკო-ს და შპს „ენერგიას“ შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ---------- 41
2.15 საქართველოს მთავრობას, ესკო-ს და „Wind Energy Investment”-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ---------- 42
2.16 საქართველოს მთავრობას, ტრანს ელექტრიკა ლიმითედს, შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“-ს, შპს „ენერგო ტრანს“-ს და ესკო-ს შორის დადებული შეთანხმება ---------- 43
2.17 საქართველოს მთავრობას, შპს „დარიალი ენერჯი“-ს, შპს „ენერგო ტრანს“-ს და ესკო-ს შორის დადებული შეთანხმება ---------- 48
3. ურთიერთგაგების მემორანდუმებისა და შეთანხმებების საფუძველზე განსახორციელებელი ენერგოპროექტების სავარაუდო გავლენა ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ვითარებაზე საქართველოში ---------- 51

რეზიუმე

დღეს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ქვეყანაში არსებული ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება წარმოადგენს. საქართველოს მთავრობა აწარმოებს ინტენსიურ კამპანიას ჰიდროენერგეტიკულ პროექტებში ინვესტიციების მოსაზიდად. ამჟამად დადებულია 20-ზე მეტი ურთიერთგაგების მემორანდუმი ან/და ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და ქართულ ან უცხოურ კომპანიებს (კონსორციუმებს) შორის მცირე, საშუალო და დიდი ჰესების მშენებლობის პროექტებზე; ჰესების ნაწილის მშენებლობა უკვე დაწყებულია, ნაწილი კი, დაგეგმვის ეტაპზეა.

აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე, ქვეყანაში ხორციელდება მნიშვნელოვანი ენერგო-პროექტები, რაც, ბუნებრივია, ამ დოკუმენტების მიმართ საზოგადოების ინტერესს იწვევს; საზოგადოებას აინტერესებს, რას წარმოადგენს ეს დოკუმენტები, რა სამართლებრივი ძალა აქვთ მათ და რა გავლენა შეუძლიათ მოახდინონ ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე მათ საფუძველზე განხორციელებულმა პროექტებმა.

წარმოდგენილ ანგარიშში, თავდაპირველად, გაანალიზებულია ენერგეტიკული პროექტების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობასა და ინვესტორებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმების დადების სამართლებრივი საფუძვლები; კერძოდ, განხილულია საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის #107 დადგენილება "სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008" - საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ", რომელიც ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობასთან გასაფორმებელი მემორანდუმებისთვის სპეციალურ წესს ადგენს. ანგარიშის მომდევნო ნაწილში გაანალიზებულია საქართველოს მთავრობასა და სხვადასხვა კომპანიას შორის ენერგეტიკული პროექტების განხორციელების თაობაზე დადებული 15 ურთიერთგაგების მემორანდუმი და ორი ხელშეკრულება. 107-ე დადგენილების და საქართველოს მთავრობის მიერ ენერგეტიკული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების ანალიზი იძლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას:

1. ურთიერთგაგების მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე პროექტების განხორციელების შედეგად, საქართველოს ბიუჯეტი უშუალო და პირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს, კონკრეტული მოგების სახით, არ მიიღებს. მიუხედავად აღნიშნულისა, გარკვეული არაპირდაპირი (ძირითადად, ეკონომიკური ხასიათის) სარგებელი მემორანდუმებისა და შეთანხმებების საფუძველზე განსახორციელებელი ენერგო-პროექტებიდან (მათ შორის 107-ე დადგენილებით დამტკიცებული პროგრამიდან) საქართველოს, სავარაუდოდ, მაინც ექნება.

2. ზამთრის პერიოდში კომპანიების მიერ საქართველოს ენერგო-ბაზარზე ელექტროენერგიის სავალდებულო გაყიდვის შედეგად, მოხდება ქვეყნის ენერგეტიკული სტაბილურობის უზრუნველყოფა, წლის ყველაზე პრობლემურ პერიოდში; თუმცა, ელექტროენერგიის დადგენილ ტარიფზე დადებითად ეს, სავარაუდოდ, არ იმოქმედებს.

3. ქვეყნის ენერგო-სექტორში დიდი რაოდენობით ინვესტიციების განხორციელება ხელს შეუწყობს, მათ შორის, ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას, ვინაიდან ინვესტირებული თანხების გარკვეული ნაწილი მოხვდება სახელმწიფო ბიუჯეტში, გადასახადების და სხვადასხვა გადასახდელების სახით. ქვეყნის ბიუჯეტი გარკვეულ სარგებელს მიიღებს წარმოებული ელექტროენერგიის შემდგომი რეალიზაციიდანაც (ძირითადად, გადახდილი გადასახადების სახით); თუმცა, იმის გამო, რომ წარმოებული ელექტროენერგიის უდიდესი ნაწილი საექსპორტოდაა გამიზნული, საქართველოს საგადასახადო კოდექსით კი, ელექტროენერგიის ექსპორტი ნულოვანი განაკვეთით იბეგრება (ანუ, ფაქტიურად, არ იბეგრება), წარმოებული ელექტროენერგიის რეალიზაციიდან ქვეყნის ბიუჯეტის მიერ მიღებული სარგებელი ოპტიმალური ვერ იქნება.

4. ქვეყანაში შემოვლენ ახალი ინვესტორები და მნიშვნელოვან ინვესტიციებს განახორციელებენ ქვეყნის ენერგო-სექტორში. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ფინანსური სისტემა შედარებით ნაკლებ სარგებელს მიიღებს უცხოური კომპანიების მიერ პროექტების უშუალოდ თავისი ფილიალებისა და წარმომადგენლობების მეშვეობით (და არა საქართველოში რეგისტრირებული საწარმოების მეშვეობით) განხორციელების შემთხვევაში, რადგან ელექტროენერგიის რეალიზაციით მიღებული თანხების ძირითადი ნაწილი (იგულისხმება არამარტო უცხოეთში, არამედ საქართველოში გაყიდული ელექტროენერგია), საბოლოო ჯამში, გავა საქართველოს გარეთ.

5. გაჩნდება გარკვეული რაოდენობის ახალი სამუშაო ადგილები, მაგრამ იმის გამო, რომ არ არსებობს გარანტიები ადგილობრივი კადრების გამოყენებასთან დაკავშირებით, შესაძლოა ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაში ძირითადად დასაქმდნენ უცხოელი სპეციალისტები და უცხოური წარმოშობის იაფი (ზოგ შემთხვევაში კი, უფრო კვალიფიციური) მუშახელი, რაც ხელს შეუწყობს შრომით მიგრაციას და არა ადგილობრივი მუშახელის დასაქმებას (ეს, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ქვეყანაში არსებულ ისედაც მძიმე სოციალურ ფონზე).

6. სხვადასხვა სექტორში მოქმედი კომპანიები მიიღებენ სარგებელს განსახორციელებელ ენერგო-პროექტებში მონაწილეობისგან, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს, ზოგადად, ეკონომიკის განვითარებას; თუმცა, ვინაიდან არ არსებობს დათქმა პროექტების განხორციელებაში პრიორიტეტულად ადგილობრივი კომპანიების გამოყენებაზე, დიდი ალბათობით, პროექტების განხორციელებაში ჩართული იქნება, ძირითადად, უცხოური კომპანიები. პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები, საქონელი და მომსახურება ინვესტორმა კომპანიებმა შესაძლოა, ძირითადად შეიძინონ უცხოეთში (უცხოური კომპანიებისგან), რის გამოც, ადგილობრივი ბიზნესის სარგებელი მინიმალური იქნება. ამასთან, ინვესტირებული თანხების დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, დაიხარჯება ქვეყნის ფარგლებს გარეთ და შესაბამისად, ქვეყანა ვერ მიიღებს ინვესტიციისგან მაქსიმალურ დადებით ეფექტს.

7. აშენდება ახალი ენერგო-ობიექტები, რაც სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგო-დამოუკიდებლობას, მაგრამ ვინაიდან არ არსებობს დათქმა ახალი ტექნოლოგიების სავალდებულო დანერგვასთან დაკავშირებით, არსებობს ალბათობა, რომ სიიაფის გამო, ინვესტორმა კომპანიებმა, დანერგონ მოძველებული ტექნოლოგიები, რომლებიც როგორც ტექნიკური, ისე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, მეტი რისკების შემცველი იქნება და გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლოა, წამგებიანიც კი იყოს.

8. სავარაუდოდ, განვითარდება დამხმარე ინფრასტრუქტურა, მაგრამ, ვინაიდან არ არსებობს დათქმა ადგილობრივი თემ(ებ)ის ინტერესების და ზოგადად, სოციალური და კულტურული საკითხების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, დაგეგმილი პროექტების განხორციელებამ, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებზე და სოციალურ მდგომარეობაზე, გამოიწვიოს კონფლიქტური სიტუაციები და ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები.

9. გაიზრდება ჰიდრო და სხვა ბუნებრივი რესურსების მიმართ ინტერესი და მოთხოვნილება, მაგრამ ვინაიდან არ არსებობს დათქმა პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნ-ველყოფასთან დაკავშირებით, არსებობს იმის ალბათობა, რომ პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაიდუმლოების გამო, საზოგადოების წარმომადგენლებს არ მიეცემათ საშუალება სათა-ნადოდ მოახდინონ საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობით და საერთაშორისო შეთანხმებებით გარანტირებული უფლებების რეალიზება. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და საზოგადოებრივი მონიტორინგი პროექტის განხორციელებაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

10. დიდია ალბათობა იმისა, რომ ენერგეტიკული პროექტების გამო, გაიზრდება გარემოს დეგრადაციის ხარისხიც, ვინაიდან ამჟამად საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მეტად სუსტია, ისევე როგორც სუსტია გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუცია (როგორც შესაბამისი უფლებამოსილებებით, ისე რესურსებით აღჭურვის თვალსაზრისით).

11. ენერგო-პროექტების განხორციელება მოითხოვს მიწას, რომელიც ხშირ შემთხვევაში კერძო საკუთ-რებაშია ან სათემო სარგებლობაშია (საძოვრები, სათიბები). თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში არ არსებობს განვითარების პროექტებით გამოწვეული იძულებითი განსახლების მარეგულირებელი პოლიტიკა და სავალდებულოდ შესასრულებელი სტანდარტები, ასევე, ამ სფეროში პასუხისმგებელი ორგანოები, დიდია ალბათობა იმისა, რომ ენერგო-პროექტების განხორციელებას მოჰყვება ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით, მიწის საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების დარღვევები.

სამწუხაროდ, ამ ანგარიშში განხილულ ურთიერთგაგების მემორანდუმებსა და შეთანხმებებში ძირითადი აქცენტი კეთდება მხოლოდ პროექტების დროულ განხორციელებაზე, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტები კი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, შესაძლოა ითქვას, რომ არაა გათვალისწინებული. უფრო მეტიც, რჩება შთაბეჭდილება, რომ განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებული, არამარტო სოციალური და გარემოსდაცვითი, არამედ ეკონომიკური ასპექტებიც კი არაა ბოლომდე შესწავლილი და ადექვატურად შეფასებული საქართველოს მთავრობის მიერ. ასეთი მიდგომით განხორციელებული პროექტები, დაუბალანსებელ გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ რისკებს შეიცავს, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ნეგატიური შედეგების მოტანა როგორც მოკლევადიან, ისე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

შესავალი

დღეს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ქვეყანაში არსებული ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება წარმოადგენს. საქართველოს მთავრობა აწარმოებს ინტენსიურ კამპანიას ჰიდროენერგეტიკულ პროექტებში ინვესტიციების მოსაზიდად. ამჟამად დადებულია 20-ზე მეტი ურთიერთგაგების მემორანდუმი ან/და შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ქართულ ან უცხოურ კომპანიებს (კონსორციუმებს) შორის მცირე, საშუალო და დიდი ჰესების მშენებლობის პროექტებზე; ჰესების ნაწილის მშენებლობა უკვე დაწყებულია, ნაწილი კი, დაგეგმვის ეტაპზეა.

ზემოაღნიშნული სახელმწიფო პოლიტიკის მხარდამჭერების აზრით, ჰიდრო-ენერგეტიკაში ინვესტირება ხელს შეუწყობს ელექტროენერგიის იმპორტის შემცირებას და საქართველოს საშუალებას მისცემს, გაზარდოს ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში, ასევე, წვლილს შეიტანს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევაში და გაზრდის სახელმწიფო შემოსავლებს. თავად პროექტების განმახორციელებლები (კომპანიები), გარკვეულწილად ადგილობრივებისგან მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ხშირად, ხაზს უსვამენ პროექტებისგან მისაღებ ისეთ სარგებელს როგორიცაა, მაგალითად, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. არსებობს ასევე კრიტიკოსთა ჯგუფი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ამ სფეროში ინვესტირებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ რისკზე როგორიცაა მაგალითად, საცხოვრისისა და მიწის დაკარგვა, ბუნებრივ რესურსებსა და ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, ბუნებრივი გარემოს დეგრადაცია და სხვა.

სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმები და შეთანხმებები, ეროვნულ (და საერთაშორისო) კანონმდებლობასთან ერთად, განსაზღვრავენ საინვესტიციო პროექტების პირობებს, ასევე რისკების, დანახარჯებისა და სარგებლის გადანაწილების გზებს. მემორანდუმებისა და შეთანხმებების დადების წესი (პროცედურები) კი, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საზოგადოების მოსაზრებების გათვალისწინების, ასევე, გადაწყვეტილებების მიმღებთა ანგარიშვალდებულების ხარისხს.

რა თქმა უნდა, მემორანდუმებისა და შეთანხმებების ანალიზი, ვერ შეცვლის მათი განხორციელების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგების ემპირიულ ანალიზს („კარგი“ მემორანდუმები/შეთანხმებები შესაძლოა ძალზე ცუდად განხორციელდეს და ცუდი შედეგები მოიტანოს და პირიქით, მემორანდუმის/შეთანხმების არარსებობის პირობებში, შესაძლოა, საკმაოდ კარგი შედეგები იქნეს მიღწეული); თუმცა, მემორანდუმების/შეთანხმებების ხარისხს, მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბოლოო მიზნის ეფექტურად მიღწევისთვის.

წარმოდგენილი ანგარიშის პირველ ნაწილში განხილულია ენერგეტიკული პროექტების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობასა და ინვესტორებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმების დადების სამართლებრივი საფუძვლები; მეორე ნაწილში გაანალიზებულია საქართველოს მთავრობასა და სხვადასხვა კომპანიას შორის ენერგეტიკული პროექტების განხორციელების თაობაზე დადებული 15 ურთიერთგაგების მემორანდუმი და ორი ხელშეკრულება (ანგარიშში განხილულია იმ ენერგო-პროექტების თაობაზე დადებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რომლებიც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე 2011 წლის ნოემბერში განთავსებული იყო მიმდინარე პროექტების ჩამონათვალში); ანგარიშის ბოლო, მესამე ნაწილში კი, გამოთქმულია მოსაზრებები მემორანდუმებისა და შეთანხმებების საფუძველზე განსახორციელებელი ენერგო-პროექტების სავარაუდო გავლენის შესახებ ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ვითარებაზე საქართველოში.

1. საქართველოს მთავრობასა და ინვესტორებს შორის ენერგეტიკული პროექტების განსახორციელების თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუ-მების დადების სამართლებრივი საფუძვლები

1.1 მემორანდუმის ცნება და მისი სამართლებრივი საფუძვლები

მემორანდუმი ლათინური წარმოშობის სიტყვაა (ლათინურად *memorandum est*, ან *memoro* – „ის რაც უნდა გახსოვდეს“) და სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება, მათ შორის დიპლომატიაში, ვაჭრობაში, საჯარო უწყებების საქმიანობაში და ა.შ. სამართალში, სიტყვა მემორანდუმი, ზოგ შემთხვევაში, ხელშეკრულების მნიშვნელობითაც იხმარება. საქართველოში, საჯარო უწყებების პრაქტიკაში, მემორანდუმად ხშირად მოიხსენიებენ დიპლომატიურ, ასევე უწყებათაშორის ურთიერთობებში გამოყენებად ზოგიერთი სახის დოკუმენტს, ზოგ შემთხვევაში, გარკვეული ტიპის ხელშეკრულებებსაც.

საქართველოს არცერთი კანონი არ იძლევა მემორანდუმის განმარტებას, თუმცა მემორანდუმის სახის გარიგებები, მაინც მოიხსენიება საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო და სხვა სახის ნორმატიულ აქტში. ერთადერთი კანონი, რომელშიც ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმია ნახსენები, არის საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ (№3512–რს). კერძოდ, კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია, რომ *„ამ მუხლით გათვალისწინებული უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს წარდგენის ვალდებულება არ ვრცელდება იმ მყიდველებზე, რომლებსაც ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, პრივატიზების გზით უნდა გადაეცეთ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება“*. ფაქტიურად, კანონის ამ მუხლით, დადგენილია სპეციალური სახის შეღავათი ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით პრივატიზების განმახორციელებელი კომპანიებისთვის, რომლებსაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი მემორანდუმი საქართველოს მთავრობასთან.

ელექტროსადგურების მშენებლობის პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ სხვადასხვა კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმები, თავისი არსით ადმი-ნისტრაციული ხელშეკრულებებია. ადმინისტრაციული ხელშეკრულება, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მიხედვით, განმარტებულია, როგორც *„ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებები“*.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა, მემორანდუმს, როგორც გარიგების (ხელშეკრულების) სახეს, არ იცნობს, თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ზოგადად, არ გამორიცხავს ისეთი სახის გარიგებების (ხელშეკრულებების) არსებობას, რომლებიც კანონით პირდაპირ არაა გათვალისწინებული, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს.

სამოქალაქო კანონმდებლობით, სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებებისთვის (ხელშეკრულებების-თვის) დადგენილი წესები, გამოყენებადია ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან მიმართებაშიც. შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების გაფორმება მემორანდუმის სახით, საქართველოს კანონმდებლობით, ზოგადად, აკრძალული არ არის.

ერთადერთი ნორმატიული აქტი, რომელიც ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობასთან გასაფორმებელი მემორანდუმებისთვის სპეციალურ წესს ადგენს და იძლევა მემორანდუმის განმარტებას, არის **საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის #107 დადგენილება “სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“** (შემდგომში – 107-ე დადგენილება).

1.2 საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის #107 დადგენილება

მართალია, 107-ე დადგენილება არ არის კანონი, მაგრამ ნორმატიული ხასიათის აქტია, რაც გულისხმობს, რომ ის მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და სავალდებულოა შესასრულებლად.

107-ე დადგენილებით დამტკიცებულია სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესი, ასევე,

განახლებადი ენერგიის პოტენციური წყაროების ნუსხაში შემავალი ელექტროსადგურების მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის შედეგად დაინტერესებული პირის მიერ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში წარსადგენი განაცხადის ტიპობრივი ფორმა.

დადგენილება ქმნის ძირითად სამართლებრივი საფუძველს საქართველოს მთავრობის მიერ პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“-ის ფარგლებში მემორანდუმების გაფორმებისთვის. 107-ე დადგენილების თანახმად, საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით, დაინტერესების შემთხვევაში, ან ინტერესთა გამოხატვის შედეგად, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობების თანახმად, ფორმდება ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ (შემდგომში - ესკო) და შესაბამის პირს შორის. იქვე დაზუსტებულია, რომ *„მემორანდუმი არის მხარეთა შეთანხმება თანამშრომლობის თაობაზე“*. 107-ე დადგენილებით ენერგეტიკის სამინისტროს დაევალა თავის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე (www.minenergy.gov.ge) განათავსოს ელექტროსადგურ(ებ)ზე გასაფორმებელი მემორანდუმის პროექტი, რომელიც სავალდებულოა განმცხადებლისათვის. 107-ე დადგენილება ასევე ადგენს ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის აუცილებელ პირობებს, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს 107-ე დადგენილების საფუძველზე გასაფორმებელ მემორანდუმებში.

ენერგეტიკის სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე მართლაც განთავსებულია 107-ე დადგენილებით გათვალისწინებული ელექტროსადგურ(ებ)ზე გასაფორმებელი მემორანდუმის პროექტი (შემდგომში – „სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი“), რომლის მიხედვითაც, საქართველოს მთავრობის სახელით, გაფორმებულია ენერგო-პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული მემორანდუმების ნაწილი.

1.3 107-ე დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ძირითადი მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები

107-ე დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მიზნების სრულყოფილად იდენტიფიცირებისთვის, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ 107-ე დადგენილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მიხედვით, *„საქართველოს მთავრობის დადგენილება მიიღება საქართველოს კონსტიტუციის, კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად. საქართველოს მთავრობის დადგენილებაში უნდა მიეთითოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული იგი“*. 107-ე დადგენილებაში არაა დაზუსტებული, თუ რომელი ნორმატიული აქტის შესასრულებლად იქნა ის მიღებული, თუმცა მითითებულია, თუ რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე მიიღეს ეს დადგენილება.

107-ე დადგენილებაში მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობამ „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესი“ დაამტკიცა „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მითითებული პუნქტების მიხედვით, საქართველოს მთავრობა, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში:

> *„ე) სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურისა და სხვა სფეროებში ამტკიცებს სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას;...*
>
> *თ) უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური სივრცის ერთიანობას, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირებას;*
>
> *ი) ახორციელებს სახელმწიფო ქონების მართვას“*.

მითითებული საფუძვლები ძალზე ზოგადი ხასიათისაა, ამდენად, ძნელია მათსა და დამტკიცებული პროგრამის დებულებებს შორის ზუსტი პარალელების გავლება და სამწუხაროდ, ეს არ იძლევა პროგრამის კონკრეტული მიზნების იდენტიფიცირების საშუალებას; მიუხედავად აღნიშნულისა, გარკვეული დასკვნების გაკეთება, ამ მხრივ, მაინც შესაძლებელია.

კერძოდ, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „მ“, „ნ“, „ჟ“ და „რ“ ქვეპუნქტების მიხედვით, სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოს მთავრობის უზრუნველსაყოფია ასევე: მოქალაქეთა სოციალური დაცვა, უმუშევრობის შემცირებისა და ლიკვიდაციის პროგრამების შემუშავება-განხორციელება, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა და სხვა მრავალი აქტუალური საკითხი, რომელთა სათანადოდ გათვალისწინება დამტკიცებულ პროგრამაში, მნიშვნელოვნად გაზრდიდა ამ პროგრამის ეფექტურობას. მიუხედავად ამისა, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „მ“, „ნ“, „ჟ“ და „რ“ ქვეპუნქტები არაა მითითებული 107-ე დადგენილების მიღების სამართლებრივ საფუძვლებში.

არც 107-ე დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამაში და არც ამ დადგენილების შესასრულებლად შემუშავებულ სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმში, არაფერია ნათქვამი უმუშევრობის დაძლევის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, საზოგადოების მონაწილეობის და ინფორმირებულობის გაზრდის, სოციალური უფლებების დაცვის, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურად სარგებლობის შესახებ.

აღნიშნული გარემოებები გარკვეულწილად გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ გარემოს დაცვა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ინფორმაციის გამჭვირვალობა, ადგილობრივი კადრების დასაქმება და ზოგადად, სოციალური თემატიკა არ მოიაზრება 107-ე დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მიზნებსა და პრიორიტეტებში. დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის შემუშავებისას და განხორციელებისას (მათ შორის, მემორანდუმების გაფორმების პროცესში) აღნიშნული საკითხების სათანადოდ გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ქვეყნის მიერ პროგრამის განხორციელებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღების უზრუნველყოფა, რაც ბუნებრივი რესურსების უფრო რაციონალურ გამოყენებას ნიშნავს და სახელმწიფოს (მათ შორის, საქართველოს მთავრობის) პირდაპირი მოვალეობაა, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით.

107-ე დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის და სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის შინაარსის ანალიზი, იძლევა მისი სავარაუდო მიზნების და პრიორიტეტების იდენტიფიცირების საშუალებას. დადგენილების თანახმად, „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“ – საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - „წესი“ ან „პროგრამა“) მიზანია *„საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის ხელშეწყობა ინვესტიციების მოზიდვის გზით“*. ამ გაცხადებულ მიზანში მეტი სიზუსტის შესატანად, 107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 პუნქტი უნდა გავაანალიზოთ.

107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 პუნქტის მიხედვით, საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს, თუ რომელ პირს მიენიჭება უპირატესობა ერთი და იმავე ელექტროსადგურ(ებ)ზე ორი, ან მეტი განაცხადის არსებობისას, თუ ისინი აკმაყოფილებენ მოთხოვნილ მონაცემებს, პირობებსა და კრიტერიუმებს. ამ შემთხვევისთვის, აღნიშნული პუნქტის შესაბამისად, დადგენილია, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ პირს, რომელიც წარმოადგენს:

> *„ა) ელექტროსადგურის მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ მიღების უფრო მცირე ვადას;*
>
> *ბ) ელექტროსადგურის მშენებლობის უზრუნველყოფის უფრო მაღალი ოდენობის საბანკო გარანტიას ყოველ მეგავატზე გაანგარიშებით“*.

იმის გათვალისწინებით, რომ საბანკო გარანტიით, თავის მხრივ, სწორედ კომპანიის მიერ შესაბამისი მემორანდუმით ნაკისრი, პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებების დროულად შესრულებაა (ანუ ვადების დაცვაა) უზრუნველყოფილი, შესაძლოა დავასკვნათ, რომ **პროგრამის ძირითადი მიზანი განახლებადი ენერგიის წყაროების არა უბრალოდ მშენებლობა, არამედ უმოკლეს ვადებში მშენებლობაა. ამასთან, პროგრამა მიზნად ისახავს, უმოკლეს ვადებში, მაქსიმალური ოდენობის ინვესტიციების მოზიდვას საქართველოს ენერგეტიკის სექტორში, რის შედეგადაც პროგრამის ავტორები, სავარაუდოდ, ელიან დადებით ეფექტს, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკისთვის.**

მიუხედავად იმისა, რომ 107-ე დადგენილება, განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობას დამტკიცებული წესის ერთადერთ მიზნად აცხადებს, ენერგო-ობიექტების მშენებლობა, მაინც არ შეიძლება მოიაზრებოდეს მსგავსი სახელმწიფო პროგრამების თვითმიზნად. მითუმეტეს, რომ 107-ე დადგენილების შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამის მოქმედება არ განისაზღვრება მხოლოდ მშენებლობის პერიოდით და ითვალისწინებს გარკვეულ ვალდებულებებს პროექტების განმახორციელებელი კომპანიებისთვის, მშენებლობის დასრულების შემდეგაც.

107-ე დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული პროგრამა, ისევე როგორც სამოდელო ურთიერთ-გაგების მემორანდუმი, **პროექტის განმახორციელებელ კომპანიებს ავალდებულებს აშენებული ელექტროსადგურების ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად, ზამთრის თვეებში, მოახდინონ წარმოებული ელექტროენერგიის სავალდებულო რეალიზაცია მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად. ეს გარემოება შეიძლება მივიჩნიოთ განსახორციელებელი პროგრამის საფუძველზე საქართველოს ენერგოსისტემის მიერ მისაღებ ერთ-ერთ ძირითად სარგებლად,** რადგან ზამთრის პერიოდში, ქვეყნის ენერგო-ბაზარზე დამატებითი ელექტროენერგიის სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფამ, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი ქვეყნის ენერგოსისტემის სტაბილურობას, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

107-ე დადგენილება არ ვრცელდება საქართველოს მთავრობის მიერ ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით გაფორმებულ ყველა მემორანდუმზე და შეთანხმებაზე, შესაბამისად 107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესი ყველა მათგანთან მიმართებაში არ გამოიყენება. 107-ე დადგენილებას არ აქვს უკუქცევითი ძალა და ბუნებრივია, ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე გაფორმებულ მემორანდუმებზე 107-ე დადგენილებით დადგენილი წესი არ ვრცელდება.

გარდა ამისა, 107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესის 23 და 23^2 პუნქტებით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ დადგენილებით დადგენილი წესი არ ვრცელდება:

(ა) 1 მეგავატამდე სიმძლავრის ელექტროსადგურებზე;

(ბ) 100 მეგავატი და მეტი სიმძლავრის ელექტროსადგურებზე;

(გ) 100 მეგავატი და მეტი ჯამური სიმძლავრის ელექტროსადგურების კასკადებზე;

(დ) 100 მეგავატზე ნაკლები სიმძლავრის ელექტროსადგურებზე, რომლებიც არ არის შეტანილი განახლებადი ენერგიის პოტენციური წყაროების ნუსხაში.

ამასთან, საქართველოს მთავრობასაც, 107-ე დადგენილების შესაბამისად, უფლება აქვს 107-ე დადგენილების მოქმედება არ გაავრცელოს გარკვეულ პირებზე. კერძოდ, 107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე პუნქტის თანახმად, *„თუ დაინტერესებული პირი უარს აცხადებს შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან“ (ესკო) წინასწარ გასაფორმებელი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებაზე და ამასთან, თუ დაინტერესებული პირი ან პირთა ჯგუფი იმავდროულად არის კვალიფიციური საწარმოს ან მისი ძირითადი აქციონერი (ან/და პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული პირი) და მის (მათ) მიერ განაცხადით მოთხოვნილი ელექტროსადგურების ჯამური სიმძლავრე არ აღემატება მისი (მათი) მოხმარების 125 პროცენტს, ასეთ შემთხვევებში საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მასზე (მათზე) არ გავრცელდეს წინამდებარე წესი“*.

ასევე აღსანიშნავია, რომ 23^1 პუნქტის თანახმად, ზოგ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, პროექტის განხორციელების მიზნით, პირდაპირ აწარმოოს მოლაპარაკება და დადოს შეთანხმება კომპანიასთან.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, არაა გასაკვირი, რომ **საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმების მხოლოდ ნაწილი იქნა შემუშავებული 107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.** ბუნებრივია, იმ პირებთან მიმართებაში, რომლებზეც არ ვრცელდება 107-ე დადგენილების მოქმედება, არც 107-ე დადგენილებით გათვალისწინებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფორმის გამოყენებაა სავალდებულო. **მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობის მიერ ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით გაფორმებული მემორანდუმების უმეტესობა, ხშირ შემთხვევაში, იმეორებს სამოდელო ურთიერთ-გაგების მემორანდუმის პირობებს (თუმცა, არის ისეთებიც, რომლებიც პრინციპულად განსხვავებული ხასიათის პირობებს ითვალისწინებენ).** აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის ანალიზი, მეტნაკლებად, წარმოდგენას შეგვიქმნის ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ გაფორმებული მემორანდუმების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილზე.

1.4 სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი

სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი შემუშავებულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივის სამინისტროს მიერ, 107-ე დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად. უშუალოდ სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი არაა დამტკიცებული რაიმე ნორმატიული აქტით, თუმცა, ყოველი კონკრეტული მემორანდუმის (მათ შორის, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის გამოყენებით შედგენილი მემორანდუმების) პროექტებს, მათ ხელმოწერამდე, იხილავს და იწონებს საქართველოს მთავრობა, თავისი განკარგულებებით (რომლებიც არანორმატიული ხასიათის სამართლებრივი აქტებია).

107-ე დადგენილების მიხედვით, დასაშვებია, რომ სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმში, საქართველოს მთავრობის თანხმობით, შეტანილ იქნეს ცვლილებები, **თუმცა ამ ცვლილებების ისტორია არ აისახება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე, რაც შეუძლებელს ხდის ცვლილებების სათანადო მონიტორინგს საზოგადოების მხრიდან.** შესაბამისად, დღეისათვის შესაძლებელია სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის შინაარსის შეფასება მხოლოდ იმ სახით, რა სახითაც ის განთავსებულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე (ამ კვლევის მიზნებისთვის გამოყენებულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით განთავსებული სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი).

სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი, თავისი არსით, სამმხრივი ხელშეკრულებაა (თუმცა, 107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 პუნქტში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, დასაშვებია ამ დადგენილების საფუძველზე გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ორმხრივიც იყოს):

- სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის ერთი მხარეა **საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი ენერგეტიკის მინისტრის მიერ** (სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმში დღემდე მითითებულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ძველი წოდება „ენერგეტიკის მინისტრი“);

- ურთიერთგაგების მემორანდუმის მეორე მხარეა შპს **„ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ესკო)** (აღნიშნული საწარმო ამჟამად არა სააქციო საზოგადოება, არამედ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რაც სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმში არაა ასახული);

- სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მესამე მხარეა ე.წ. **„კომპანია“**, რომელშიც მოიაზრება შესაბამისი ინვესტიციის განხორციელების მსურველი პირი. „კომპანია“ სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმში მხოლობით რიცხვშია მითითებული, მაგრამ ვინაიდან 107-ე დადგენილება არ შეიცავს არანაირ შეზღუდვას ინვესტორების რაოდენობასთან დაკავშირებით, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მესამე მხარედ რამოდენიმე კომპანიის მონაწილეობა, დასაშვებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

როგორც აღვნიშნეთ, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის ერთ-ერთი უცვლელი მხარე ყოველთვის საქართველოს მთავრობაა. ამ კვლევის მიზნებისთვის განხილული **ყველა მემორანდუმი (მათ შორის, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი) და შეთანხმება ხელმოწერილია საქართველოს მთავრობის სახელით, თუმცა, არცერთ მათგანში არაა დაზუსტებული, თუ რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მოქმედებს საქართველოს მთავრობა ამ მემორანდუმების გაფორმებისას.**

საქართველოს მთავრობა, თავის საქმიანობას, ძირითადად, შესაბამისი სამართლებრივი აქტების (დადგენილებების და განკარგულებების) გამოცემის გზით ახორციელებს. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ასევე მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობა „საქართველოს პრეზიდენტის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს“ (იხ. კანონის მე-5 მუხლის „ს“ პუნქტი). რაც შეეხება განსახილველ მემორანდუმებს და შეთანხმებებს (რომლებიც ცალსახად არაა საერთაშორისო ხელშეკრულებები), **საქართველოს მთავრობის მიერ მსგავსი ტიპის გარიგებების დადების შესაძლებლობა არაა გათვალისწინებული არც საქართველოს კონსტიტუციით და არც „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით.** თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტსაც, რომ სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის ზოგიერთი ვალდებულება, მას აშკარად ინტერესთა კონფლიქტის მდგომარეობაში აყენებს, საქართველოს მთავრობის მიერ მსგავსი პროექტებისა

და პროგრამების განხორციელება, ისევე, როგორც მემორანდუმების საფუძველზე მნიშვნელოვანი ვალდებულებების აღება, უფრო საფუძვლიან საკანონმდებლო უზრუნველყოფას მოითხოვს.

სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის პირველი მუხლი განსაზღვრავს მის მიზანს, რომელიც ზოგადი ხასიათისაა და სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მიხედვით გაფორმებულ კონკრეტულ მემორანდუმებში, როგორც წესი, უცვლელად მეორდება. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის პირველი მუხლის მიხედვით: *„ურთიერთგაგების მემორანდუმის მიზანი არის მხარეთა თანამშრომლობა, რათა ჩამოყალიბდეს მათ შორის შეთანხმების მთავარი საფუძვლები და დეტალურად დადგინდეს მხარეებს შორის საქმიანი კავშირის ვადები და პირობები“*.

საერთოდ, სიტყვა „მიზანი“, როგორც წესი, გულისხმობს ისეთ რამეს, რომლის მიღწევაც მომავლისთვის იგეგმება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327–ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას *„მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება“*. ასეთი ტიპის ხელშეკრულებებს „წინარე ხელშეკრულება“ ჰქვია. ხელშეკრულების ორ მხარეს, „კომპანიას“ და „ესკო“-ს, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მიხედვით, მართლაც ეკისრებათ ვალდებულება მომავალში ელექტროენერგიის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის ორი ძირითადი მხარე (საქართველოს მთავრობა და კომპანია) სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებშივე თანხმდება თანამშრომლობის ყველა ძირითად პირობაზე, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი, მათთან მიმართებაში, ალბათ, მაინც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს წინარე ხელშეკრულებად. არსებული სახით, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი, სამმხრივი ხელშეკრულებაა კონკრეტული ენერგეტიკული პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით მხარეთა თანამშრომლობის შესახებ.

სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მე-2 მუხლი განსაზღვრავს მისი მოქმედების სფეროს. მათ შორის, ამ მუხლის მიხედვით, მხარეები თანხმდებიან განსახორციელებელი პროექტის ისეთ დეტალებზე, როგორიცაა: (ა) ადგილმდებარეობა, (ბ) სიმძლავრე, (გ) ინვესტიციების მოცულობა და მისი უკუგების სავარაუდო ვადა, (დ) მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში გაშვების ვადები და (ე) წლიური გამომუშავების ოდენობა.

სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მე-3 მუხლი ადგენს, მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს. ამ მუხლის უდიდესი ნაწილი კომპანიის ვალდებულებებს და საქართველოს მთავრობის უფლებებს შეეხება. საქართველოს მთავრობის ვალდებულებები მოცემულია მხოლოდ 3.10 პუნქტში.

კომპანიის ვალდებულებები (მათ შორის, პროექტის დროულად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით საბანკო გარანტიის წარდგენის შესახებ და ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ 10 წლის მანძილზე, ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად, სავალდებულო გაყიდვის შესახებ) სრულად შეესაბამება 107-ე დადგენილების მოთხოვნებს. ამასთან, მე-3 მუხლთან დაკავშირებით, აღსანიშნავია რამოდენიმე გარემოება:

1. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.6 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების მიხედვით, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ტექნიკური, ეკონომიკური და იურიდიული საკითხების შესწავლა, ექსპერტიზა და ანალიზი, შემდეგ კი, საქართველოს მთავრობისთვის მიწოდება. **სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმით არაა გათვალისწინებული, აღნიშნული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის შესაძლებლობა.** სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი არ ითვალისწინებს კომპანიის მიერ ბუნებრივ და/ან სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებას და მისი შედეგების რაიმე სახით გათვალისწინებას პროექტის განხორციელების პროცესში[1].

2. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მე-3 მუხლში დიდი ყურადღება ეთმობა კომპანიის მიერ წარსადგენი საბანკო გარანტიის საკითხს; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ **საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილია მხოლოდ ის ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას გააჩნია ელექტროსადგურების მშენებლობასა და ექსპლუატაციაში გაშვებასთან დაკავშირებით. საბანკო გარანტიით არაა უზრუნველყოფილი კომპანიის ის ვალდებულებები, რომლებიც ითვალისწინებს ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, 10 წლის განმავლობაში, ელექტროსადგურზე წარმოებული ელექტროენერგიის რეალიზაციას საქართველოს შიდა საჭიროებისთვის, ზამთრის პერიოდში.**

[1] უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ასევე სრული ტექნიკური და ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშის მომზადებას და ამ ანგარიშის შედეგებიდან გამომდინარე კომპანიის მიერ პროექტის განხორციელება–განუხორციელებლობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საკითხს, საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმებიდან მხოლოდ ორი ითვალისწინებს; ესენია: „ურთიერთგაგების მემორანდუმი, დადებული საქართველოს მთავრობას, Kolin Construction, Tourism, Industry and Trading Co INC-ს, შპს „ენერგოტრანსს“ და შპს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის“ და „ურთიერთგაგების მემორანდუმი, დადებული საქართველოს მთავრობასა, Optimum Enerji Uretim A.S.-ს, შპს „ენერგოტრანს“-ს და შპს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის“.

3. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.8 პუნქტის თანახმად, კომპანია ვალდებულია, მისი მხრიდან ვადების დარღვევის მიზეზით საქართველოს მთავრობის მიერ მემორანდუმის შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანიისთვის პროექტის განსახორციელებლად გადაცემული მიწის ნაკვეთი დაუბრუნოს თავდაპირველ მესაკუთრეს, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, თუ თავდაპირველი მესაკუთრე სახელმწიფო, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოა. **მუხლში არაა დაკონკრეტებული, რა მდგომარეობაში უნდა დაუბრუნდეს ქონება პირვანდელ მესაკუთრეს. ვინაიდან სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი არ ითვალისწინებს თავდაპირველი მესაკუთრისთვის ქონების უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში დაბრუნებას, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეს დებულება შეიცავს დაუბალანსებელ რისკებს.** კერძოდ, დასაბრუნებელი ქონება, დაბრუნების მომენტისთვის შესაძლოა დატვირთული იყოს მესამე პირთა უფლებებით - მემორანდუმი არანაირად არ ზღუდავს კომპანიას, რომ მან არ გამოიყენოს პროექტის განსახორციელებლად მიღებული ქონება, მაგალითად, მშენებლობისათვის აღებული კრედიტების უზრუნველსაყოფად, ან სხვანაირად არ დატვირთოს მესამე პირთა უფლებებით. ეს რისკები, ისევე, როგორც, მაგალითად, კომპანიის შესაძლო გაკოტრების რისკი, არაა სათანადოდ გათვალისწინებული სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმში. **სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი არ ითვალისწინებს კომპანიის მიერ მიწის დაბრუნებამდე, გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენას, რაც გარემოსდაცვით რისკებს გარკვეულწილად დაუბალანსებელს ხდის. ამასთან, ეს ეწინააღმდეგება „რესტიტუციის პრინციპს“, რომელიც გულისხმობს, რომ საქმიანობის განხორციელების შედეგად დეგრადირებული გარემო აღდგენილი უნდა იქნეს პირვანდელ მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით.** „რესტიტუციის პრინციპი“, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“ პუნქტის მიხედვით, საქართველოში გარემოს დაცვის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს და მისი გაუთვალისწინებლობა მსგავსი პროექტების განხორციელებისას, შესაძლოა, ზიანის მომტანი იყოს არამარტო გარემოსთვის, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტისთვისაც (რადგან საბოლოო ჯამში, სწორედ ბიუჯეტის ხარჯზე იქნება დასაფინანსებელი შესაბამისი ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული და/ან გამოსწორდეს გარემოსთვის მიყენებული ზიანის ნეგატიური შედეგები).

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმით, არაა გათვალისწინებული გარემოსთვის და/ან მესამე პირთათვის მიყენებული შესაძლო ზიანის უზრუნველყოფა, არც საბანკო გარანტიით და არც დაზღვევის, ან სხვა მექანიზმის გამოყენებით**, მაშინ, როდესაც განსახორციელებელი პროექტების სპეციფიკის გათვალისწინებით, ასეთი რისკები არსებობს.

ქონების პირვანდელი მესაკუთრისთვის დაბრუნების შემთხვევებისთვის, **სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი არ ითვალისწინებს არც კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციის შედეგად შექმნილი იმ უძრავი ქონების საკითხს, რომელიც დაბრუნების მომენტში განთავსებული იქნება დასაბრუნებელ მიწაზე.** ამ საკითხის გაუთვალისწინებლობა ზრდის არამარტო კომპანიის რისკებს, არამედ ზოგადად, სადავო სიტუაციების რისკსაც[2].

4. სამოდელო ურთიერთგაგების **მემორანდუმი არ ითვალისწინებს კომპანიისთვის არანაირ ვალდებულებას, ადგილობრივი მოსახლეობის პროექტში დასაქმებასთან დაკავშირებით და არც პროექტების განხორციელებაში ადგილობრივი კომპანიების პრიორიტეტულად ჩართვასთან დაკავშირებით**[3].

5. კომპანიისთვის საკმაოდ სერიოზულ პოტენციურ რისკებს შეიცავს სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.6 და 3.8 პუნქტები; ამ პუნქტებით დგინდება, კომპანიის მიერ შესაბამისი ვადების დარღვევების მიზეზით, საბანკო გარანტიის ამოქმედებასთან, ხელშეკრულების შეწყვეტასთან და გადაცემული მიწის დაბრუნების მოთხოვნასთან, ასევე, კომპანიისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის უფლებები. ეს რისკები, გარკვეულწილად, დაბალანსებულია სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.12 პუნქტით, რომლის თანახმად, *„3.6 და 3.8 პუნქტები არ მოქმედებს, თუ კომპანიის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა განპირობებულია ფორს მაჟორით, ან მთავრობის ან/და რომელიმე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს არამართლზომიერი მოქმედებით“*. მიუხედავად ამისა, 3.12 პუნქტი შესაძლო რისკებს ბოლომდე არ გამორიცხავს, რადგან კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დაგვიანება შესაძლებელია გამოწვეული იყოს მისგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზებითაც. კერძოდ, **არაა გათვლილი ისეთი შემთხვევები, როდესაც საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად (მათ შორის, საქართველოს მთავრობის**

[2] სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ეს საკითხი სათანადოდ გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის მიერ გაფორმებულ ზოგიერთ მემორანდუმსა და შეთანხმებაში.

[3] საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმებიდან, მხოლოდ ერთი ადგენს კომპანიის ვალდებულებას, დაასაქმოს საჭირო მუშახელის 75% ადგილობრივი მოსახლეობისგან. ესაა ურთიერთგაგების მემორანდუმი, დადებული, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობას და მეორე მხრივ, Nuro Energy Production and Marketing Inc., Korea Electric Power Corporation და SK Engineering and Construction Co. Ltd-ს შორის.

მიერ ინიცირებული ცვლილებების შედეგად), კომპანიას შეიძლება მნიშვნელოვნად გაუძვირდეს პროექტის განხორციელება და ამ მიზეზით ვერ შეძლოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. არაა დეტალურად გაწერილი არც ფორსმაჟორული სიტუაციების დროს მოქმედების წესი და არაა გათვალისწინებული ფორსმაჟორის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის ალბათობა[4].

6. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.10 პუნქტით საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებები ორ პუნქტად იყოფა:

(ა) *„მთავრობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კომპანიის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სათანადო დახმარებას, ამ უკანასკნელის მიერ, პროექტის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მოპოვებაში“*. ამ პუნქტში არაა დაზუსტებული, რა სახის ინფორმაციაზე და დოკუმენტაციაზეა საუბარი და არც ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცემის ვადებია დაკონკრეტებული. ამ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ 3.10 პუნქტში საჯარო ინფორმაცია და დოკუმენტაცია მოიაზრება (რადგან კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით კანონმდებლობა შესაბამის აკრძალვებს ადგენს). საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება, ადმინისტრაციულ ორგანოებს, კანონმდებლობითაც აკისრია და ამის სახელშეკრულებო ვალდებულებებში მითითება, კომპანიისთვის, რაიმე კონრეტული სარგებლის მომტანი სავარაუდოდ ვერ იქნება.

(ბ) *„მთავრობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ყველანაირად ხელს შეუწყობს კომპანიას, პროექტის განხორციელებაში, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს სათანადო ნებართვების, ლიცენზიებისა და საჭირო მიწის ნაკვეთის მისთვის გადაცემასთან“*. **მთავრობის მიერ ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებული დახმარების აღმოჩენის შესახებ კომპანიის მიმართ მემორანდუმების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულება, გარკვეულწილად, ინტერესთა კონფლიქტს უქმნის, როგორც საქართველოს მთავრობას, ისე მის კონტროლს დაქვემდებარებულ იმ ორგანოებს, რომელთა უშუალო კომპეტენციასაც წარმოადგენს ამ ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემა**. რაც შეეხება მიწის ნაკვეთის გადაცემის ვალდებულებას, **სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმში (ისევე როგორც 107-ე დადგენილებაში) არაა დაზუსტებული, რა უფლებით უნდა გადაეცეს მიწა კომპანიას და რა საფასური უნდა იქნეს გადახდილი ამის სანაცვლოდ.**

თეორიულად, ელექტროსადგურის მშენებლობისთვის, მიწა არამარტო საკუთრების, არამედ სხვა უფლებითაც შეიძლება იქნეს გადაცემული (მაგალითად, აღნაგობის უფლებით). მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში, ეს, ძირითადად, პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაცემის სახით ხორციელდება და ამ მხრივ, საქართველოს მთავრობა მართლაც უწევს დახმარებას შესაბამის კომპანიებს და ზოგ შემთხვევაში, ნორმატიული ხასიათის აქტებსაც კი იღებს[5].

7. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.11 პუნქტი ესკო-ს ვალდებულებებს ეხება და ავალდებულებს მას, გააფორმოს ხელშეკრულება კომპანიასთან, ელექტროენერგიის სავალდებულო შესყიდვის შესახებ, ზამთრის პერიოდში, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში. ეს მუხლი, გარკვეულწილად, უზრუნველყოფს კომპანიის მიერ ნაკისრი გრძელვადიანი ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას და მოწოდებულია დააბალანსოს კომპანიის გრძელვადიანი რისკები. ესკო-ს და კომპანიას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი მიზანი, სავარაუდოდ, საქართველოს ენერგო-ბაზარზე ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის რეალიზაციის ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა, რაც დიდი ალბათობით, მემორანდუმის ყველა მხარის ინტერესში შედის.

სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მე-4 მუხლის თანახმად, პროექტთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს კომპანია. **სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმით არაა გათვალისწინებული კომპანიისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების საკითხი, მემორანდუმის შეწყვეტის შემთხვევაში. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი საერთოდ არ ითვალისწინებს დებულებებს ზიანის ანაზღაურების შესახებ.** სავარაუდოდ, ეს საკითხი, საჭიროების შემთხვევაში,

---

[4] საქართველოს მთავრობასთან დადებული მემორანდუმების და შეთანხმებების გარკვეულ ნაწილში ეს საკითხები, მეტნაკლებად, გათვალისწინებულია.

[5] მაგალითად, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 24 მაისის #218 დადგენილებით მოწონებულ იქნა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიის“ წინადადება და საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, მდინარე ხობისწყალზე განსახორციელებელი ჰესების მშენებლობის კასკადებიდან, პირველის - ხობი-2 ჰესის მშენებლობისათვის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შერჩეული 22660.00 m^2 ფართობის მიწის ნაკვეთები, რომლებიც მდებარეობს სახელმწიფო ტყის ფონდის ჩხოროწყუს სატყეო უბნის მუხურის (ყოფილი საკოლმეურნეო ტყე) და თაიას სატყეოებში, დანართის შესაბამისად, ამოირიცხა სახელმწიფო ტყის ფონდიდან მათი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის მიზნით.

დარეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად[6].

სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მე-5 მუხლი ადგენს მემორანდუმის მოქმედების ვადას და ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობებს. **სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმში, მისი მოქმედების ვადა, დაზუსტებული არაა. 107-ე დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ეს ვადა წესით არ შეიძლება იყოს ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების დღიდან 10 წელზე ნაკლები** (რათა სათანადოდ იქნეს უზრუნველყოფილი ელექტროენერგიის საქართველოს შიდა საჭიროებისთვის სავალდებულო რეალიზაციასთან დაკავშირებული კომპანიის მიერ ნაკისრი 10-წლიანი ვალდებულების შესრულება).

რაც შეეხება სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტას, მე-5 მუხლის მიხედვით, ეს დასაშვებია 3.6 პუნქტის შესაბამისად. ამ დროს, 3.6 პუნქტი ეხება მხოლოდ საბანკო გარანტიას და საერთოდ არ ითვალისწინებს სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხს. სავარაუდოდ, აქ შეცდომაა დაშვებული და ნაცვლად 3.6 პუნქტისა, უნდა მითითებული იყოს 3.8 და 3.9 პუნქტები, რომლებიც ითვალისწინებენ საქართველოს მთავრობის ინიციატივით სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტის შესაძლებლობას. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი, არ ითვალისწინებს კომპანიის მიერ მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის შესაძლებლობას.** სავარაუდოდ, საჭიროების შემთხვევაში, ეს საკითხი დარეგულირებულ იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მე-6 მუხლი ეხება ცვლილებების და დამატებების შეტანის საკითხს, ხოლო **მე-7 მუხლი** ოფიციალურ შეტყობინებებს. ეს მუხლები, ძირითადად, იდენტურია საქართველოს მთავრობის მიერ გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმების უმეტესობაში, თუმცა, ზოგიერთი მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს მხარეთა მიერ ცვლილებების ინიცირების და განხორციელების სპეციალურ პროცედურასაც, რაც სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმში არაა გათვალისწინებული.

სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მე-8 მუხლი განსაზღვრავს გამოყენებად სამართალს და დავების განხილვის წესს. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, ეს საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და იგივე დათქმაა საქართველოს მთავრობის მიერ გაფორმებულ ყველა ურთიერთგაგების მემორანდუმში.

რაც შეეხება სადავო სიტუაციების გადაწყვეტას, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მიხედვით, ეს უნდა მოხდეს საქართველოს საერთო სასამართლოებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბოლო წლების სასამართლო სტატისტიკის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ კერძო კომპანიის მიერ ადმინისტრაციული დავის მოგების ალბათობა საქართველოს საერთო სასამართლოებში, მინიმალურია! ეს მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს კომპანი(ებ)ისთვის დავის წარმოშობის შემთხვევაში. სავარაუდოდ, სწორედ ამის გამოა, რომ ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობასთან დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმებისა და შეთანხმებების მნიშვნელოვან ნაწილში, დავის განხილვა, საქართველოს საერთო სასამართლოების ნაცვლად, გათვალისწინებულია საერთაშორისო არბიტრაჟში.

სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მე-9 მუხლი ეხება ასლებს და მემორანდუმის ენას. ამ მუხლის მიხედვით, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი ორ-ორ ეგზემპლარად უნდა შედგეს ქართულ და ინგლისურ ენებზე. გარკვეულწილად უცნაურია, როდესაც ხელშეკრულებას (ურთიერთგაგების მემორანდუმი კი, ხელშეკრულებაა თავისი არსით) ჰყავს სამი მხარე, მისი შედგენა კი, მხოლოდ ორ ეგზემპლარადაა გათვალისწინებული. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის ტექსტიდან არ ირკვევა, თუ რომელ მხარეს უნდა შეხვდეს მემორანდუმის ხელმოწერილი ორიგინალი და რომელს - არა.

ასევე, გაუგებარია, თუ რატომ უნდა შედგეს ურთიერთგაგების მემორანდუმი, ქართულთან ერთად, ინგლისურ ენაზეც, რადგან, თუ სტატისტიკას გადავხედავთ, 107-ე დადგენილების საფუძველზე, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის შესაბამისად გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმების აბსოლუტური უმრავლესობა გაფორმებულია საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებთან.

[6] საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ზოგიერთი მემორანდუმი ითვალისწინებს, როგორც საინვესტიციო ხარჯების, ისე კომპანიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს, საქართველოს მთავრობის მიზეზით მემორანდუმის შეწყვეტისას.

1.5 ინფორმაციის გამჭვირვალობის საკითხები

ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სავარაუდოდ, არ მოიაზრება 107-ე დადგენილების პრიორიტეტებში, თუმცა, დადგენილებით დამტკიცებული წესი მაინც ითვალისწინებს დებულებებს, გარკვეულ ეტაპზე, ინფორმაციის ნაწილის საჯაროობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. მაგალითად, 107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-9 პუნქტის თანახმად, *„ენერგეტიკის სამინისტროში წარდგენილ განაცხად(ებ)ს რეგისტრაციაში ატარებს სამინისტრო (კანცელარია). რეგისტრაციიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში სამინისტრო თავის ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე (www.minenergy.gov.ge) აქვეყნებს ინფორმაციას შემოსული განაცხად(ებ)ის შესახებ...“, ხოლო 107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-20 პუნქტის მიხედვით, „მემორანდუმის გაფორმების შემდეგ ენერგეტიკის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე (www.minenergy.gov.ge) განთავსდება ინფორმაცია გაფორმებული მემორანდუმის შესახებ...“* სამწუხაროდ, ეს ჩანაწერები არასაკმარისია განსახორციელებელი პროექტების გამჭვირვალობის სათანადოდ უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება უშუალოდ სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმს, მასში არაა ჩანაწერი არც ინფორმაციის საჯაროობის და არც კონფიდენციალობის შესახებ[7]. მიუხედავად ამისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, კომპანიას მაინც აქვს საშუალება, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისგან, კომპანიის მიერ წარდგენილი ინფორმაციის (ან მისი ნაწილის) კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადება. ასეთი შემთხვევებისთვის, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმში, შეიძლებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო გარკვეული დათქმები, ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, თუმცა, ასეთ დებულებებს სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმში არ ვხვდებით. მართალია, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მხარეებს, მის საფუძველზე, ერთმანეთის მიმართ ნაკისრი აქვთ ინფორმაციის წარდგენასთან, ან მოპოვებაში დახმარებასთან დაკავშირებული გარკვეული ვალდებულებები, თუმცა, ეს არ ემსახურება ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

ამ კონტექსტში, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამჭვირვალობის პრინციპები არ იყო დაცული არც 107-ე დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის შემუშავების და არც მის საფუძველზე (და მისი განხორციელების მიზნით) სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის შემუშავების პროცესში, რაც ლახავს საზოგადოების წარმომადგენელთა კანონიერ უფლებებს, შემდეგ გარემოებათა გამო:

107-ე დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“ – საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესი“, ნებისმიერ შემთხვევაში, კავშირშია გარემოს დაცვის თემატიკასთან, რადგან ამ პროგრამის განხორციელებას აუცილებლად ექნება გავლენა გარემოს მდგომარეობაზე საქართველოში. საქართველო, როგორც ,,გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის” (შემდგომში – „ორჰუსის კონვენცია“) მხარე, ორჰუსის კონვენციის მე-7 მუხლის საფუძველზე (ასევე, მე-8 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით), ვალდებული იყო, სათანადოდ უზრუნველეყო საზოგადოების მონაწილეობა ამ პროგრამის შემუშავებაში, ღია და სამართლიანი პროცედურის ფარგლებში. საზოგადოების მონაწილეობა უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო, სულ მცირე, ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლის მე-3, მე-4 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ ფარგლებში, რაც არ მომხდარა.

საზოგადოების მონაწილეობა არ იყო უზრუნველყოფილი არც 107-ე დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ მთავრობის დადგენილებების მომზადებისას. 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 107-ე დადგენილებაში (და ამ დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამაში) შეტანილია შვიდი ცვლილება, რომელთაგან ზოგიერთი არსებითი ხასიათისაა. არსებითი ხასიათის ცვლილებებიდან აღსანიშნავია, მაგალითად, ის ცვლილებები, რომლებითაც, ფაქტიურად, შეიზღუდა დადგენილების მოქმედების სფერო (107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესის პუნქტები 23 და 23^2), მემორანდუმის მხარე კომპანიებს უფლება მიეცათ უარი თქვან ესკო-სთან წინასწარ გასაფორმებელი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებაზე (107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 პუნქტი) და ზოგ შემთხვევაში, დასაშვებად იქნა მიჩნეული წარდგენილი საბანკო გარანტიის შემცირება (107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესის 7^1 პუნქტი).

[7] სპეციალური მუხლი ინფორმაციის კონფიდენციალობის შესახებ არსებობს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებულ რამოდენიმე ურთიერთგაგების მემორანდუმში.

2. საქართველოს მთავრობასა და ინვესტორებს შორის ენერგეტიკული პროექტების განხორციელების თაობაზე დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმები და შეთანხმებები

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ათავსებს მიმდინარე საინვესტიციო ენერგო-პროექტების ჩამონათვალს, რომელიც პერიოდულად ახლდება[8]. 2011 წლის ნოემბერში მწვანე ალტერნატივამ თხოვნით მიმართა სამინისტროს, მოეწოდებინა 2011 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით სამინისტროს ვებ-გვერდზე ჩამოთვლილი ენერგო-პროექტების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის მიერ დადებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას მიაწოდა ყველა მოთხოვნილი დოკუმენტის ასლი, გარდა ერთისა (საქართველოს მთავრობას, Clean Energy Invest A.S. და შპს „აჭარისწყალს“ შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი), რომელიც სამინისტროს გაცხადებით, კომერციულ საიდუმლოებად იქნა მიჩნეული. 2012 წლის მაისში მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თხოვნით, მოეწოდებინა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წ. 5 აგვისტოს #136 ბრძანების ასლი, რომლითაც ურთიერთგაგების მემორანდუმი კომერციულ საიდუმლოებად იქნა მიჩნეული; ორგანიზაციამ, ასევე, ითხოვა მემორანდუმიდან კომერციული ღირებულების მქონე მონაცემების გამოცალკევება და მემორანდუმის საჯარო ინფორმაციის შემცველი ნაწილის ასლის მოწოდება. როგორც სამინისტროს პასუხიდან გაირკვა, Clean Energy Invest A.S.-სა და შპს „აჭარისწყალთან“ დაიდო არა ურთიერთგაგების მემორანდუმი, არამედ „განხორციელების ხელშეკრულება“. ამასთან, მინისტრის ბრძანებით, *„განხორციელების ხელშეკრულება სრულად (მისი ყველა პუნქტი) მიჩნეულ იქნა კომერციულ საიდუმლოებად“*[9].

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების და ახალი მინისტრთა კაბინეტის დამტკიცების შემდეგ, 2012 წლის ნოემბერში, მწვანე ალტერნატივამ კიდევ ერთხელ მიმართა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს. ორგანიზაციამ ითხოვა ხელშეკრულების გასაიდუმლობის კანონიერების საკითხის შესწავლა და კომერციული საიდუმლოების შემცველობის დადასტურების შემთხვევაში, კომერციული ფასეულობის მქონე ინფორმაციის გამოცალკევება და დოკუმენტის საჯარო ნაწილის ასლის მოწოდება. პასუხად, 2012 წლის დეკემბერში, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას მიაწოდა ხელშეკრულების საჯარო ნაწილის ასლი (კომერციული საიდუმლოების შემცველი ნაწილების გარეშე)[10]. ეს ხელშეკრულება ამ ანგარიშში არ არის გააანალიზებული, ვინაიდან მისი მოწოდების დროისთვის წარმოდგენილი კვლევა, პრაქტიკულად, დასრულებული იყო.

---

[8] იხ. http://www.menr.gov.ge/4473

[9] „საქართველოს მთავრობას, კომპანია Clean Energy Invest AS-ს და შპს „აჭარისწყალს“ შორის 2011 წლის 10 ივნისს დადებული განხორციელების ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 5 აგვისტოს #136 ბრძანების თანახმად, განხორციელების ხელშეკრულება მიჩნეულ იქნა კომერციულ საიდუმლოებად Clean Energy Invest AS-ის 2011 წლის 20 ივლისის წერილში მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27[2] მუხლის, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 მარტის #133 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის და 2011 წლის 26 ივლისის #28 საქართველოს მთავრობის სხდომის ოქმის (XXXII საკითხი) საფუძველზე. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ხელშეკრულება ითვალისწინებს აჭარაში შემდეგი ექვსი ჰესის მშენებლობას: ზომლეთი - 31.20 მგვტ, ვაიო - 40.40 მგვტ, კორომხეთი - 21.00 მგვტ, ჭოროხი - 36.20 მგვტ, აჭარისწყალი 1 – 26.46 მგვტ, აჭარისწყალი 2 – 13.76 მგვტ, აჭარისწყალი 3 – 6.09 მგვტ.

[10] Build, own and operate agreement relating to conduction of the full technical and economic feasibility study, social and environmental impact assessment, detailed design study, as well as financing construction, testing, commissioning, ownership, operation and maintenance of Adjaristsqali cascade hydro power plants between the Government of Georgia represented by the Ministry of Energy and Natural Resources of Georgia, Clean Energy Invest AS and Adjaristsqali LTD. ხელშეკრულება დადებულია 2011 წლის 10 ივნისს ქ. ბათუმში, ინგლისურ ენაზე. ხელშეკრულების მხარეებია: საქართველოს მთავრობა, Clean Energy Invest AS, შპს „აჭარისწყალი“ (ამჟამად შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ - საიდენტიფიკაციო კოდი: 404401438), ესკო (ხელშეკრულების 1.1, 3.3.2 და 8.2.2(c) პუნქტებთან დაკავშირებით), შპს „ენერგოტრანსი“ (ხელშეკრულების 1.1, 2.2.5 და 8.2.2(c) პუნქტებთან დაკავშირებით) და შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (ხელშეკრულების 1.1 და 8.2.2(c) პუნქტებთან დაკავშირებით). როგორც ხელშეკრულების პრეამბულიდან ირკვევა, 2010 წლის აპრილში Clean Energy Invest AS-მა გაიმარჯვა მდ. აჭარისწყალზე ზომლეთის, ვაიოს, ჭორომხეთისა და ჭოროხის ჰესების მშენებლობაზე გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში. 2010 წლის ნოემბერში Clean Energy Invest AS-მა გამოხატა სურვილი, გაეერთიანებინა აჭარისწყალი 1, აჭარისწყალი 2 და აჭარისწყალი 3 ჰესების პროექტები ერთი დასახელების - დანდალოს პროექტის - ქვეშ და ასევე შეერთებინა ის აჭარისწყალზე დაგეგმილი ზემოაღნიშნული ოთხი ჰესის პროექტისთვის. ამგვარად, ხელშეკრულება დადებულია აჭარისწყალის ჰესების კასკადის მშენებლობაზე, რომელიც მოიცავს შემდეგ ჰესებს: ზომლეთი, ვაიო, ჭორომხეთი, ჭოროხი (დადგმული სიმძლავრე 128.8 მგვტ) და აჭარისწყალი 1, აჭარისწყალი 2 და აჭარისწყალი 3 (დადგმული სიმძლავრე 46.3 მგვტ). ჰესების კასკადის საერთო დადგმული სიმძლავრე, ხელშეკრულებით, დაახლოებით 175 მგვტ-ს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოთვლილია მომდევნო ქვეთავებში გაანალიზებული, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურების სამინისტროს მიერ მწვანე ალტერნატივასთვის 2011 წლის დასასრულს მოთხოვნის საპასუხოდ მოწოდებული, ურთიერთგაგების მემორანდუმები და შეთანხმებები[11], ასევე, წარმოდგენილია მათი ძირითადი მახასიათებლები. როგორც ცხრილიდან ჩანს, შეთანხმებების (მემორანდუმები და ხელშეკრულებები) უმრავლესობა შედგენილია ქართულ ენაზე ან ორენოვანია (ქართულ-ინგლისური), ნაწილი კი, მხოლოდ ინგლისურ ენაზეა შედგენილი. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თანახმად, ეს შეთანხმებები დაიდო მხოლოდ ინგლისურ ენაზე და ქართულენოვანი ასლები სამინისტროს არ მოეპოვება. შეთანხმებების დადების თარიღი ნათელია ცხრილში მოყვანილი ყველა შეთანხმების შემთხვევაში (მითითებულია თავად შეთანხმებების ტექსტში), გარდა ერთისა - ესაა საქართველოს მთავრობასა და შპს „ენერგო-არაგვს“ შორის დადებული მემორანდუმი არაგვი-ჰესის მშენებლობის თაობაზე. ცხრილში მოყვანილი ენერგო-პროექტების შესახებ დადებული შეთანხმებებიდან მხოლოდ ერთი ითვალისწინებს ქარის ელექტროსადგურის მშენებლობას; ყველა დანარჩენი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას ეხება. ცხრილიდან ასევე ნათელია, რომ შეთანხმებების დიდი ნაწილი ორმხრივი გარიგებებია, დანარჩენი კი, სამმხრივი, ოთხმხრივი ან ზოგ შემთხვევაში, ხუთმხრივიც (მთავრობისა და კომპანიის/კომპანიების გარდა, შეთანხმების მხარეებად გვევლინებიან შპს ენერგოტრანსი, ესკო, შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა ან/და საქრუსენერგო). შეთანხმებებით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების უმრავლესობა სხვადასხვა დროს მოქცეული იყო საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის #46 ბრძანებით დამტკიცებულ განახლებადი ენერგიის პოტენციური წყარობის ნუსხაში. ზოგ შემთხვევაში, არ არის დადგენილი ამა თუ იმ ჰესის ნუსხაში შეტანის ან/და ამოღების ზუსტი თარიღი, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია მწვანე ალტერნატივასთვის მოწოდებული ინფორმაციის არასრულყოფილებით. განახლებადი ენერგიის პოტენციური წყარობის ნუსხასთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ ნუსხა ყოველთვის მოიცავდა და დღემდე მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურებს; ქარის ელექტროსადგურის პროექტი არასდროს ყოფილა მოხსენიებული განახლებადი ენერგიის პოტენციური წყარობის ნუსხაში.

[11] ჩამოთვლილი მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების ასლები ხელმისაწვდომია მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე: www.greenalt.org

ცხრილი 1. ანგარიშში განხილული ენერგო-პროექტების განსახორციელებლად დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმები და ხელშეკრულებები

№	დოკუმენტის დასახელება / ტიპი & შესრულების ენა	ხელმოწერის თარიღი, ადგილი & მოქმედების ვადა	მხარეები	საგანი	დადგ. სიმძ. / ჯამ. დადგ. სიმძ. ჰესების კასკადებზე (MW)		განახ. ენერგიის პოტენციური წყარობის ნუსხაში[12]
1	ურთიერთგაგების მემორანდუმი (ქართულ ენაზე)	○ 2008 წ. 28 თებერვალი ○ თბილისი ○ 10 წელი ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან	• საქართველოს მთავრობა • შპს „აჭარ ენერჯი 2007“	კინტრიშის ჰესი	7.50		მოხსენიებულია მხოლოდ კინტრიშის ჰესი სავარაუდოდ 13.10.2011 - სავარაუდოდ 17.01.2012[13]
				ქობულეთის I ჰესი	13.30		
				ქობულეთის II ჰესი	14.30		
				კირნათის ჰესი	14.40		
				ხელვაჩაურის ჰესი	22.40		
				ჭოროხის I-II ჰესები	48.00		
2	ურთიერთგაგების მემორანდუმი (ქართულ ენაზე)	○ 2009 წ. 14 მაისი ○ ოზურგეთი ○ 10 წელი ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებიდან	• საქართველოს მთავრობა • შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერი“	ბახვი III ჰესი	6		მოხსენიებულია 27.05.2008 – 10.05.2010
3	ურთიერთგაგების მემორანდუმი (ქართულ ენაზე)	○ 2008 წ. 24 ნოემბერი ○ თბილისი ○ 20 წელი ძალაში შესვლის დღიდან	• საქართველოს მთავრობა • სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასთრაქჩა“	მტკვარი ჰესი	28		მოხსენიებულია 24.06.2008 – სავარაუდოდ 10.05.2010
4	მემორანდუმი (ქართულ ენაზე)	○ თარიღი უცნობია[14] ○ ადგილი უცნობია ○ ინვესტიციის სრულ უკუგებამდე, მაგრამ არაუმეტეს 8 წლისა ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებიდან	• საქართველოს მთავრობა • შპს „ენერგო-არაგვი“	ჰესების კასკადი მდ. თეთრი არაგვის ხეობაში, სოფელ ზემო მლეთის ჩრდილოეთით	არ არის დადგენილი	8	არ არის მოხსენიებული. მემორანდუმი დადებულია 2008 წლის აპრილამდე (ნუსხის დამტკიცებამდე)

[12] განახლებადი ენერგიის პოტენციური წყარობის ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის #46 ბრძანებით. ნუსხა, მისი დამტკიცებიდან 2012 წლის 11 აპრილამდე (მწვანე ალტერნატივასთვის მოწოდებული ბოლო ცვლილება დათარიღებულია 2012 წლის 10 აპრილით) სულ მცირე 30-ჯერ შეიცვალა. მწვანე ალტერნატივას მოთხოვნის საპასუხოდ, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ 2012 წლის მაისში ორგანიზაციას მიაწოდა 2008 წლის 23 აპრილის #46 ბრძანება და მასში შესული ცვლილებები. მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ 2008 წლის 23 აპრილიდან 2012 წლის 11 აპრილამდე პერიოდში აღნიშნულ ბრძანებაში შესულია სხვა ცვლილებებიც. ყურადსაღებია, რომ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის #46 ბრძანება არ იძებნება არც „საკანონმდებლო მაცნეს“ და არც პროგრამა „კოდექსის“ ბაზებში; ანალოგიურად, არ იძებნება ბრძანებაში (და ბრძანებას თანდართულ ნუსხაში) შეტანილი ცვლილებები. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქვეყნებს მხოლოდ ბრძანებაში შეტანილ ცვლილებებს, მაგრამ არა ყველას. 2012 წლის ნოემბრის მდგომარეობით, ვებ-გვერდზე განთავსებულია მხოლოდ 2012 წლის იანვარში, თებერვალში და აპრილში შეტანილი ცვლილებები. იხ. http://www.menr.gov.ge/4473

[13] აქ და შემდგომ: პირველი თარიღი აჩვენებს განახლებადი ენერგიის პოტენციური წყაროების ნუსხაში ელექტროსადგურის შეტანის თარიღს, ხოლო მეორე თარიღი - ნუსხიდან ამოღების თარიღს. ელექტროსადგურის ნუსხაში შეტანა ან ამოღება ხორციელდება ენერგეტიკის (და ბუნებრივი რესურსების) მინისტრის ბრძანებით. ზოგ შემთხვევაში, ნუსხაში შეტანის ან/და ამოღების ზუსტი თარიღი არ არის ნათელი (იმის გამო, რომ მწვანე ალტერნატივასთვის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ნუსხაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, სავარაუდოდ, არ არის სრული).

[14] თარიღი არ არის მითითებული. ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ამდენად, სავარაუდოა, რომ დადებულია 2007 წლის ნოემბრამდე.

№	დოკუმენტის დასახელება / ტიპი & შესრულების ენა	ხელმოწერის თარიღი, ადგილი & მოქმედების ვადა	მხარეები	საგანი	დადგ. სიმძ. / ჯამ. დადგ. სიმძ. ჰესების კასკადებზე (MW)		განახ. ენერგიის პოტენციური წყარობის ნუსხაში[12]
5	ურთიერთგაგების მემორანდუმი (ორენოვანი - ქართულ-ინგლისური)	○ 2009 წ. 15 სექტემბერი ○ თბილისი ○ 15 წელი ძალაში შესვლის დღიდან	• საქართველოს მთავრობა • შპს "ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია"	ხობიჰესი-2	25		მოხსენიებულია ორივე ჰესი 17.05.2008 – სავარაუდოდ 10.05.2010
				ხობიჰესი-3	11		
6	ურთიერთგაგების მემორანდუმი (ქართულ ენაზე)	○ 2009 წ. 8 დეკემბერი ○ თბილისი ○ 18 წელი ძალაში შესვლის დღიდან, ან ე.წ. „განხორციელების კონტრაქტის" ძალაში შესვლამდე, რომელიც შესრულდება პირველი	• საქართველოს მთავრობა • Nurol Energy Production and Marketing Inc. (ნუროლი) • Korea Electric Power Corporation (კეპკო) • SK Engineering and Construction Co., Ltd (სკ ე & სი)	ჟონეთის ჰესი	100	450[15]	–
				ნამახვანის ჰესი	250		
				ტვიშის ჰესი	100		
7	ურთიერთგაგების მემორანდუმი (ორენოვანი - ქართულ-ინგლისური)	○ 2009 წ. 27 ივლისი ○ თბილისი ○ 20 წელი ძალაში შესვლის დღიდან	• საქართველოს მთავრობა • შპს „რუსმეტალი"	ლუხუნი 1	10.8	30.30[16]	მოხსენიებულია სამივე ჰესი 19.01.2009 – სავარაუდოდ 10.05.2010
				ლუხუნი 2	12		
				ლუხუნი 3	7.5		
8	ურთიერთგაგების მემორანდუმი (ორენოვანი - ქართულ-ინგლისური)	○ 2009 წ. 28 მაისი ○ ოზურგეთი ○ 10 წელი ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების დღიდან	• საქართველოს მთავრობა • შპს „ზოტი ჰიდრო"	ზოტის ჰესი	36	41.20[17]	არ არის მოხსენიებული არცერთი
				ყვირილა ჰესი	5.20		
9	ურთიერთგაგების მემორანდუმი (ქართულ ენაზე)	○ 2010 წ. 11 ივნისი ○ ადგილი უცნობია ○ 15 წელი ძალაში შესვლის დღიდან	• საქართველოს მთავრობა • საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო • ესკო • შპს „ჯორჯიან რეილვეი ქონსთრაქშენ"	ნენსკრა ჰესი	არ არის წარმოდგენილი[18]		–

[15] მოხსენიებულია როგორც ნამახვანის კასკადი

[16] მოხსენიებულია როგორც ლუხუნის კასკადი

[17] მოხსენიებულია როგორც ზოტის კასკადი

[18] 3.2 პუნქტის თანახმად, მემორანდუმს უნდა ჰქონოდა დანართი, სადაც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო „პროექტის შესახებ სარეკომენდაციო (დაუზუსტებელი) ინფორმაცია". მწვანე ალტერნატივასთვის მოწოდებულ მემორანდუმს დანართი/ები არ ახლავს.

№	დოკუმენტის დასახელება / ტიპი & შესრულების ენა	ხელმოწერის თარიღი, ადგილი & მოქმედების ვადა	მხარეები	საგანი	დადგ. სიმძ. / ჯამ. დადგ. სიმძ. ჰესების კასკადებზე (MW)		განახ. ენერგიის პოტენციური წყარობის ნუსხაში[12]
10	ურთიერთგაგების მემორანდუმი (ინგლისურ ენაზე)[19]	○ 2010 წ. 10 ნოემბერი ○ თბილისი ○ 20 წელი ძალაში შესვლის დღიდან	• საქართველოს მთავრობა • Kolin Construction, Tourism, Industry and Trading Co, Inc\ • შპს „ენერგო ტრანსი“ • ესკო	ნობულევის ჰესი	25.70	105.70[20]	მოხსენიებულია ოთხივე ჰესი 23.04.2008 – 18.12.2009
				ცხიმრას ჰესი	32.00		
				ერჯია ჰესი	27.00		
				ლეჩახა ჰესი	21		
11	ურთიერთგაგების მემორანდუმი (ქართულ ენაზე)	○ 2010 წ. 28 დეკემბერი ○ თბილისი ○ 20 წელი ძალაში შესვლის დღიდან	• საქართველოს მთავრობა • ესკო • UNAL INSAAT VE TICARET AS	ხუნევი ჰესი	11.00		მოხსენიებულია 23.04.2008 – სავარაუდოდ 15.04.2011
12	ურთიერთგაგების მემორანდუმი (ორენოვანი - ქართულ-ინგლისური)	○ 2011 წ. 15 თებერვალი ○ თბილისი ○ 10 წელი ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების დღიდან	• საქართველოს მთავრობა • სს „ენერგო-პრო ჯორჯია“	ალპანა ჰესი	71		მოხსენიებულია მხოლოდ ალპანა ჰესი 23.04.2008 – სავარაუდოდ 15.04.2011[21]
				სადმელის ჰესი	97		
13	ურთიერთგაგების მემორანდუმი (ინგლისურ ენაზე)[22]	○ 2011 წ. 19 თებერვალი ○ თბილისი ○ 20 წელი ძალაში შესვლის დღიდან	• საქართველოს მთავრობა • Optimum Enerji Uretim A.S. • შპს „ენერგო ტრანსი“ • ესკო	არაკალი ჰესი	11		მოხსენიებულია არაკალი და აბული ჰესები 23.04.2008 – 29.10.20009 მოხსენიებულია სამივე ჰესი 07.04.2010 – სავარაუდოდ 15.04.2011
				აბული ჰესი	20		
				ახალქალაქის ჰესი	15		
14	ურთიერთგაგების მემორანდუმი (ქართულ ენაზე)	○ 2011 წ. 17 მაისი ○ თბილისი ○ 20 წელი ძალაში შესვლის დღიდან	• საქართველოს მთავრობა • ესკო • შპს „ენერგია“	ლარსი ჰესი	20.00		მოხსენიებულია სავარაუდოდ 15.04.2011 – სავარაუდოდ 20.10.2011

[19] ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინფორმაციით (2012 წ. მაისი), მემორანდუმი დაიდო მხოლოდ ინგლისურ ენაზე და ქართულენოვანი ასლი სამინისტროს არ მოეპოვება.

[20] ხელშეკრულებაში მოხსენიებულია როგორც ოთხი ჰესისგან შემდგარი კასკადი მდინარე ტეხურაზე, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

[21] 2010 წლის 17 თებერვლის ცვლილებებით, შეიცვალა ალპანა ჰესის სიმძლავრე - 69 მგვტ შეიცვალა 70.6 მგვტ სიმძლავრით.

[22] ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინფორმაციით (2012 წ. მაისი), მემორანდუმი დაიდო მხოლოდ ინგლისურ ენაზე და ქართულენოვანი ასლი სამინისტროს არ მოეპოვება.

№	დოკუმენტის დასახელება / ტიპი & შესრულების ენა	ხელმოწერის თარიღი, ადგილი & მოქმედების ვადა	მხარეები	საგანი	დადგ. სიმძ. / ჯამ. დადგ. სიმძ. ჰესების კასკადებზე (MW)	განახ. ენერგიის პოტენციური წყარობის ნუსხაში[12]
15	ურთიერთგაგების მემორანდუმი (ქართულ ენაზე)	○ 2011 წ. 23 მაისი ○ თბილისი ○ 20 წელი ძალაში შესვლის დღიდან	• საქართველოს მთავრობა • ესკო • Wind Energy Investment	ქარის ელექტროსადგური ფარავნის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე	50	არ არის მოხსენიებული (ნუსხაში მოხსენიებულია მხოლოდ ჰიდროელექტ-როსადგურები)
16	ხელშეკრულება (ინგლისურ ენაზე)[23]	○ 2011 წ. 28 აპრილი ○ ვენა, ავსტრია ○ 20 წელი ძალაში შესვლის დღიდან	• საქართველოს მთავრობა • Trans Electrica Limited (BVI) • Trans Electrica Georgia Ltd • შპს ენერგოტრანსი • ესკო ხელშეკრულების 3.1 (d,e) და 4.16 პუნქტებთან დაკავშირებით, ხელს აწერენ ასევე: • შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა • საქრუსენერგო	ხუდონის ჰესი	702	–
17	ხელშეკრულება (ინგლისურ ენაზე)[24]	○ 2011 წ. 19 მაისი ○ თბილისი ○ 20 წელი ძალაში შესვლის დღიდან	• საქართველოს მთავრობა • შპს „დარიალი ენერჯი“ • შპს „ენერგოტრანსი“ • ესკო	დარიალის ჰესი	109	მოხსენიებულია 23.04.2008 – სავარაუდოდ 15.04.2011[25]

[23] ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინფორმაციით (2012 წ. მაისი), მემორანდუმი დაიდო მხოლოდ ინგლისურ ენაზე და ქართულენოვანი ასლი სამინისტროს არ მოეპოვება.

[24] ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინფორმაციით (2012 წ. მაისი), მემორანდუმი დაიდო მხოლოდ ინგლისურ ენაზე და ქართულენოვანი ასლი სამინისტროს არ მოეპოვება.

[25] დარიალის ჰესის ნუსხაში შეტანიდან ჰესის ნუსხიდან ამოღებამდე პერიოდში ორჯერ შეიცვალა ჰესის სიმძლავრე; პირველად, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წ. 17 თებერვლის #10 ბრძანებით, 50 მგვტ გაიზარდა 93 მგვტ სიმძლავრემდე; მეორედ, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 12 ოქტომბრის #54 ბრძანებით - 93 მგვტ გაიზარდა 99.9 მგვტ სიმძლავრემდე.

2.1 საქართველოს მთავრობასა და შპს „აჭარა ენერჯი 2007“-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი

მოწონებულ იქნა:	„საქართველოს მთავრობასა და შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ს შორის გასაფორმებელი მემორანდუმის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 20 თებერვლის #59 განკარგულებით. ამავე განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს მიენიჭა მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2008 წლის 28 თებერვალი
მემორანდუმის მოქმედების ვადა:	10 წელი ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან
მემორანდუმის მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. შპს „აჭარა ენერჯი 2007“ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 245591426 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი – 17.04.2007

პროექტის/პროექტების შესახებ:
ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებული იყო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შემდეგი შვიდი ჰესის მშენებლობა: კინტრიშის ჰესი, ქობულეთის I ჰესი, ქობულეთის II ჰესი, კირნათის ჰესი, ხელვაჩაურის ჰესი, ჭოროხის I-II ჰესები. ქართულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2009 წელს „აჭარა ენერჯი 2007“-მა უარი განაცხადა მემორანდუმით გათვალისწინებული სამი ჰესის, მათ შორის, კინტრიშის ჰესის[26] მშენებლობაზე, კინტრიშის დაცულ ტერიტორიებთან სიახლოვის და გარემოსდაცვითი მოსაზრებების გამო.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, შპს „აჭარა ენერჯი 2007“-თან 2011 წლის 1 ივლისს ხელახლა გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, ამჯერად შემდეგი სამი ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე: კირნათის ჰესი (34.6 მგვტ), ხელვაჩაური ჰესი - 1 (36.4 მგვტ) და ხელვაჩაური ჰესი - 2 (34.6 მგვტ).

ჰესების კასკადის მოწყობა დაგეგმილია მდ. ჭოროხის ქვემო წელში, მის ბოლო 21 კმ-იან მონაკვეთზე. პროექტი ითვალისწინებს 3-საფეხურიანი (კირნათი, ხელვაჩაური 1 და ხელვაჩაური 2), კალაპოტური ტიპის ჰესების კასკადის მშენებლობას და ექსპლუატაციას, საერთო სიმძლავრით 105.7 მგვტ. პროექტის პირველი საფეხურის (კირნათი ჰესი) ფუნქციონირებისათვის გამოყენებული იქნება მხოლოდ მდ. ჭოროხის წყალი, კერძოდ, მურათლი ჰესის ნამუშევარი წყალი (დაშორებულია 6 კმ-ით), ხოლო მეორე და მესამე საფეხურებისთვის - როგორც მდ. ჭოროხის, ისე მდ. აჭარისწყლის და მდ. მაჭახელასწყლის წყალი.

კირნათი ჰესის წყალსაცავი მოიცავს სოფელ კირნათსა და სოფელ მარადიდს შორის ტერიტორიას. წყლით დაიფარება ჭოროხის ჭალები და სოფლების კირნათისა და მარადიდის მოსახლეობის კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (სახნავ სათესი სავარგულები, სათიბები და საძოვრები). ხელვაჩაური-1 ჰესი მოეწყობა სოფ. ერგეს მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ ჰესის შემთხვევაში, წყლით დაიფარება მდ. ჭოროხის და მდ. აჭარისწყლის ჭალები, ასევე სოფლების ერგეს, აჭარისწყლისა და მირვეთის მოსახლეობის კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (სახნავ-სათესი ნაკვეთები, სათიბები და საძოვრები). წყლით ნაწილობრივ დაიფარება, ასევე, ხერთვისის ისტორიული ხიდის დღემდე შემორჩენილი ერთადერთი ბურჯი. ხელვაჩაური-2 ჰესი მოეწყობა სოფ. მახოს მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში წყლით დაიფარება მდ. ჭოროხის ჭალები, ასევე სოფლების მახოს და ერგეს მოსახლეობის კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (სახნავ-სათესი ნაკვეთები, სათიბები და საძოვრები).

წყარო: მდ. ჭოროხზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (შპს „აჭარ ენერჯი 2007“, შპს „გამა კონსალტინგი“, 2011). ასოციაცია მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები კინტრიშა-2 ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე (12 სექტემბერი, 2012 წ.)

მიუხედავად იმისა, რომ ეს ურთიერთგაგების მემორანდუმი 107-ე დადგენილების მიღებამდეა ხელმოწერილი, მემორანდუმსა და სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმს შორის დიდი მსგავსებაა. განსახილველი მემორანდუმის მიზანი და მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობების დიდი ნაწილი სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის დებულებების იდენტურია. ამასთან, არსებობს რამოდენიმე არსებითი მნიშვნელობის განსხვავებაც:

[26] კინტრიშის ჰესის მშენებლობაზე, ოპერირებასა და ფლობაზე საქართველოს მთავრობასა და კომპანია „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ (Hydro Development Company) შორის მოგვიანებით გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის თანახმად, კომპანია აჭარაში, მდინარე კინტრიშზე, ააშენებს 5 მეგავატი სიმძლავრის კინტრიშის ჰესს. კინტრიშის ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად

1. სამოდელოსგან განსხვავებით, ეს ურთიერთგაგების მემორანდუმი ორმხრივი გარიგებაა და მისი მხარე არ არის ესკო.

აქვე აღსანიშნავია, რომ განსახილველ მემორანდუმს, შპს „აჭარა ენერჯი 2007“-ის სახელით, ხელს აწერს კომპანიის დირექტორი მეთინ ქუმუშოღლუ (სამეწარმეო რეესტრის მონაცემთა მიხედვით, მეთინ კუმუშოღლუ), რომელსაც მემორანდუმის ხელმოწერის მომენტში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეზღუდული ჰქონდა თავისი კომპანიის 2007 წლის 16 აპრილის (სანოტარო აქტი №1-3521) წესდების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მიხედვით. წესდების აღნიშნული პუნქტის მოთხოვნათა თანახმად, მემორანდუმით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულებების ასაღებად, კომპანიის დირექტორს ესაჭიროებოდა პარტნიორთა გადაწყვეტილება (პარტნიორთა კრების ოქმი), რომელიც მემორანდუმის დანართებში მითითებული არ არის (ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არ ირიცხება). თუ შპს „აჭარა ენერჯი 2007“-ს მხრიდან მემორანდუმი კომპანიის დირექტორის მიერ პარტნიორთა სათანადო წესით გაფორმებული გადაწყვეტილების გარეშე იქნა ხელმოწერილი, ეს, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს გარიგების ბათილობის საფუძვლად, დაინტერესებული პირის მიერ მისი სადავოდ გახდის შემთხვევაში.

2. მემორანდუმი ადგენს სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებულ ვადებსა და პირობებს, შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ის მიერ საქართველოს ბაზარზე ელექტროენერგიის ზამთრის პერიოდში გაყიდვასთან დაკავშირებით.

სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ელექტროენერგიის ქართულ ბაზარზე სავალდებულო გაყიდვის ვადა, ამ მემორანდუმით, ცალსახად არაა განსაზღვრული. ვადის დასაანგარიშებლად საჭიროა კალკულაციის გაკეთება სხვადასხვა მუხლის ანალიზის საფუძველზე. მემორანდუმი ძალში შევიდა 2008 წლის 28 თებერვალს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 10 წლით. ამასთან, აშენებული ელექტროსადგურების ექსპლუატაციაში მიღება იგეგმება 2015 წლისთვის. შესაბამისად, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმით (და 107-ე დადგენილებით) გათვალისწინებული 10-წლიანი ვალდებულებისგან განსხვავებით, ელექტროენერგიის საქართველოს ბაზარზე გასხვისების ვალდებულება შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ დაახლოებით 3 წლის განმავლობაში 2015 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში. ამ კონტექსტში ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით (რომლის მიხედვით, კომპანიას ელექტროენერგიის საქართველოს ბაზარზე რეალიზაციის ვალდებულება ყველა შემთხვევაში უნდა დაეკისროს) განსახილველი მემორანდუმის 3.3 მუხლით გათვალისწინებულის იდენტური ვალდებულება მხოლოდ „საჭიროების შემთხვევაში“ შეიძლება იქნეს გამოყენებული. ამასთან, ეს დებულება არ აზუსტებს, ვინ და რა კრიტერიუმებით უნდა განსაზღვროს, როდის დადგება „საჭიროების შემთხვევა“. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ეს მემორანდუმი ითვალისწინებს არა მთელი გამომუშავებული ელექტროენერგიის, არამედ მხოლოდ 40%-ის და არა 3 თვის, არამედ 6 თვის განმავლობაში სავალდებულო რეალიზაციის შესაძლებლობას საქართველოს ბაზარზე.

3. გარკვეულწილად განსხვავდება საგარანტიო პირობებიც - ამ მემორანდუმში, სამოდელოსგან განსხვავებით, კონკრეტული ციფრები და ვადებია მითითებული. აქვე აღსანიშნავია, რომ სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.6 მუხლის მიხედვით, საბანკო გარანტიის ასლი მემორანდუმს უნდა ერთვოდეს; განსახილველი მემორანდუმის მიხედვით კი, ის წარდგენილ უნდა იქნეს მემორანდუმის ძალაში შესვლიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. ამ მემორანდუმით (მუხლი 3.9), ისევე, როგორც სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმით (მუხლი 3.12), თუ კომპანიის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს მაჟორით, ან მთავრობის, ანდა რომელიმე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მოქმედებით, მემორანდუმის მუხლი, საბანკო გარანტიის ამოქმედების შესახებ, არ მოქმედებს. თუმცა, აქ არსებობს განსხვავებაც. ასეთ შემთხვევებში, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მიხედვით, პასუხისმგებლობის შეზღუდვა ვრცელდება ასევე სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.8 მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს სხვა სახის დამატებით სანქციებს, კომპანიის მიერ გარკვეული სახელშეკრულებო ვადების დარღვევის შემთხვევებისთვის. მემორანდუმის მიხედვით კი, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.8 მუხლის იდენტურ 3.5. მუხლზე, პასუხისმგებლობის შეზღუდვა, რომელიც დადგენილია მემორანდუმის 3.9 მუხლით, არ ვრცელდება. ფაქტიურად, მემორანდუმის მიხედვით, შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ის ინტერესები შედარებით ნაკლებადაა დაცული სახელმწიფოს მხრიდან ზემოქმედებისგან, ვიდრე სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმით, მისი ხელმომწერი კომპანიების ინტერესები, იდენტურ შემთხვევაში.

5. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით (მუხლი 2.3), ამ მემორანდუმით (მუხლი 5) მხარეები არ არიან უფლებამოსილი, ჩართონ სხვა ინვესტორები მემორანდუმით გათვალისწინებული

პროექტის განხორციელებაში („ყოველგვარი წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე“). განსახილველი მემორანდუმის მე-5 მუხლის ფორმულირება საკმაოდ ბუნდოვანი და ორაზროვანია, თუმცა, აშკარაა, რომ სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისაგან განსხვავებულ აკრძალვას ადგენს.

6. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ამ მემორანდუმით (მუხლი 6) მისი მხარეები შეთანხმდნენ კონფიდენციალობის შესახებ. აქვე, აღსანიშნავია, რომ მხარეებს არ აქვთ შეზღუდვა, თუ რა საკითხზე შეუძლიათ გაავრცელონ კონფიდენციალობის მუხლი. საკითხის კონფიდენციალურად მისაჩნევად, საკმარისია, მხარემ ინფორმაციის მიწოდებისას განაცხადოს, რომ ობიექტურად დაინტერესებულია აღნიშნული საკითხის გაუხმაურებლობით. ეს მუხლი, პოტენციურად, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს, მათ შორის, გარემოსდაცვითი ხასიათის ინფორმაციის გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით.

7. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ამ მემორანდუმით (მუხლი 7.2) გათვალისწინებულია მთავრობის მხრიდან მონიტორინგის განხორციელება, კომპანიის მიერ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. იგივე მუხლი, საქართველოს მთავრობას ანიჭებს უფლებას, მთლიანად ან ნაწილობრივ, ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმი არამარტო კომპანიის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში (ასეთ შესაძლებლობას სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმიც ითვალისწინებს), არამედ ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც დაადგენს, რომ „აშკარაა“, კომპანია ვერ შეასრულებს მემორანდუმის პირობებს. ეს ბუნდოვანი ფორმულირება არ გამორიცხავს მთავრობის მხრიდან სუბიექტური ინტერპრეტაციის ალბათობას და შეიცავს პოტენციურ რისკებს კომპანიისთვის.

8. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ამ მემორანდუმით (მუხლი 10), დავების განხილვა უნდა მოხდეს არა საქართველოს საერთო სასამართლოებში, არამედ პარიზის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში.

2.2 საქართველოს მთავრობასა და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერს“-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი

მოწონებულ იქნა:	„საქართველოს მთავრობასა და შპს “ბახვი ჰაიდრო პაუერს” შორის ბახვი ჰესი 3-ის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 12 მაისის #349 განკარგულებით. ამავე განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს მიენიჭა მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2009 წლის 14 მაისი
მემორანდუმის მოქმედების ვადა:	10 წელი ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებიდან
მემორანდუმის მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერ“ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 205270810 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 15.01.2009

პროექტის/პროექტების შესახებ:
პროექტი ითვალისწინებს ოზურგეთის რაიონში, მდინარე ბახვისწყალზე, 6.5 მგვტ სიმძლავრის, დერივაციული ტიპის ბახვი-3 ჰესის მშენებლობას და ოპერირებას. პროექტი გულისხმობს მდინარის წყლის დერივაციას არხითა და მილსადენით დაახლოებით 4 კმ-ის სიგრძის მონაკვეთზე.

პროექტის განსახორციელებლად „ბახვი ჰაიდრო პაუერმა“ 2010 წლის თებერვალში მოიპოვა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და მშენებლობაც დაიწყო. კომპანიამ მშენებლობის პროცესში, როგორც ჩანს, გადაწყვიტა ჰესის სიმძლავრის გაზრდა 9.8 მგვტ-მდე. ასეთი შემთხვევებისთვის („არსებული საწარმოო ტექნოლოგიის შეცვლა განსხვავებული ტექნოლოგიით, რაც იწვევს ექსპლუატაციის პირობების შეცვლას“) საქართველოს კანონმდებლობა ითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვებას. ამდენად, კომპანიამ, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, განაახლა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, გამოაქვეყნა ის და 2012 წლის სექტემბრის დასასრულისთვის დანიშნა საჯარო განხილვა. ამ ეტაპზე უცნობია, მიმართა, თუ არა საბოლოოდ კომპანიამ ნებართვის მოსაპოვებლად გარემოს დაცვის სამინისტროს და მიიღო, თუ არა ნებართვა.

წყარო: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე 2010 წ. 20 თებერვალს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა #6; ბახვი 3 ჰესის მშენებლობის პროექტი: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერი“, შპს „საქართველოს ჰიდროენერგეტიკა“, 2010), ბახვი 3 ჰესი, საერთო განმარტებითი ბარათი, ტომი 1 (შპს “KG Energy”, შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერი“, 2012).

სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ეს მემორანდუმი ორმხრივი გარიგებაა და მისი მხარე არ არის ესკო. სხვა მხრივ, ამ ურთიერთგაგების მემორანდუმის პირობები, ძირითადად, სამოდელოს იდენტურია.

2.3 საქართველოს მთავრობასა და სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასთრაქჩა“-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი

მოწონებულ იქნა:	„საქართველოს მთავრობასა და სს ,,კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასთრაქჩას” შორის მტკვარი ჰესის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 24 სექტემბრის #625 განკარგულებით. ამავე განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს მიენიჭა მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2008 წლის 24 ნოემბერი
მემორანდუმის მოქმედების ვადა:	20 წელი ძალაში შესვლის დღიდან
მემორანდუმის მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასთრაქჩა“ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 205209059 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 07.06.2007

პროექტის/პროექტების შესახებ:
პროექტი ითვალისწინებს 43 მგვტ სიმძლავრის[27] დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ოპერირებას მდ. მტკვარზე ქ. ახალციხის მახლობლად (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი). მტკვარი ჰესის მშენებლობის და ოპერირებისთვის გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სადერივაციო გვირაბის სიგრძე დაახლოებით 9.6 კმ-ია. „გვირაბი გადაიყვანს შედინებას ელექტროსადგურისკენ, მდინარის ყელის 27 კმ-იანი შემოვლით... მინიმალური წყლის ხარჯი, რომლის უზრუნველყოფა შემოვლით ტოტში არის შესაძლებელი უდრის 5.8 კუბ.მ/წმ (რაც ნაკადის ჩვეულებრივი საშუალო წლიური ხარჯის 10%-ს შეადგენს).“.

პროექტს ახორციელებს შპს „მტკვარი ჰესი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205271043, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 20.01.2009), რომლის 100%-იან წილს ფლობს სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასთრაქჩა“.

წყაროები: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე 2011 წ. 3 ნოემბერს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა #98, საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრი.

[27] ყურადსაღებია, რომ ურთიერთგაგების მემორანდუმით ჰესის დადგმული სიმძლავრე განისაზღვრა 28 მგვტ-ით, შპს „მტკვარი ჰესმა“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან გარემოზე ზემოქმედების ნებართვა კი, მოიპოვა 43 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობასა და ოპერირებაზე; მოგვიანებით, კომპანიის განცხადებებში ფიგურირებს ჰესის კიდევ უფრო გაზრდილი სიმძლავრე; მაგალითად, სადაწნეო გვირაბის სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ განცხადებაში ჰესის სიმძლავრე 46.4 მგვტ-ია, იხ.: http://cei.ge/data/file_db/news/ JSC%20Caucasus%20Energy%20&%20Infrastructure%20Announces%20the%20Commencement%20of%20Tunnel%20Drillin20Works_%28GEO%29_xp2DiBy753.pdf

სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ეს მემორანდუმი ორმხრივი გარიგებაა და მისი მხარე არ არის ესკო. სხვა მხრივ, ამ ურთიერთგაგების მემორანდუმის პირობები, ძირითადად, სამოდელოს იდენტურია.

2.4 საქართველოს მთავრობასა და შპს „ენერგო-არაგვს“ შორის დადებული მემორანდუმი

მოწონებულ იქნა:	„საქართველოს მთავრობასა და შპს „ენერგო არაგვს“ შორის გასაფორმებელი მემორანდუმის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 22 აგვისტოს #450 განკარგულებით. ამავე განკარგულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიენიჭა მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	ზუსტი თარიღი მემორანდუმში მითითებული არ არის (მითითებულია მხოლოდ 2007 წ.)[28]. ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.
მემორანდუმის მოქმედების ვადა:	ინვესტიციის სრულ უკუგებამდე, მაგრამ არაუმეტეს 8 წლისა ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებიდან.
მემორანდუმის მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. შპს „ენერგო-არაგვი“ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 204515177 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 08.08.2006

პროექტის/პროექტების შესახებ:
პროექტი ითვალისწინებს მდინარე თეთრ არაგვზე (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), სამთო-სათხილამურო კურორტ გუდაურის მახლობლად, 7.7 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ოპერირებას. დაგეგმილია, ასევე, თეთრი არაგვის მარჯვენა შენაკადზე 1.2 მგვტ სიმძლავრის მეორე ჰესის მშენებლობაც, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. მეორე ჰესის მშენებლობის შემთხვევაში, ჰესების ჯამური სიმძლავრე 9.2 მგვტ იქნება.

2009 წელს, შპს „ენერგო არაგვმა“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ორჯერ მიმართა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად. პირველად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ უარი თქვა ნებართვის გაცემაზე (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წ. 1 ივნისის #ი-299 ბრძანება), კომპანიის მიერ ნებართვის მისაღებად წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის უხარისხობის მოტივით. მეორედ კომპანიამ სამინისტროს გადამუშავებული გარემოზე ზემოქმედების ანგარიშით მიმართა და ნებართვაც მოიპოვა (2009 წ. დეკემბერი).

წყაროები: გუდაურის მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (შპს „ენერგო არაგვი, 2009); ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე #60, 2009 წ. 29 მაისი; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წ. 1 ივნისის #ი-299 ბრძანება; ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე #104, 2009 წ. 8 დეკემბერი.

1. ეს მემორანდუმი არ შეესაბამება სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმს. სავარაუდოდ, მემორანდუმი გაფორმებულია 107-ე დადგენილების მიღებამდე, რადგან ის დათარიღებულია 2007 წლით. მემორანდუმის ჩვენს ხელთ არსებული ასლი არ შეიცავს ინფორმაციას ხელმოწერის ზუსტი თარიღის შესახებ, რაც მნიშვნელოვანი ხარვეზია, რადგან არ იძლევა მემორანდუმის ძალაში შესვლის თარიღის დადგენის საშუალებას.

2. მემორანდუმით კომპანიას არ გააჩნია რაიმე ვალდებულება ელექტროენერგიის საქართველოს ენერგობაზარზე (საქართველოს შიდა საჭიროებისთვის) რეალიზაციისთვის; პირიქით, ე.წ. „მთავრობის განცხადებების“ გრაფაში (მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი) მთავრობას გაცხადებული აქვს, რომ კომპანიას მიეცემა წარმოებული ელექტროენერგიით თავისუფალი ვაჭრობის საშუალება (ანუ კომპანიას მყიდველის არჩევასთან დაკავშირებით სრული თავისუფლება აქვს).

გარდა ამისა, ე.წ. „მთავრობის განცხადებების“ გრაფაში (მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი) მითითებულია, რომ უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება ესკო-სთან; ამასთან, კომპანიის მიერ შემოთავაზებული ელექტროენერგიის სარეალიზაციო ღირებულება გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამის ნასყიდობის ხელშეკრულებაში. ამგვარად, ამ პუნქტის მიხედვით, ფაქტიურად, გამოდის, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ესკო-მ შეიძინოს კომპანიის მიერ წარმოებული ელექტროენერგია ამ უკანასკნელის მიერვე შეთავაზებულ

[28] ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული მიმდინარე საინვესტიციო პროექტების ნუსხაში, ურთიერთგაგების მემორანდუმის დადების თარიღად მითითებულია 2007 წ. 4 სექტემბერი http://www.menr.gov.ge/common/get_doc.aspx?doc _id=7548

ფასად (აქვე გასათვალისწინებელია, რომ ელექტროენერგიის ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაცია არ შედის კომპანიის ვალდებულებებში, შესაბამისად, ეს მხოლოდ კომპანიის უფლებებში მოიაზრება).

3. ე.წ. „მთავრობის განცხადებების“ გრაფაში (მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი) მთავრობას გაკეთებული აქვს კიდევ ერთი ძალზე უცნაური და ზოგადი ხასიათი განცხადება. კერძოდ, მთავრობა აცხადებს, რომ ის მუდმივად დაუჭერს მხარს ყველა იმ სიახლეს, *„რომელიც შემოთავაზებულ იქნება კომპანიის მიერ ობიექტის გასაუმჯობესებლად, ახალი კომუნიკაციების დასანერგად ან/და ახალი ანალოგიური საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად“*. მსგავსი უპირობო განცხადება, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, მთავრობის სრულ მხარდაჭერას უცხადებს კონკრეტულ კომპანიას, როგორც არსებულ პროექტთან დაკავშირებით, ისე მის ახალ წამოწყებებში, შეიცავს არა მარტო კორუფციულ რისკებს, არამედ ფინანსურ რისკებსაც სახელმწიფოსთვის. ასეთი ზოგადი და უსაფუძვლო ვალდებულებების გამო, საქართველოს უახლოეს წარსულში უკვე ჰქონდა მნიშვნელოვანი პრობლემები საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოებში; ეს, არც ამ შემთხვევაშია გამორიცხული, ვანაიდან მემორანდუმის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მთავრობას აღებული აქვს ვალდებულება, აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი კომპანიას (მუხლი 2, პუნქტი „ე“). დავების განხილვა კი, განსახილველი მემორანდუმის მე-6 მუხლის მიხედვით, გათვალისწინებულია ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს წესების შესაბამისად, ერთი არბიტრის მიერ (არბიტრაჟის ადგილი არაა დაზუსტებული).

4. მემორანდუმის მე-8 მუხლი შეიცავს დათქმას ინფორმაციის კონფიდენციალობასთან დაკავშირებით, რომლის მსგავსი დებულება სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმში არ არის.

2.5 საქართველოს მთავრობასა და სს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია“-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი

მოწონებულ იქნა:	„საქართველოს მთავრობასა და შპს ,,ქართულ საინვესტიციო ჯგუფ ენერგიას” შორის ხობიჰესი-2-ისა და ხობიჰესი-3-ის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 სექტემბრის #666 განკარგულებით. განკარგულებაში გაკეთებულია დათქმა, რომ ურთიერთგაგების მემორანდუმზე არ უნდა გავრცელდეს 107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესი. ამავე განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს მიენიჭა მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2009 წლის 15 სექტემბერი
მემორანდუმის მოქმედების ვადა:	15 წელი ძალაში შესვლის დღიდან
მემორანდუმის მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. სს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია“ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 205256177 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 09.06.2008

პროექტის/პროექტების შესახებ:
დაგეგმილია სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. ხობისწყალის ხეობაში, სოფ. მუხურთან ჰესების კასკადის მშენებლობა და ექსპლუატაცია. პროექტი გულისხმობს ორი დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის - ხობიჰესი-2-ისა და ხობიჰესი-3-ის მშენებლობას. თავდაპირველად, პირველ ეტაპზე დაგეგმილია ქვედა, ხობი ჰესი 2-ის მშენებლობა, დადგმული სიმძლავრით 41.4 მგვტ, მეორე ეტაპზე კი, ზედა, ხობი ჰესი-3-ის მშენებლობა, დადგმული სიმძლავრით 48.0 მგვტ.

ხობი ჰესი-2-ის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, პროექტი ითვალისწინებს დაახლოებით 7 კმ-ის მანძილზე მდინარის წყლის დერივაციას (გვირაბით და მილსადენით); ამასთან, წყლის აღებისას მდინარეში დარჩენილი სანიტარული ხარჯი საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ს შეადგენს.

წყარო: მდ. ხობისწყალზე (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი) ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (შპს საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი „ენერგია“, სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“, 2011)

ეს მემორანდუმი ორმხრივი გარიგებაა და მისი მხარე არაა ესკო. ამასთან, ეს მემორანდუმი თითქმის იდენტურია სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის, თუ არ ჩავთვლით მცირე განსხვავებებს.

1. არსებითი სახის სხვაობად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მემორანდუმის 3.6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ბოლო აბზაცი, რომლის მიხედვით, კომპანიის მიერ ვადების დარღვევის გამო მემორანდუმის შეწყვეტის და უძრავი ქონების ძველი მესაკუთრისთვის დაბრუნების შემთხვევაში, კომპანიას უფლება აქვს მოახდინოს მიწის ნაკვეთზე განთავსებული მის მიერ შექმნილი ან დაფინანსებული უძრავი ქონების დემონტაჟი, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

მშენებლობის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მსგავსი უფლების მიცემა კომპანიისთვის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის და/ან სხვა აუცილებელი გარემოსდაცვითი ხასიათის მოთხოვნების დაუდგენლად, მნიშვნელოვან გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ხასიათის რისკებს შეიცავს. აღსანიშნავია, რომ სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი არ ითვალისწინებს კომპანიისთვის მსგავსი უფლების მინიჭების შესაძლებლობას.

2. განსხვავებათაგან ასევე აღსანიშნავია მემორანდუმის 3.7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულება, წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს წინადადება ობიექტისთვის საჭირო მიწის კომპანიის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. აღნიშნულ პუნქტში არაა დაზუსტებული, თუ რა თანხა უნდა გადაიხადოს კომპანიამ ქონების პრივატიზებისთვის.

3. არსებითი სხვაობაა ისიც, რომ ეს მემორანდუმი არ ითვალისწინებს კომპანიის მიერ, მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით, საბანკო გარანტიის წარდგენას.

4. იმის გათვალისწინებით, რომ მემორანდუმი ძალაში შევიდა 2009 წლის 15 სექტემბერს, ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება დაგეგმილია 2015 წლის 1 იანვრისთვის, მემორანდუმის მოქმედების ვადა კი, განისაზღვრება 15 წლით, ძალაში შესვლის დღიდან; სავარაუდოდ, ელექტროენერგიის საქართველოს ბაზარზე რეალიზაციის ვალდებულება კომპანიას ექნება არა 10, არამედ დაახლოებით 7 წლის განმავლობაში, რაც ასევე განასხვავებს ამ მემორანდუმს სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისაგან.

2.6 საქართველოს მთავრობასა და Nurol Energy Production and Marketing Inc., Korea Electric Power Corporation და SK Engineering and Construction Co. Ltd-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი[29]

მოწონებულ იქნა:	„საქართველოს მთავრობასა და ,,Nurol Energy Production and Marketing Inc-ს”, “Korea Electric Power Corporation-სა” და “SK Engineering and Construction Co, Ltd -ს” შორის ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ნოემბრის #901 განკარგულებით. ამავე განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს მიენიჭა მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2009 წლის 8 დეკემბერი
მემორანდუმის მოქმედების ვადა:	18 წელი ძალაში შესვლის დღიდან, ან ე.წ. „განხორციელების კონტრაქტის“ ძალაში შესვლამდე, რომელიც შესრულდება პირველი.
მემორანდუმის მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა 2. ქვემოთ ჩამოთვლილი კომპანიები, ერთობლივად მოხსენიებული როგორც „ჯეი ვი ჯგუფი“: • Nurol Energy Production and Marketing Inc. (თურქული კომპანია) • Korea Electric Power Corporation (სამხრეთ კორეული კომპანია) • SK Engineering and Construction Co. Ltd (სამხრეთ კორეული კომპანია)

[29] 2012 წლის თებერვალში ქართულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტი ჯერ კორეულმა და შემდეგ თურქულმა კომპანიებმა დატოვეს. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის მარიამ ვალიშვილის განცხადებით, მხარეებმა ვერ შეასრულეს მემორანდუმით აღებული გარკვეული ვალდებულებები და პროექტი ვერ გაგრძელდა. 2012 წლის 25 იანვარს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მიმართა სააქციო საზოგადოება „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ თხოვნით, რომ ამ უკანასკნელს, თავისი 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, დაეფუძნებინა სააქციო საზოგადოება „ნამახვან ჰესების კასკადი“. 2012 წლის 26 იანვარს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“, სამინისტროს თხოვნის შესაბამისად, მიიღო სს „ნამახვან ჰესების კასკადის“ დაფუძნების გადაწყვეტილება. სს „ნამახვან ჰესების კასკადის“ წესდების თანახმად, ორგანიზაციის „საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ნამახვან ჰესების კასკადის მშენებლობა“.

პროექტის/პროექტების შესახებ:
პროექტი ითვალისწინებს ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობას მდინარე რიონზე, უკვე არსებულ ლაჯანურისა და გუმათის ჰიდროელექტროსადგურებს შორის. საპროექტო არეალი მოიცავს ცაგერის, წყალტუბოსა და ტყიბულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს. კასკადი შედგება სამი - ტვიშის, ნამახვანის და ჟონეთის - კაშხლიანი ჰესისგან. პროექტის საერთო სიმძლავრე 450 მეგავატია: ტვიში - 100 მგვტ, ნამახვანი - 250 მგვტ, ჟონეთი - 100 მგვტ.

პრობლემური საკითხები: პროექტის განხორციელების შემთხვევაში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდება დაახლოებით 924.4 ჰა ფართობის ტერიტორია, აქედან 300 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწები, 261.44 ჰა კი, ტყეები. მიკროკლიმატის ცვლილების გამო, პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდება უნიკალური ტვიშის ვენახები და დაგეგმილი ხვამლის დაცული ტერიტორია. გაძლიერდება ბუნებრივი ჰაბიტატების, ტყეებისა და მდინარის ბინადარ სახეობათა, მათ შორის, საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების დაკარგვის პროცესი. გარდა ამისა, პირდაპირი თუ ირიბი ზემოქმედების ქვეშ მოექცევა რეგიონის 14 სოფელი, ხოლო გადასახლებას დაექვემდებარება 213 ოჯახი (790 ადამიანი).

წყაროები: ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიში (ნოროლ ჰოლდინგი, SK ინჟინერინგი და მშენებელობა, ENCON Environmental Consultancy Co., 2011), „არა დიდ კაშხლებს: 10 მიზეზი, თუ რატომ უნდა ვთქვათ უარი დიდ კაშხლებზე“ (მწვანე ალტერნატივა, 2012).

ეს მემორანდუმი თვისობრივად განსხვავდება სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან, თუმცა, მათ შორის მცირე მსგავსებაც არის.

1. მემორანდუმი შეიცავს წინარე ხელშეკრულების ელემენტებს და ითვალისწინებს, მხარეთა შორის გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში, მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. კერძოდ, მემორანდუმის მიხედვით, მხარეთა შორის შესაძლოა გაფორმდეს ე.წ. „განხორციელების ხელშეკრულება“, რომლის ძალაში შესვლის შემდეგ მემორანდუმი ძალას დაკარგავს. „განხორციელების ხელშეკრულების“ გაფორმება დამოკიდებულია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებზე (რომლის განხორციელებაც მემორანდუმის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია), ასევე, მემორანდუმის 3.2 მუხლით გათვალისწინებული სხვა ფორმალური, იურიდიული და ფინანსური საკითხების მოგვარებაზე.

2. მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს მთავრობას ამ მემორანდუმით აღებული აქვს იმაზე მეტი ვალდებულებები, ვიდრე სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმით. მათ შორის, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს მთავრობის ვალდებულება, გაუწიოს კომპანიას დახმარება (თუ ის ამას მოითხოვს), ისე რომ კომპანიამ *„შეძლოს მოიპოვოს პროექტისთვის დაფინანსება პოტენციური წყაროებიდან, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან“*. ასეთი ზოგადი ფორმულირების მქონე ვალდებულება არ გამორიცხავს საქართველოს მთავრობის მიერ, კომპანიის კრედიტ(ებ)ის უზრუნველყოფის მიზნით, სხვადასხვა სახის გარანტიების გაცემას, რაც შეიცავს გარკვეულ ფინანსურ რისკებს საქართველოსთვის.

3. მემორანდუმის 6.4 მუხლის თანახმად, მხარეებს შეზღუდული აქვთ ერთმანეთისგან კომპენსაციის მოთხოვნის უფლება; თუმცა, საქართველოს მთავრობას ეს მხოლოდ ნაწილობრივ ეხება, რადგან იქვე გაკეთებულია დათქმა, რომ საქართველოს მთავრობას შეიძლება მოეთხოვოს კომპენსაცია 3.2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მემორანდუმი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის მიხედვით კი, დადგენილია, რომ *„დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისგან მისი განთავისუფლების შესახებ“*. შესაბამისად, შეიძლება, გარკვეულ შემთხვევაში, მემორანდუმის 6.4 მუხლი წინააღმდეგობაში მოვიდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლთან, რაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მისი ბათილობის საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მემორანდუმის 6.4 მუხლით დადგენილი შეზღუდვის მიუხედავად, მემორანდუმის მხარეებს მაინც შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა მეორე მხარისთვის განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას მიყენებული ზიანისთვის.

4. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ამ მემორანდუმის მხარეთა შორის დავები (მუხლი 9) განხილულ უნდა იქნეს საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟში, ჟენევაში (შვეიცარია), რაც კომპანიას საშუალებას მისცემს ეფექტურად დაიცვას თავისი ინტერესები სადავო სიტუაციებში.

5. მემორანდუმის 1.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი მოიცავს კომპანიის ერთ-ერთ განსაკუთრებით საინტერესო ვალდებულებას. აღნიშნული ქვეპუნქტის თანახმად, კომპანია იღებს ვალდებულებას, პროექტის მშენებლობის განმავლობაში, *„დაასაქმოს საჭირო მუშახელის 75% ადგილობრივი მოსახლეობისგან, იმ პირობით, რომ ისინი აკმაყოფილებენ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მოთხოვნებსა და კვალიფიკაციას“*. მიუხედავად დათქმისა, რომელიც გარკვეულწილად ზღუდავს ადგილობრივი

მოსახლეობის წარმომადგენელთა დასაქმების შესაძლებლობებს, ეს ვალდებულება მაინც სერიოზულ პროგრესად შეიძლება მივიჩნიოთ სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმთან შედარებით, რომელიც მსგავს ვალდებულებებს კომპანიებისთვის არ ითვალისწინებს. სავალდებულოა ამ მუხლის მოთხოვნათა სათანადოდ ასახვა „განხორციელების ხელშეკრულებაშიც“, რადგან რეალურად სამშენებლო სამუშაოები სწორედ „განხორციელების ხელშეკრულების“ საფუძველზე განხორციელდება. აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ მემორანდუმის მიხედვით, კომპანიას არ გააჩნია რაიმე ვალდებულება, დაასაქმოს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ.

2.7 საქართველოს მთავრობასა და შპს „რუსმეტალს“ შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი

მოწონებულ იქნა:	„საქართველოს მთავრობასა და შპს ,,რუსმეტალს“ შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 25 ივლისის #521 განკარგულებით. განკარგულებაში გაკეთებულია დათქმა, რომ მასზე არ უნდა გავრცელდეს 107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესი. ამავე განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს მიენიჭა მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2009 წლის 27 ივლისი
მემორანდუმის მოქმედების ვადა:	20 წელი ძალაში შესვლის დღიდან
მემორანდუმის მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. შპს „რუსმეტალი“ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 216406306 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 21.03.2005

პროექტის/პროექტების შესახებ:
პროექტი ითვალისწინებს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ლიხეთის თემი), სოფელ ურავში, მდ. ლუხუნის ხეობაში სამი დერივაციული ტიპის ჰესისგან შემდგარი კასკადის მშენებლობას და ექსპლუატაციას. ერთი ჰესის დადგმული სიმძლავრეა 10.8 მგვტ (სადერივაციო გვირაბის სიგრძე - 10.5 კმ; ჰესის ხარჯის გაზრდის მიზნით გვირაბს წყალი მილსადენით მიეწოდება ასევე მდინარე ლაშატურიდან), მეორის - 12 მგვტ (სადერივაციო გვირაბის სიგრძე - 5.3 კმ), მესამე ჰესის კი - 7.5 მგვტ (სადერივაციო გვირაბის სიგრძე - 6.7 კმ). სამივე ჰესის შემთხვევაში, წყალაღების წერტილიდან მდინარეში, ე.წ. სანიტარიული ხარჯის სახით რჩება მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ი.

წყარო: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მდ. ლუხუნის ხეობაში მცირე ჰესების კასკადის განთავსების პროექტზე 2010 წ. 21 ივლისს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა #44; მდ. ლუხუნის ხეობაში (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) მცირე ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (შპს „რუსმეტალი“,სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“, 2010).

ეს მემორანდუმი ორმხრივი გარიგებაა და მისი მხარე არაა ესკო. მემორანდუმი თითქმის იდენტურია სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის, თუ არ ჩავთვლით მცირე განსხვავებებს.

1. არსებითი სახის სხვაობად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მემორანდუმის 3.6 მუხლის „ა“ პუნქტის ბოლო აბზაცი, რომლის თანახმად, კომპანიის მხრიდან ვადების დარღვევის გამო, მემორანდუმის შეწყვეტის და უძრავი ქონების ძველი მესაკუთრისთვის დაბრუნების შემთხვევაში, კომპანიას უფლება აქვს მოახდინოს ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მის მიერ შექმნილი ან დაფინანსებული უძრავი ქონების დემონტაჟი, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

მშენებლობის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასეთი უფლების მიცემა კომპანიისთვის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის ან/და სხვა აუცილებელი გარემოსდაცვითი ხასიათის მოთხოვნების დაუდგენლად, მნიშვნელოვან გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ხასიათის რისკებს შეიცავს. აღსანიშნავია, რომ სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი არ ითვალისწინებს კომპანიისთვის ამგვარი უფლების მინიჭების შესაძლებლობას.

2. განსხვავებათაგან, ასევე, აღსანიშნავია მემორანდუმით (3.7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულება, ობიექტისთვის საჭირო მიწის კომპანიის საკუთრებაში გადაცემის შესახებ საქართველოს პრეზიდენტისთვის წინადადების წარდგენის შესახებ. აღნიშნულ პუნქტში არაა დაზუსტებული, თუ რა თანხა უნდა გადაიხადოს კომპანიამ ქონების პრივატიზებისთვის.

3. არსებითი სხვაობაა ისიც, რომ მემორანდუმი არ ითვალისწინებს მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფად კომპანიის მიერ საბანკო გარანტიის წარდგენას.

2.8 საქართველოს მთავრობასა და შპს „ზოტი ჰიდროს“ შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი

მოწონებულ იქნა:	„საქართველოს მთავრობასა და შპს „ზოტი ჰიდროს“ შორის ზოტიჰესის კასკადის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისი #391 განკარგულებით. განკარგულებაში გაკეთებულია დათქმა, რომ მასზე არ უნდა გავრცელდეს 107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესი. ამავე განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს მიენიჭა მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2009 წლის 28 მაისი
მემორანდუმის მოქმედების ვადა:	10 წელი ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების დღიდან
მემორანდუმის მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. შპს „ზოტი ჰიდრო“ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 205267815 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 25.11.2008
პროექტის / პროექტების შესახებ: სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ინფორმაციით (შპს „ზოტი ჰიდროს“ 95%-იანი წილის მფლობელია სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ და 5%-იანი წილის - შპს „გურია ენერჯი“), პროექტი ითვალისწინებს გურიაში, ჩოხატაურის რაიონში, სოფელი ზოტის მიმდებარედ 41.2 მგვტ სიმძლავრის ზოტის კასკადის მშენებლობას და ოპერირებას. ზოტის კასკადის პროექტის ფარგლებში იგეგმება ორი ჰიდროელექტროსადგურის - 36 მგვტ სიმძლავრის ზოტი ჰესისა და 5.2 მგვტ სიმძლავრის ყვირილა ჰესის - მშენებლობა. პროექტის დიზაინის დეტალები, ისევე როგორც პოტენციური ზეგავლენა ბუნებრივ გარემოსა და მოსახლეობაზე ამ ეტაპზე ცნობილი არ არის. *წყარო: სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ვებ-გვერდი (2012): http://www.energo-pro.ge/ index.php?lang_id= GEO&sec_id=27&info_id=604*	

ეს მემორანდუმი ორმხრივი გარიგებაა და მისი მხარე არაა ესკო. ამასთან, მემორანდუმი თითქმის იდენტურია სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის, თუ არ ჩავთვლით მცირე განსხვავებებს.

1. არსებითი სახის სხვაობად შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს მემორანდუმის 3.6 მუხლის „ა“ პუნქტის ბოლო აბზაცი, რომლის მიხედვით, კომპანიის მიერ ვადების დარღვევის გამო, მემორანდუმის შეწყვეტის და უძრავი ქონების ძველი მესაკუთრისთვის დაბრუნების შემთხვევაში, კომპანიას უფლება აქვს მოახდინოს ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მის მიერ შექმნილი ან დაფინანსებული უძრავი ქონების დემონტაჟი, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

მშენებლობის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მსგავსი უფლების მიცემა კომპანიისთვის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის ან/და სხვა აუცილებელი გარემოსდაცვითი ხასიათის მოთხოვნების დაუდგენლად, მნიშვნელოვან გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ხასიათის რისკებს შეიცავს. აღსანიშნავია, რომ სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი არ ითვალისწინებს კომპანიისთვის ასეთი უფლების მინიჭების შესაძლებლობას.

2. განსხვავებათაგან, ასევე, აღსანიშნავია მემორანდუმით (3.7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულება, ობიექტისთვის საჭირო მიწის კომპანიის საკუთრებაში გადაცემის შესახებ საქართველოს პრეზიდენტისთვის წინადადების წარდგენის შესახებ. აღნიშნულ პუნქტში არაა დაზუსტებული, თუ რა უნდა გადაიხადოს კომპანიამ ქონების პრივატიზებისთვის.

3. არსებითი სხვაობაა ისიც, რომ მემორანდუმი არ ითვალისწინებს მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფად კომპანიის მიერ საბანკო გარანტიის წარდგენას.

2.9 საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ესკო-ს და შპს „ჯორჯიან რეილვეი ქონსთრაქშენ“-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი

მოწონებულ იქნა:	„საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორსა“ და შპს ჯორჯიან რეილვეი ქონსთრაქშენს“ შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 მაისის #647 განკარგულებით [30]. განკარგულებაში გაკეთებულია დათქმა, რომ მდინარე ნენსკრაზე ახალი ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელებაზე არ უნდა გავრცელდეს 107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესი. ამავე განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს მიენიჭა მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2010 წლის 11 ივნისი
მემორანდუმის მოქმედების ვადა:	15 წელი ძალაში შესვლის დღიდან
მემორანდუმის მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
	3. შპს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“ (ესკო) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 205170036 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 07.08.2006 დღეის მდგომარეობით ეს შპს უკვე სააქციო საზოგადოებაა. სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო, რომლის საკუთრებაში არსებული კომპანიის აქციების 100% მართვის უფლებით გადაცემული აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.
	4. შპს „ჯორჯიან რეილვეი ქონსთრაქშენ“ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 204576887 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 15.12.2009

[30] მთავრობის ეს განკარგულება არ იძებნება არც საქართველოს მთავრობის ინტერნეტ-გვერდზე, არც საკანონმდებლო მაცნეს და არც პროგრამა „კოდექსის“ ბაზებში. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას მიაწოდა განკარგულების ასლი, მოთხოვნის საფუძველზე.

პროექტის / პროექტების შესახებ:
პროექტი ითვალისწინებს სამგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 300 მვტ დადგმული სიმძლავრის მაღალდაწნევიანი სეზონური რეგულირების ჰესის მშენებლობას და ექსპლუატაციას. ჰესის მშენებლობა დაგეგმილია მდ. ნენსკრას ხეობაში და გამოყენებული იქნება მდ. ნენსკრას და მდ. ნაკრას ჩამონადენი. მშენებლობა ორ ფაზად განხორციელდება: თავდაპირველად, მდ. ნენსკრაზე აშენდება 210 მგვტ სიმძლავრის ჰესი და მოეწყობა 130 მ სიმაღლის ქვანაყარი კაშხალი, ასევე 200 მლნ კუბური მეტრის წყლის რეზერვუარი (რეზერვუარის სარკის ფართობი 3.7 კვ. კმ) სოფელ ტიტადან (ჭუბერის თემი) 10 კმ-ში. მეორე ფაზაზე კი, იგეგმება მდ. ნაკრას წყლის 11.8 კმ სიგრძის სადერივაციო გვირაბის საშუალებით მდ. ნენსკრას ხეობაში გადაგდება და დამატებით 90 მგვტ სიმძლავრის გამომუშავება.

პრობლემური საკითხები: პროექტის განხორციელებას უარყოფითი ზეგავლენა ექნება როგორც ნაკრის, ისე ნენსკრას ხეობებზე და მდინარეების ეკოსისტემაზე. სვანეთის მაღალმთიანეთში გაიჩეხება 400 ჰა-მდე ხელუხლებელი ტყე და სრულად შეიცვლება არსებული ბუნებრივი ლანდშაფტი. ნენსკრასა და ხუდონზე დაგეგმილი რეზერვუარების ერთობლივი ზემოქმედება, ადგილობრივი კლიმატის ცვლილების თვალსაზრისით, გააუარესებს ადამიანთა ჯანმრთელობას და გამოიწვევს სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ცვლილებას. მნიშვნელოვნად გააქტიურდება პროექტის უშუალო ზემოქმედების არეალში არსებული მყინვარების დნობის პროცესი (5 კმ-ის რადიუსში 2.30 გაიზრდება საშუალო წლიური ტემპერატურა). ამას გარდა, პროექტი ითვალისწინებს 330,000 კუბ. მ გამომუშავებული ქანების განთავსებას პროექტის მიმდებარე ბუნებრივ ხევში და ხევის ფერდობების მცენარეული საფარისაგან სრულად გაწმენდას.

წყაროები: მდ. ნენსკრაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“, სს „ნენსკრა“, 2011); მწვანე ალტერნატივას განცხადება ნენსკრა ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით (მწვანე ალტერნატივა, 2012).

ეს მემორანდუმი ოთხმხრივი შეთანხმებაა და თვისობრივად განსხვავდება სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან.

1. მართალია, ამ მემორანდუმით მხარეები, ზოგადად, აცხადებენ სურვილს, განახორციელონ დაგეგმილი პროექტი, მაგრამ რეალურად ეს მემორანდუმი, ძირითადად, გათვლილია ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ჩატარებაზე. ეს კვლევა, მემორანდუმის თანახმად, კომპანიამ სამი წლის განმავლობაში უნდა დაასრულოს (სამშენებლო პროექტის დეტალები განსახილველ მემორანდუმში მითითებული არაა).

2. მემორანდუმი მოიცავს მხოლოდ ზოგადი ხასიათის დათქმას პროექტის განხორციელების ალბათობასთან დაკავშირებით. კერძოდ, კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ პროექტის განხორციელებას უზრუნველყოფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კვლევის შედეგები გამოავლენს, რომ *„პროექტი არის კომპანიისთვის მიზანშეწონილი“* და თუ მიღწეულ იქნა მემორანდუმის 3.4 მუხლში ჩამოთვლილი სხვა წინაპირობები (რომელთა შორის, სხვა პირობებთან ერთად, მოიაზრება მთელი რიგი ხელშეკრულებების არსებობა, მათ შორის, მესამე პირთა მონაწილეობით).

3. მემორანდუმის მოქმედების ვადა 15 წელია; ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ჩასატარებლად კი, კომპანიას, მემორანდუმის თანახმად, 3 წელი აქვს. ამასთან, სამშენებლო პროექტის განხორციელების ვადები (მათ შორის მშენებლობის დაწყების, დასრულების და ექსპლუატაციაში მიღების ვადები) მემორანდუმით არაა დადგენილი (ჩვენს ხელთ არსებული მემორანდუმის ძირითად ტექსტში ამის შესახებ არაფერია მითითებული, რაიმე სახის დანართები კი, ამ ეტაპზე, ვერ იქნა მოპოვებული).

აღნიშნული გარემოებები შეუძლებელს ხდის პროექტის შესრულებაზე ეფექტური მონიტორინგის განხორციელებას (მიუხედავად იმისა, რომ მემორანდუმის 3.6 მუხლის თანახმად, კომპანია ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, წარუდგინოს მთავრობას სრული ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობის შესახებ).

2.10 საქართველოს მთავრობას, Kolin Construction, Tourism, Industry and Trading Co Inc-ს, შპს „ენერგო ტრანს“-ს და ესკო-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი

მოწონებულ იქნა:	„საქართველოს მთავრობას, Kolin Construction, Tourism, Industry and Trading Co, INC, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის დასადები მემორანდუმის პროექტის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 ოქტომბრის #1316 განკარგულებით[19]. ამავე განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს მიენიჭა მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2010 წლის 10 ნოემბერი
მემორანდუმის მოქმედების ვადა:	20 წელი ძალაში შესვლის დღიდან
მემორანდუმის მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. Kolin Construction, Tourism, Industry and Trading Co INC (თურქული კომპანია)
	3. შპს „ენერგოტრანსი“ (Energotrans LTD) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 204991786 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 12.09.2002
	4. შპს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“ (ესკო) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 205170036 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 07.08.2006 დღეის მდგომარეობით ეს შპს უკვე სააქციო საზოგადოებაა. სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო, რომლის საკუთრებაში არსებული კომპანიის აქციების 100% მართვის უფლებით გადაცემული აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.
პროექტის/პროექტების შესახებ: ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, დაგეგმილია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, მდინარე ტეხურაზე ოთხი ჰესისგან შემდგარი კასკადის მშენებლობა და ოპერირება. პროექტ(ებ)ის დიზაინის დეტალები, ისევე როგორც პოტენციური ზეგავლენა ბუნებრივ გარემოსა და მოსახლეობაზე ამ ეტაპზე ცნობილი არ არის; თუმცა, ურთიერთგაგების მემორანდუმისა და შპს „გროს ენერჯი ჯგუფის“ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ: ნობულევი ჰესის პროექტი ითვალისწინებს 25.7 მგვტ დადგმული სიმძლავრის დერივაციული, წყალსაცავიანი ჰესის მშენებლობას; ცხიმრა ჰესის პროექტი - 32 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობას (ჰესის ტიპი უცნობია); ერჯია ჰესის პროექტი - 27 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობას (ჰესის ტიპი უცნობია); და ლეჩახა ჰესის პროექტი - 21 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობას (ჰესის ტიპი უცნობია). *წყარო: საქართველოს მთავრობას, Kolin Construction, Tourism, Industry and Trading Co Inc-ს, შპს „ენერგო ტრანს“-ს და შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი (2010); შპს „გროს ენერჯი ჯგუფის“ ვებ-გვერდი (2012): http://gegroup.org/index.php?m=781*	

ამ მემორანდუმის, ისევე როგორც სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მიზანი, პროექტის განხორციელებაა, თუმცა, მათ შორის ბევრი არსებითი სახის სხვაობაა.

1. მემორანდუმი ოთხმხრივი გარიგებაა და მისი შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა, მას მომავალში კიდევ ერთი მხარე შეუერთდეს, რადგან პროექტის განხორციელებას, მემორანდუმის მხარე კომპანია Kolin Construction, Tourism, Industry and Trading Co INC აპირებს არა უშუალოდ, არამედ სპეციალურად შექმნილი „პროექტის კომპანიის“ მეშვეობით; „პროექტის კომპანიის“ დაფუძნების ვალდებულება მას აღებული აქვს მემორანდუმის 2.4 მუხლით.

[31] მთავრობის ეს განკარგულება არ იძებნება არც საქართველოს მთავრობის ინტერნეტ-გვერდზე, არც საკანონმდებლო მაცნეს და არც პროგრამა „კოდექსის“ ბაზებში. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას მიაწოდა განკარგულების ასლი, მოთხოვნის საფუძველზე.

2. „პროექტის კომპანიის“ დაფუძნების ზუსტი ვადა მემორანდუმით არ არის დადგენილი - 2.4 მუხლის თანახმად, კომპანიამ „პროექტის კომპანია“ უნდა დააფუძნოს მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ, მშენებლობის ნებართვის აღებამდე. იმის გათვალისწინებით, რომ მემორანდუმით ნაკისრი ყველა ძირითადი ვალდებულება „პროექტის კომპანიის“ შესასრულებელია, კომპანიას შეუძლია ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე, მნიშვნელოვნად გაწელოს კომპანიის დაფუძნება და ამ გზით, გადაავადოს პროექტის განხორციელების დაწყება, რაც, სავარაუდოდ, არ უნდა შედიოდეს საქართველოს მთავრობის ინტერესებში.

3. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მსგავსად, ეს მემორანდუმიც ითვალისწინებს, ზამთრის თვეებში (10 წლის მანძილზე) მთელი გამომუშავებული ელექტროენერგიის საქართველოს ენერგო-ბაზარზე (საქართველოს შიდა საჭიროებისთვის) რეალიზაციას; თუმცა, ამ შემთხვევაში, გაკეთებულია დათქმა, რომელიც ნამეტ (ზედმეტი ოდენობით წარმოებულ) ელექტროენერგიას ეხება: მემორანდუმის 3.4 მუხლის თანახმად, ესკო-ს აქვს უპირატესი უფლება, იმავე ფასად შეისყიდოს ზედმეტი ოდენობით წარმოებული ელექტროენერგია (მემორანდუმში პირდაპირაა მითითებული ესკო–ს მიერ შესაძენი ელექტროენერგიის ფასი). მემორანდუმის 3.4 მუხლის დასასრულს, ძალზე ორაზროვანი წინადადებაა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის 3.4 მუხლის პირველ ნაწილთან: 3.4 მუხლის ბოლო წინადადების მიხედვით, კომპანიას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გაყიდოს წარმოებული (გენერირებული) ელექტროენერგია და მოახდინოს ელექტროენერგიის ექსპორტი. ეს წინადადება, წესით, ნამეტად წარმოებულ ელექტროენერგიას უნდა ეხებოდეს და ამ შემთხვევაში, ის პუნქტის საერთო კონტექსტის შესაბამისი იქნებოდა; ჩანაწერი ბუნდოვანია, ეს კი, ტოვებს ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და შეიცავს პოტენციურ რისკებს.

4. მემორანდუმის 3.6 მუხლში დადგენილია დიფერენცირებული საჯარიმო სანქციები კომპანიის მიერ ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევებისთვის. მსგავს სანქციებს სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი არ ითვალისწინებს (თუმცა, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებული საბანკო გარანტია ამას გარკვეულწილად აბალანსებს). სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ეს მემორანდუმი (მუხლი 4) ითვალისწინებს საბანკო გარანტიის წარდგენას არამარტო წინასამშენებლო სტადიისთვის, არამედ მშენებლობის სტადიისთვისაც და ორივე შემთხვევაში, ფიქსირებული საგარანტიო თანხა თავად მემორანდუმშია დაზუსტებული (საბანკო გარანტიის მოცულობა წინასამშენებლო სტადიისთვის შეადგენს 2 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო მშენებლობის სტადიისთვის - 10 მილიონ აშშ დოლარს).

კომპანიის მიერ საჯარიმო სანქციების გადახდასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულება, მემორან-დუმის მიხედვით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი საბანკო გარანტიებით, თუმცა, მემორანდუმის საფუძველზე კომპანიის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიები (როგორც საწყისი, ისე ახალი, რომელიც წარდგენილი იქნება ძველის ამოწურვის შემთხვევაში) ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 20 მილიონ აშშ დოლარს (3.8 მუხლი).

5. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებულ პირობას ითვალისწინებს მემორან-დუმის 3.10 მუხლის (a) ქვეპუნქტიც, რომლის მიხედვით, მთავრობის მხრიდან მემორანდუმის შეწყვე-ტისას, მიწის ნაკვეთები სახელმწიფოს უსასყიდლოდ უნდა გადასცეს. ასეთ შემთხვევაში, კომპანიას უფლება აქვს მოახდინოს ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მის მიერ შექმნილი, ან დაფინანსებული უძრავი ქონების დემონტაჟი და მოძრავი ქონების გატანა, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

მშენებლობის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მსგავსი უფლების მიცემა კომპანიისთვის, გარემოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის ან/და სხვა აუცილებელი გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაუდგენლად, მნიშვნელოვან გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ხასიათის რისკებს შეი-ცავს. ამასთან, ეს გარკვეულწილად ეწინააღმდეგება „რესტიტუციის პრინციპს“, რომელიც გულისხმობს, რომ საქმიანობის განხორციელების შედეგად დეგრადირებული გარემო აღდგენილი უნდა იყოს პირვან-დელ მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით. „რესტიტუციის პრინციპი“, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“ პუნქტის მიხედვით, საქართველოში გარემოს დაცვის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს.

აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მემორანდუმით გათვალისწინებული საბანკო გარანტია არ უზრუნ-ველყოფს გარემოსთვის და მესამე პირებისთვის მიყენებული შესაძლო ზიანის ანაზღაურებას.

6. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ამ მემორანდუმის 3.11 მუხლის (a) ქვეპუნქტი ადგენს კონკრეტულ ვადებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის, კომპანიის მოთხოვნისამებრ, მათ ხელთ არსებული საჯარო დოკუმენტების ან/და

ინფორმაციის გასაცემად. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადა 30 კალენდარული დღეა და აღემატება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადებს. ფაქტიურად, ამ მუხლის შეუსრულებლობის რისკი მინიმალურია და თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, ეს არამარტო მემორანდუმის, არამედ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევასაც გამოიწვევს.

7. მემორანდუმის 3.11 მუხლის (d) ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს მთავრობას არამარტო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის კომპანიისთვის გადაცემის ვალდებულება აქვს აღებული, არამედ იმის ვალდებულებაც, რომ თუ აუცილებელი იქნება, ყველანაირად დაეხმარება კომპანიას, რათა მოხდეს მისთვის საჭირო მიწის ექსპროპრიაცია, კანონით დადგენილი წესით. მემორანდუმი არ ითვალისწინებს რაიმე პირობას იმ პირთა ინტერესების დასაცავად, რომელთა მიწა, პროექტის განხორციელების მიზნით, შესაძლოა, დაექვემდებაროს ექსპროპრიაციას.

8. მემორანდუმის 3.11 მუხლის (f) ქვეპუნქტის მიხედვით, მთავრობას ასევე აღებული აქვს ვალდებულება მშენებარე გადამცემ ხაზთან დაკავშირებით. ამ ქვეპუნქტის თანახმად, მთავრობა უნდა დაეხმაროს კომპანიას გადამცემი ხაზის მეშვეობით ელექტროენერგიის თურქეთში ექსპორტისთვის საჭირო შესაძლებლობის მიღებაში.

9. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, მემორანდუმის 5.4 მუხლი ადგენს სპეციალურ პირობებს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით; ამავე მუხლით, ასევე, დადგენილია გარკვეული შეზღუდვებიც. მაგალითად, მხარეებს არ ეკისრებათ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მიუღებელი შემოსავლისთვის, ხოლო ასანაზღაურებელი ზიანის მაქსიმალური ოდენობა შეზღუდულია 10 მილიონი აშშ დოლარით (ზოგ შემთხვევაში, კომპანიის პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით 20 მილიონი აშშ დოლარითაა შეზღუდული).

ყურადსაღებია ასევე, რომ მემორანდუმით დადგენილი პასუხისმგებლობის თანხობრივი შეზღუდვა, საქართველოს მთავრობასთან მიმართებაში, ყოველთვის არ მოქმედებს, რადგან იმავე 5.4 მუხლის (c) და (d) ქვეპუნქტები ითვალისწინებენ მთავრობის მიერ, დამატებით, სხვა სახის კომპენსაციების გადახდასაც, რომელთათვისაც ზღვრული ლიმიტი არაა დადგენილი.

კერძოდ, გარდა აღნიშნული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისა, 5.4 მუხლით გათვალისწინებულ ზოგ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა ვალდებულია კომპანიას დამატებით აუნაზღაუროს ინვესტიციის ხარჯები, თუ განსახილველი მემორანდუმი შეწყდება კომპანიის ინიციატივით, მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით (სანაცვლოდ, მთავრობას გადაეცემა ამ ინვესტიციებით შექმნილ–დაფინანსებული ქონება). იმ შემთხვევისთვის კი, თუ განსახილველ მემორანდუმს შეწყვეტს საქართველოს მთავრობა და ეს არ იქნება გამოწვეული კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, მთავრობას ეკისრება არამარტო ინვესტირებული თანხების დაბრუნების ვალდებულება (მთავრობის მიერ გადახდილი ინვესტიციებით შექმნილ–დაფინანსებული ქონების მთავრობის საკუთრებაში გადასვლის სანაცვლოდ), არამედ კომპანიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე (მათ შორის, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით). ეს მუხლი არათანაბარ პირობებში აყენებს საქართველოს მთავრობას კომპანიასთან მიმართებაში, რადგან რეალურად, კომპანიის პასუხისმგებლობა, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ყველა შემთხვევაში შეზღუდულია (არ მოიცავს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას და არ გასცდება შეთანხმებულ ზღვრულ ოდენობას), ხოლო, საქართველოს მთავრობის მიერ, დარღვევის შემთხვევაში გადასახდელი კომპენსაციების ჯამურმა მოცულობამ (პროექტის ღირებულების, საინვესტიციო ხარჯების და კომპანიის პოტენციური შემოსავლების მოცულობის გათვალისწინებით) ასტრონომიულ თანხებს შეიძლება მიაღწიოს. გარდა ამისა, გარემოსთვის მიყენებული ზიანის შესაძლო ანაზღაურების საკითხებს განსახილველი მემორანდუმი საერთოდ არ ითვალისწინებს და სავარაუდოდ, საჭიროების შემთხვევაში, ამ ზიანის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ზომები, საბოლოო ჯამში, საქართველოს ბიუჯეტიდან იქნება დასაფინანსებელი.

10. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ეს მემორანდუმი (მუხლი 5.5), ითვალისწინებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების და სრული ტექნიკური და ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშის სათანადო ხარისხით შედგენას. 5.5 მუხლის (a) ქვეპუნქტის მიხედვით, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ან/და სრულ ტექნიკურ და ეკონომიკურ დასაბუთებაზე დაყრდნობით, თუ კომპანია ჩათვლის, რომ პროექტის განხორციელება შეუძლებელია ან/და შეუსრულებადია, მას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს, შეწყვიტოს, თუ არა მემორანდუმი და გაუგზავნოს, თუ არა მთავრობას შეტყობინება შეწყვეტის შესახებ. 5.5 მუხლის ფორმულირება იმგვარია, რომ საჭიროების შემთხვევაში, კომპანიას, ამ მუხლის საფუძველზე, შეეძლება შეწყვიტოს მემორანდუმი, ზედმეტი დავისა და პასუხისმგებლობის გარეშე.

11. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ასევე, მემორანდუმის მე-8 მუხლით საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებები. ამ მუხლით საქართველოს მთავრობამ შეიზღუდა უფლებები ისეთი საკანონმდებლო აქტების/ცვლილებების (მათ შორის, რომლებიც ეხება დისკრიმინაციულ გადასახადებს ან მსგავს ვალდებულებებს) ინიცირებასთან, ასევე, სხვა ისეთი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით, რომლებსაც შეუძლიათ უშუალო გავლენა იქონიონ მხოლოდ განსახორციელებელ პროექტზე (და არა მსგავს პროექტებზე), მხოლოდ კომპანიაზე, ან „პროექტის კომპანიაზე" (და არა სხვა პირებზე), მხოლოდ იმ კონტრაქტორებზე, ან ოპერატორებზე, რომლებიც კომპანიასთან და „პროექტის კომპანიასთან" საკონტრაქტო ურთიერთობებში არიან (და არა სხვა პირებზე). მსგავს გარანტიებს კომპანიებისთვის, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი არ ითვალისწინებს.

12. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ეს მემორანდუმი ითვალისწინებს დავების გადაწყვეტას საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად გამართული არბიტრაჟის მეშვეობით, ჟენევაში (შვეიცარია).

2.11 საქართველოს მთავრობას, ესკო-ს და კომპანია „UNAL INSAAT VE TICARET AS"-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი

მოწონებულ იქნა:	„საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და კომპანია „UNAL INSAAT VE TICARET AS"-ს შორის ხუნევი ჰესის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ გასაფორმებელი მემორანდუმის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 8 დეკემბრის #1557 განკარგულებით [32]. ამავე განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს მიენიჭა მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება. ურთიერთგაგების მემორანდუმი გაუქმდა „საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და კომპანია „UNAL INSAAT VE TICARET AS"-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 აპრილის #632 განკარგულებით [33].
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2010 წლის 28 დეკემბერი
მემორანდუმის მოქმედების ვადა:	20 წელი ძალაში შესვლის დღიდან
მემორანდუმის მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. შპს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი" (ესკო) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 205170036 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 07.08.2006 დღეის მდგომარეობით ეს შპს უკვე სააქციო საზოგადოებაა. სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო, რომლის საკუთრებაში არსებული კომპანიის აქციების 100% მართვის უფლებით გადაცემული აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.
	3. თურქული კომპანია „UNAL INSAAT VE TICARET AS"
პროექტის/პროექტების შესახებ: ურთიერთგაგების მემორანდუმით, პროექტი ითვალისწინებს 11 მგვტ დადგმული სიმძლავრის ხუნევი ჰესის მშენებლობას იმერეთში, მდინარე ძირულაზე. პროექტის დიზაინი, ისევე როგორც პოტენციური ზეგავლენა ბუნებრივ გარემოსა და მოსახლეობაზე, ცნობილი არ არის. *წყაროები: საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს" და კომპანია „UNAL INSAAT VE TICARET AS"-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი (2010).*	

[32] მთავრობის ეს განკარგულება არ იძებნება არც საქართველოს მთავრობის ინტერნეტ-გვერდზე, არც საკანონმდებლო მაცნეს და არც პროგრამა „კოდექსის" ბაზებში. განკარგულების ასლი თან ერთვოდა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას მიაწოდა 2011 წლის დასასრულს.

[33] მთავრობის ეს განკარგულება არ იძებნება არც საქართველოს მთავრობის ინტერნეტ-გვერდზე, არც საკანონმდებლო მაცნეს და არც პროგრამა „კოდექსის" ბაზებში. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას მიაწოდა განკარგულების ასლი, მოთხოვნის საფუძველზე.

ამ მემორანდუმის ქართულენოვანი ტექსტი შეესაბამება სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმს. მემორანდუმს თანდართული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2010 წლის 29 ნოემბრის #4359 წერილით ირკვევა, რომ მემორანდუმის ინგლისურენოვანი პროექტის რამოდენიმე მუხლი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ქართულენოვანი ტექსტისგან და საჭიროებდა შესწორებას. იმის გამო, რომ ინგლისურენოვანი ტექსტი არ მოგვეპოვება, ვერ ხერხდება ხელმოწერილი ვერსიების შედარება იმის შესამოწმებლად, იყო, თუ არა გამოსწორებული შეუსაბამობები.

2.12 საქართველოს მთავრობასა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი

მოწონებულ იქნა:	„ალპანა ჰესისა და სადმელი ჰესის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 8 თებერვლის #277 განკარგულებით [34]. განკარგულებაში გაკეთებულია დათქმა, რომ ალპანა ჰესისა და სადმელი ჰესის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვაზე არ უნდა გავრცელდეს 107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესი. ამავე განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს მიენიჭა მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2011 წლის 15 თებერვალი
მემორანდუმის მოქმედების ვადა:	10 წელი ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების დღიდან
მემორანდუმის მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 205169066 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 31.07.2006
პროექტის/პროექტების შესახებ: ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, დაგეგმილია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, 71 მგვტ დადგმული სიმძლავრის ალპანა ჰესის (სოფ. ქვედა საირმე) და 97 მგვტ დადგმული სიმძლავრის სადმელი ჰესის (სოფ.სადმელი) მშენებლობა. ჰესების ტიპი, ისევე როგორც ბუნებრივ გარემოსა და მოსახლეობაზე პოტენციური ზეგავლენის საკითხები, ამ ეტაპზე ნათელი არ არის. პროექტები მოხსენიებულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე მიმდინარე პროექტების ნუსხაში. *წყაროები: საქართველოს მთავრობასა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი (2011); ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდი (2012): http://www.menr.gov.ge/4757*	

ეს მემორანდუმი ორმხრივი გარიგებაა და მისი მხარე არაა ესკო. მემორანდუმი თითქმის სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის იდენტურია, თუ არ ჩავთვლით მცირე განსხვავებებს.

1. არსებითი სახის სხვაობად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს განსახილველი მემორანდუმის 3.11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 3.12 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომელთა მიხედვით, კომპანიის მიერ ვადების დარღვევის გამო განსახილველი მემორანდუმის შეწყვეტის და უძრავი ქონების ძველი მესაკუთრისთვის დაბრუნების შემთხვევაში, კომპანიას უფლება აქვს მოახდინოს ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მის მიერ შექმნილი, ან დაფინანსებული უძრავი ქონების დემონტაჟი, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან. მშენებლობის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასეთი უფლების მინიჭება კომპანიისთვის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის ან/და სხვა აუცილებელი გარემოსდაცვითი ხასიათის მოთხოვნების დაუდგენლად, მნიშვნელოვან გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ხასიათის რისკებს შეიცავს. აღსანიშნავია, რომ სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი არ ითვალისწინებს კომპანიისთვის მსგავსი უფლების მინიჭების შესაძლებლობას.

[34] მთავრობის ეს განკარგულება არ იძებნება არც საქართველოს მთავრობის ინტერნეტ-გვერდზე, არც საკანონმდებლო მაცნეს და არც პროგრამა „კოდექსის“ ბაზებში. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას მიაწოდა განკარგულების ასლი, მოთხოვნის საფუძველზე.

2. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ეს მემორანდუმი ითვალისწინებს კომპანიის მიერ ადგილობრივ ენერგო-ბაზარზე ელექტროენერგიის არამარტო სავალდებულო გაყიდვის ვალდებულებას (საქართველოს შიდა საჭიროებისთვის), არამედ ყიდვისასაც, გარკვეულ შემთხვევებში. კერძოდ, 3.6 და 3.7 მუხლების მიხედვით, ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციაში გაშვების დაგვიანების შემთხვევაში, კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციაში შეყვანამდე, საკუთარი სახსრებით შეისყიდის, ამ მემორანდუმის დადების შემდგომ ექსპლუატაციაში შესული ჰიდროელექტროსადგურების და/ან განახლებადი ენერგიის წყაროების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას (გარკვეული შეთანხმებული მოცულობით). ამასთან, განსახილველი მემორანდუმის 3.8 მუხლის მიხედვით, კომპანიას აღებული აქვს ვალდებულება, რომ არ მოითხოვს სემეკ-ისგან იმ დროისთვის მოქმედი სამომხმარებლო ტარიფის გაზრდას, იმ შემთხვევაში, თუ 3.6 და 3.7 მუხლების მიხედვით განხორციელებული შესყიდვები გამოიწვევს კომპანიის ელექტროენერგიის შესასყიდი საშუალო შეწონილი ტარიფის გაზრდას და გადააჭარბებს სემეკ-ის მიერ დადგენილ ზღვარს. ამგვარად, ამ მემორანდუმიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ მემორანდუმით გათვალისწინებული ელექტროსადგურების მშენებლობის დაგვიანების შემთხვევაშიც კი, საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარს და ელექტროენერგიის ახალ ადგილობრივ მწარმოებლებს ექნებათ გარკვეული სარგებელი.

3. არსებითი სხვაობაა ისიც, რომ ეს მემორანდუმი არ ითვალისწინებს მემორანდუმით ნაკისრი ვალ-დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად კომპანიის მიერ საბანკო გარანტიის წარდგენას.

2.13 საქართველოს მთავრობას, Optimum Enerji Uretim A.S.-ს, შპს „ენერგო ტრანს“-ს და ესკო-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი

მოწონებულ იქნა:	„საქართველოს მთავრობას, Optimum Enerji Üretim A.Ş., შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის დასადები მემორანდუმის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის #1740 განკარგულებით. ამავე განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს მიენიჭა მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2011 წლის 19 თებერვალი
მემორანდუმის მოქმედების ვადა:	20 წელი ძალაში შესვლის დღიდან
მემორანდუმის მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. Optimum Enerji Uretim A.S. (თურქული კომპანია)
	3. შპს „ენერგოტრანსი“ (Energotrans LTD) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 204991786 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 12.09.2002
	4. შპს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“ (ესკო) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 205170036 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 07.08.2006 დღეის მდგომარეობით ეს შპს უკვე სააქციო საზოგადოებაა. სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო, რომლის საკუთრებაში არსებული კომპანიის აქციების 100% მართვის უფლებით გადაცემული აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

პროექტის/პროექტების შესახებ:
პროექტი ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში, მდ. ფარავანზე სამსაფეხურიანი (არაქალი ჰესი - 8.79 მგვტ, აბული ჰესი - 22.2 მგვტ და ახალქალაქი ჰესი - 17.28 მგვტ) ჰესების კასკადის მშენებლობას და ექსპლუატაციას, საერთო დადგმული სიმძლავრით 48.27 მგვტ.

პროექტი ითვალისწინებს დერივაციული ტიპის ჰესების მოწყობას; დერივაცია განხორციელდება სადერივაციო მილსადენების და გვირაბების საშუალებით. არაქალი ჰესის დერივაციული სისტემის საერთო სიგრძეა დაახლოებით 13 კმ, აბული ჰესის - დაახლოებით 14 კმ; რაც შეეხება ახალქალაქის ჰესს, ამ ჰესს ორი ძირითადი სათავე ნაგებობა ექნება და ამდენად, ამ ჰესის პროექტი ითვალისწინებს დერივაციის ორ სისტემას - ერთი დაახლოებით 6 კმ სიგრძის და მეორე - 3 კმ სიგრძის. გარდა ამისა, ახალქალაქის ჰესის ძირითადი სათავე ნაგებობისთვის წყლის გაზრდილი ხარჯით მისაწოდებლად, გათვალისწინებულია 630 მ სიგრძის სადერივაციო გვირაბით მდ. კირხბულახის წყლის ნაწილის გადაგდება მდ. ფარავანში. სამივე ჰესის შემთხვევაში, წყლის ეკოლოგიური (სანიტარიული) ხარჯი შეადგენს საშუალო მრავალწლიური ხარჯის 15%-ს.

წყარო: მდ. ფარავანზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში: ვერსია საზოგადოებრივი განხილვისათვის (კომპანია „ოპტიმუმ ენერჯი“, შპს „გამა კონსალტინგი“, 2011).

ამ მემორანდუმის მიზანი, ისევე როგორც სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მიზანი, პროექტის განხორციელებაა, თუმცა, მათ შორის ბევრი არსებითი სახის განსხვავებაა.

1. ეს მემორანდუმი ოთხმხრივი გარიგებაა და მისი შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა მას მომავალში კიდევ ერთი მხარე შეუერთდეს, რადგან პროექტის განხორციელებას, განსახილველი მემორანდუმის მხარე კომპანია Optimum Enerji Uretim A.S. აპირებს არა უშუალოდ, არამედ სპეციალური „პროექტის კომპანიის“ მეშვეობით. „პროექტის კომპანიის“ დაფუძნების ვალდებულება კომპანიას აღებული აქვს მემორანდუმის 2.4 მუხლით.

2. „პროექტის კომპანიის“ დაფუძნების ზუსტი ვადა მემორანდუმით არ არის დადგენილი (2.4 მუხლის მიხედვით, კომპანიამ ეს უნდა განახორციელოს მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ, მშენებლობის ნებართვის აღებამდე). იმის გათვალისწინებით, რომ მემორანდუმით ნაკისრი ყველა ძირითადი ვალდებულება „პროექტის კომპანიის“ შესასრულებელია, კომპანიას შეუძლია ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე, მნიშვნელოვნად გაწელოს კომპანიის დაფუძნება და ამ გზით, გადაავადოს პროექტის განხორციელების დაწყება, რაც, სავარაუდოდ, არ უნდა შედიოდეს საქართველოს მთავრობის ინტერესებში.

3. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის მსგავსად, ეს მემორანდუმიც ითვალისწინებს ზამთრის თვეებში (10 წლის მანძილზე) მთელი გამომუშავებული ელექტროენერგიის საქართველოს ენერგო-ბაზარზე რეალიზაციას, თუმცა, ამ შემთხვევაში, გაკეთებულია დათქმა, რომელიც ნამეტ (ზედმეტი ოდენობით წარმოებულ) ელექტროენერგიას ეხება. მემორანდუმის 3.4 მუხლის თანახმად, ესკო-ს აქვს ზედმეტი ოდენობით წარმოებული ელექტროენერგიის იმავე ფასად შესყიდვის უპირატესი უფლება (მემორანდუმში პირდაპირაა მითითებული ესკო-ს მიერ შესაძენი ელექტროენერგიის ფასი). მემორანდუმის 3.4 მუხლის დასასრულს ძალზე ორაზროვანი წინადადებაა, რომელიც ეწინააღმდეგება ამავე მუხლის პირველ ნაწილს: ამ წინადადების მიხედვით, კომპანიას შეუძლია სხვაგვარად გაყიდოს წარმოებული (გენერირებული) ელექტროენერგია, თავისი შეხედულებისამებრ და შეუძლია მოახდინოს ელექტროენერგიის ექსპორტი. ეს წინადადება, წესით, ნამეტად წარმოებულ ელექტროენერგიას უნდა ეხებოდეს და ამ შემთხვევაში, ის პუნქტის საერთო კონტექსტის შესაბამისი იქნებოდა; ჩანაწერი ბუნდოვანია, ეს კი, ტოვებს ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და შეიცავს პოტენციურ რისკებს.

4. მემორანდუმის 3.6 მუხლით დადგენილია დიფერენცირებული საჯარიმო სანქციები კომპანიის მიერ ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევებისთვის. მსგავს სანქციებს სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი არ ითვალისწინებს (თუმცა, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებული საბანკო გარანტია ამას გარკვეულწილად აბალანსებს). კომპანიის მიერ საჯარიმო სანქციების გადახდასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულება, ამ მემორანდუმის მიხედვით, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შესაბამისი საბანკო გარანტი(ებ)ით, თუმცა, მემორანდუმის საფუძველზე კომპანიის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიები (როგორც საწყისი, ისე ახალი, რომელიც წარდგენილი იქნება ძველის ამოწურვის შემთხვევაში) ჯამში არ შეიძლება აღემატებოდეს 20 მილიონ აშშ დოლარს (3.8 მუხლი).

მემორანდუმის მე-4 მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ საბანკო გარანტია წარდგენილ იქნა 107-ე დადგენილების შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ გარანტიის პირობები უნდა შეესაბამებოდეს 107-ე დადგენილების მოთხოვნებს.

5. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებულ პირობას ითვალისწინებს მემორანდუმის 3.10 მუხლის (a) ქვეპუნქტიც, რომლის მიხედვით, მთავრობის მხრიდან მემორანდუმის შეწყვე-

ტისას, მიწის ნაკვეთები სახელმწიფოს უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს. ასეთ შემთხვევაში, კომპანიას უფლება აქვს მოახდინოს ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მის მიერ შექმნილი ან დაფინანსებული უძრავი ქონების დემონტაჟი და მოძრავი ქონების გატანა, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან. მშენებლობის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მსგავსი უფლების მიცემა კომპანიისთვის, გარემოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის ან/და სხვა აუცილებელი გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაუდგენლად, მნიშვნელოვან გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ხასიათის რისკებს შეიცავს. ეს, გარკვეულწილად, ეწინააღმდეგება „რესტიტუციის პრინციპს“ რომელიც გულისხმობს, რომ საქმიანობის განხორციელების შედეგად დეგრადირებული გარემო აღდგენილ უნდა იქნეს პირვანდელ მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით. „რესტიტუციის პრინციპი“ „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“ პუნქტის მიხედვით, საქართველოში გარემოს დაცვის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს.

აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი მემორანდუმით გათვალისწინებული საბანკო გარანტია არ უზრუნველყოფს გარემოსთვის და მესამე პირებისთვის მიყენებული შესაძლო ზიანის ანაზღაურებას.

6. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ამ მემორანდუმის 3.11 მუხლის (a) ქვეპუნქტი ადგენს კონკრეტულ ვადებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის, რათა მათ გასცენ, კომპანიის მოთხოვნისამებრ, მათ ხელთ არსებული საჯარო დოკუმენტები და/ან ინფორმაცია. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადა 30 კალენდარული დღეა და აღემატება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადებს. ამდენად, ამ მუხლის შეუსრულებლობის რისკი, ფაქტიურად, მინიმალურია; თუ ასეთი რამ მაინც მოხდება, ეს არამარტო ხელშეკრულების, არამედ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევასაც გამოიწვევს.

7. მემორანდუმის 3.11 მუხლის (d) ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს მთავრობას არამარტო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის კომპანიისთვის გადაცემის ვალდებულება აქვს აღებული, არამედ იმის ვალდებულებაც, რომ თუ აუცილებელი იქნება, ყველანაირად დაეხმარება კომპანიას, რათა მოხდეს მისთვის საჭირო მიწის ექსპროპრიაცია, კანონით დადგენილი წესით. მემორანდუმი არ ითვალისწინებს რაიმე პირობას იმ პირთა ინტერესების დასაცავად, რომელთა მიწა, პროექტის განხორციელების მიზნით, შესაძლოა, დაექვემდებაროს ექსპროპრიაციას.

8. მემორანდუმის 3.11 მუხლის (f) ქვეპუნქტის მიხედვით, მთავრობას ასევე აღებული აქვს ვალდებულება მშენებარე გადამცემ ხაზთან დაკავშირებით. ამ ქვეპუნქტის თანახმად, მთავრობა უნდა დაეხმაროს კომპანიას გადამცემი ხაზის მეშვეობით ელექტროენერგიის თურქეთში ექსპორტისთვის საჭირო შესაძლებლობის მიღებაში.

9. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, მემორანდუმის 5.4 მუხლი ადგენს სპეციალურ პირობებს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით; ამავე მუხლით, ასევე, დადგენილია გარკვეული შეზღუდვებიც. მაგალითად, მხარეებს არ ეკისრებათ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მიუღებელი შემოსავლისთვის, ხოლო ასანაზღაურებელი ზიანის მაქსიმალური ოდენობა შეზღუდულია 10 მილიონი აშშ დოლარით (ზოგ შემთხვევაში, კომპანიის პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით 20 მილიონი აშშ დოლარითაა შეზღუდული).

ყურადსაღებია ასევე, რომ მემორანდუმით დადგენილი პასუხისმგებლობის თანხობრივი შეზღუდვა, საქართველოს მთავრობასთან მიმართებაში, ყოველთვის არ მოქმედებს, რადგან იმავე 5.4 მუხლის (c) და (d) ქვეპუნქტები ითვალისწინებენ მთავრობის მიერ, დამატებით, სხვა სახის კომპენსაციების გადახდასაც, რომელთათვის ზღვრული ლიმიტი არაა დადგენილი.

კერძოდ, გარდა აღნიშნული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისა, 5.4 მუხლით გათვალისწინებულ ზოგ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა ვალდებულია კომპანიას დამატებით აუნაზღაუროს ინვესტიციის ხარჯები, თუ მემორანდუმი შეწყდება კომპანიის ინიციატივით, მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით (სანაცვლოდ, მთავრობას გადაეცემა ამ ინვესტიციებით შექმნილ–დაფინანსებული ქონება). იმ შემთხვევისთვის კი, თუ მემორანდუმს შეწყვეტს საქართველოს მთავრობა და ეს არ იქნება გამოწვეული კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, მთავრობას ეკისრება არამარტო ინვესტირებული თანხების დაბრუნების ვალდებულება (მთავრობის მიერ გადახდილი ინვესტიციებით შექმნილ–დაფინანსებული ქონების მთავრობის საკუთრებაში გადასვლის სანაცვლოდ), არამედ კომპანიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე (მათ შორის, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით). ეს მუხლი არათანაბარ პირობებში აყენებს საქართველოს მთავრობას კომპანიასთან მიმართებაში, რადგან რეალურად, კომპანიის პასუხისმგებლო-

ბა, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ყველა შემთხვევაში შეზღუდულია (არ მოიცავს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას და არ გასცდება შეთანხმებულ ზღვრულ ოდენობას), ხოლო, საქართველოს მთავრობის მიერ, დარღვევის შემთხვევაში გადასახდელი კომპენსაციების ჯამურმა მოცულობამ (პროექტის ღირებულების, საინვესტიციო ხარჯების და კომპანიის პოტენციური შემოსავლების მოცულობის გათვალისწინებით) ასტრონომიულ თანხებს შეიძლება მიაღწიოს. გარდა ამისა, გარემოსთვის მიყენებული ზიანის შესაძლო ანაზღაურების საკითხებს განსახილველი მემორანდუმი საერთოდ არ ითვალისწინებს და სავარაუდოდ, საჭიროების შემთხვევაში, ამ ზიანის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ზომები, საბოლოო ჯამში, საქართველოს ბიუჯეტიდან იქნება დასაფინანსებელი.

10. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ეს მემორანდუმი (მუხლი 5.5), ითვალისწინებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების და სრული ტექნიკური და ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშის სათანადო ხარისხით შედგენას. 5.5 მუხლის (a) ქვეპუნქტის მიხედვით, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ან/და სრულ ტექნიკურ და ეკონომიკურ დასაბუთებაზე დაყრდნობით, თუ კომპანია ჩათვლის, რომ პროექტის განხორციელება შეუძლებელია ან/და შეუსრულებადია, მას შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, გადაწყვიტოს, შეწყვიტოს, თუ არა მემორანდუმი და გაუგზავნოს, თუ არა მთავრობას შეტყობინება შეწყვეტის შესახებ. 5.5 მუხლის ფორმულირება იმგვარია, რომ საჭიროების შემთხვევაში, კომპანიას, ამ მუხლის საფუძველზე, შეეძლება შეწყვიტოს მემორანდუმი, ზედმეტი დავისა და პასუხისმგებლობის გარეშე.

11. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ასევე, მემორანდუმის მე-8 მუხლით საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებები. ამ მუხლით საქართველოს მთავრობამ შეიზღუდა უფლებები ისეთი საკანონმდებლო აქტების/ცვლილებების (მათ შორის, რომლებიც ეხება დისკრიმინაციულ გადასახადებს ან მსგავს ვალდებულებებს) ინიცირებასთან, ასევე, სხვა ისეთი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით, რომლებსაც შეუძლიათ უშუალო გავლენა იქონიონ მხოლოდ განსახორციელებელ პროექტზე (და არა მსგავს პროექტებზე), მხოლოდ კომპანიაზე, ან „პროექტის კომპანიაზე“ (და არა სხვა პირებზე), მხოლოდ იმ კონტრაქტორებზე, ან ოპერატორებზე, რომლებიც კომპანიასთან და „პროექტის კომპანიასთან“ საკონტრაქტო ურთიერთობებში არიან (და არა სხვა პირებზე). მსგავს გარანტიებს კომპანიებისთვის, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმი არ ითვალისწინებს.

12. სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმისგან განსხვავებით, ეს მემორანდუმი ითვალისწინებს დავების გადაწყვეტას საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად გამართული არბიტრაჟის მეშვეობით, ჟენევაში (შვეიცარია).

2.14 საქართველოს მთავრობას, ესკო-ს და შპს „ენერგიას“ შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი

მოწონებულ იქნა:	„საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერგიას“ შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 3 მაისის #979 განკარგულებით [35]. ამავე განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს მიენიჭა მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2011 წლის 17 მაისი
მემორანდუმის მოქმედების ვადა:	20 წელი ძალაში შესვლის დღიდან

[35] მთავრობის ეს განკარგულება არ იძებნება არც საქართველოს მთავრობის ინტერნეტ-გვერდზე, არც საკანონმდებლო მაცნეს და არც პროგრამა „კოდექსის“ ბაზებში. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას მიაწოდა განკარგულების ასლი, მოთხოვნის საფუძველზე.

მემორანდუმის მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. შპს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“ (ესკო) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 205170036 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 07.08.2006 დღეის მდგომარეობით ეს შპს უკვე სააქციო საზოგადოებაა. სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო, რომლის საკუთრებაში არსებული კომპანიის აქციების 100% მართვის უფლებით გადაცემული აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.
	3. შპს ,,ენერგია“ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 401950037 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 08.09.2010 დღეის მდგომარეობით ეს შპს უკვე სააქციო საზოგადოებაა.
პროექტის/პროექტების შესახებ: პროექტი ითვალისწინებს ყაზბეგის რაიონში, საქართველო-რუსეთის საზღვრის ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის სიახლოვეს, მდინარე თერგზე 19 მგვტ დადგმული სიმძლავრის ლარსის ჰესის მშენებლობას. დაგეგმილი ჰესი დერივაციული ტიპისაა; პროექტი ითვალისწინებს მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 90%-ის 1.2 კმ სიგრძის სადაწნეო მილსადენში მოქცევას; დერივაციის უბანზე მდინარეში, ე.წ. სანიტარიული ხარჯის სახით რჩება მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ი. საპროექტო დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ პერსპექტივაში, შესაძლებელია მდინარე თერგზე, საქართველოს ფარგლებში, რამდენიმე ჰესისაგან შემდგარი კასკადის მოწყობა, რომლის ერთ-ერთ (სავარაუდოდ, ბოლო) საფეხურად ლარსის ჰესი მოიაზრება. *წყარო: ლარსი ჰესი მდინარე თერგზე ყაზბეგის რაიონში: დეტალური საინჟინრო პროექტი: გარემოზე ზემოქმედების შეფასება (თბილწყალგეო, 2011).*	

ეს მემორანდუმი სამმხრივი გარიგებაა და მისი ერთ-ერთი მხარეა ესკო. მემორანდუმი თითქმის იდენტურია სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის, თუ არ ჩავთვლით მცირე არაარსებითი სახის განსხვავებებს.

2.15 საქართველოს მთავრობას, ესკო-ს და „Wind Energy Investment”-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი

მოწონებულ იქნა:	„საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და Wind energy Investment-ს შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მაისის #1060 განკარგულებით [36]. განკარგულებაში გაკეთებულია დათქმა, რომ ფარავნის ტბის მიმდებარედ 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვაზე არ უნდა გავრცელდეს 107-ე დადგენილებით დამტკიცებული წესი. ამავე განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი მინისტრს მიენიჭა მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2011 წლის 17 მაისი
მემორანდუმის მოქმედების ვადა:	14 წელი ძალაში შესვლის დღიდან
მემორანდუმის მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. შპს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“ (ესკო) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 205170036 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 07.08.2006 დღეის მდგომარეობით ეს შპს უკვე სააქციო საზოგადოებაა. სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო, რომლის საკუთრებაში არსებული კომპანიის აქციების 100% მართვის უფლებით გადაცემული აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

[36] მთავრობის ეს განკარგულება არ იძებნება არც საქართველოს მთავრობის ინტერნეტ-გვერდზე, არც საკანონმდებლო მაცნეს და არც პროგრამა „კოდექსის“ ბაზებში. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას მიაწოდა განკარგულების ასლი, მოთხოვნის საფუძველზე.

	3. “Wind Energy Investment” (ჩეხური კომპანია)

პროექტის/პროექტების შესახებ:
ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, პროექტი ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ფარავნის ტბის მიმდებარედ 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობას. პროექტის დიზაინთან და ბუნებრივ გარემოსა და მოსახლეობაზე პოტენციურ ზეგავლენასთან დაკავშირებული საკითხები, ამ ეტაპზე ცნობილი არ არის.

წყარო: საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და „Wind Energy Investment”-ს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი (2011).

ეს მემორანდუმი, ნაწილობრივ, იდენტურია სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის, თუმცა, არსებობს განსხვავებებიც, რომელთა შორის აღსანიშნავია, მაგალითად, ის, რომ მემორანდუმი არ ითვალისწინებს კომპანიის მიერ საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულებას.

2.16 საქართველოს მთავრობას, ტრანს ელექტრიკა ლიმითედს, შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“-ს, შპს „ენერგო ტრანს“-ს და ესკო-ს შორის დადებული შეთანხმება

მოწონებულ იქნა:	„საქართველოს მთავრობას, Trans Electrica Limited-ს, Trans Electrica Limited (Georgia)-ს, შპს „ენერგოტრანსს“ და შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ხელშეკრულების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის #890 განკარგულებით. ამავე განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს მიენიჭა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2011 წლის 28 აპრილი
შეთანხმების მოქმედების ვადა:	20 წელი ძალაში შესვლის დღიდან
შეთანხმების მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. Trans Electrica Limited (BVI), ე.წ. ოფშორული კომპანია, რეგისტრირებულია ოფშორულ ზონაში, ვირჯინიის კუნძულებზე (ბრიტ.), 1479874, 02.05.2008
	3. შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“ (Trans Electrica Georgia LTD) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 404857650 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 22.03.2010
	4. შპს „ენერგოტრანსი“ (Energotrans LTD) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 204991786 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 12.09.2002
	5. შპს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“ (ესკო) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 205170036 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 07.08.2006 დღეის მდგომარეობით ეს შპს უკვე სააქციო საზოგადოებაა. სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო, რომლის საკუთრებაში არსებული კომპანიის აქციების 100% მართვის უფლებით გადაცემული აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

პროექტის/პროექტების შესახებ:
პროექტი გულისხმობს ზემო სვანეთში (მესტიის მუნიციპალიტეტი) 702 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას 200.5 მ სიმაღლის თაღოვანი კაშხლით (წყალსაცავის მოცულობა 364.5 მლნ. კუბ. მ).

პრობლემური საკითხები: პროექტის განხორციელების შემთხვევაში წყლის ქვეშ აღმოჩნდება დაახლოებით 530 ჰა ფართობის მქონე ტერიტორია, მათ შორის ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი გზა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საძოვრები, ტყის მასივები, სასაფლაოები, ეკლესია, მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები, მათ შორის, შუასაკუნოვანი ხაიშის ციხე და ხაიშში აღმოჩენილი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი, I საუკუნით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლი. გაძლიერდება ბუნებრივი ჰაბიტატების, ტყეებისა და მდინარის ბინადარ სახეობათა დაკარგვის პროცესი, მათ შორის, წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების. იძულებით გადასახლებას დაექვემდებარება ხაიშის თემის 27 სოფლის 525 ოჯახი (1500 - 2000 ადამიანი).

წყაროები: ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, პროექტი (Trans Electrica Limited, 2012); „არა დიდ კაშხლებს: 10 მიზეზი, თუ რატომ უნდა ვთქვათ უარი დიდ კაშხლებზე“ (მწვანე ალტერნატივა, 2012)

განსახილველი შეთანხმება არ არის მემორანდუმი, თუმცა, მისი გაფორმების საფუძვლად, შეთანხმებაში, მითითებულია Continental Energy Ltd-სთან (რომელიც ჩაანაცვლა Trans Electrica Limited-მა) ამ შეთანხმების დადებამდე არსებული ურთიერთგაგების მემორანდუმი, მოწონებული საქართველოს მთავრობის 2007 წლის 29 ივნისის დადგენილებით (და ცვლილებები, მოწონებული საქართველოს მთავრობის 2009 წლის 23 დეკემბრის დადგენილებით).

1. შეთანხმება ხუთმხრივი გარიგებაა, თუმცა, მას მხოლოდ სამი ე.წ. „ძირითადი მხარე“ (principle party) ჰყავს (საქართველოს მთავრობა, ოფშორული კომპანია “ტრანს ელექტრიკა ლიმითედი” და შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“), რომლებზეც სრულფასოვნად ვრცელდება შეთანხმების ყველა პუნქტი. დანარჩენ მხარეებს (ესკო-ს და შპს „ენერგოტრანსს“), შეთანხმების მიხედვით, ძირითადად, ნაკისრი აქვთ ე.წ. წინარე ვალდებულებები მომავალში ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით (თუმცა, ამ შეთანხმებითაც მათ საკმაოდ სერიოზული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ეკისრებათ).

2. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერით, ირკვევა, რომ შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“-ს (ე.წ. პროექტის კომპანია, რომლის მეშვეობითაც გეგმავს კომპანია პროექტის განხორციელებას) ოთხი დირექტორი ჰყავს იდენტურად შეზღუდული უფლებამოსილებით (ოთხივეს უფლებამოსილება შეზღუდულია მათი კომპანიის წესდების მე-4 თავით). წესდება არაა განთავსებული მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის ინტერნეტ-გვერდზე და შეზღუდვის შინაარსის დაზუსტდება ვერ ხერხდება. ნებისმიერ შემთხვევაში, რეესტრიდან ამონაწერში არაა მითითებული, რომ ოთხი დირექტორიდან რომელიმეს უფლება აქვს ერთპიროვნულად წარმოადგინოს კომპანია მესამე პირებთან ურთიერთობაში. შესაბამისად, ივარაუდება, რომ ასეთ შემთხვევაში, ოთხივე დირექტორი უნდა აწერდეს ხელს მესამე პირებთან დადებულ გარიგებას (თუ სხვა რაიმე დოკუმენტით ხელმომწერ პირს არ აქვს მინიჭებული დამატებითი უფლებამოსილებები). ასევე, არაა გამორიცხული, რომ წესდების მე–4 თავით დადგენილი იყოს გარკვეული შეზღუდვები დირექტორთა მიერ ისეთი ტიპის გარიგებების დადებასთან დაკავშირებით, როგორიცაა ეს შეთანხმება. არანაირი დამატებითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი განსახილველ შეთანხმებას არ ერთვის და არც მის ტექსტში არაა მითითებული, მაშინ, როდესაც მას პროექტის კომპანიის სახელით ხელს აწერს არა ოთხი, არამედ მხოლოდ ერთი დირექტორი.

3. შეთანხმების მე-3 პუნქტში ჩამოთვლილია მთელი რიგი პირობები, რომელთა დაკმაყოფილებაც სავალდებულოდაა მიჩნეული კომპანიის/პროექტის კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად (ანუ, ამ პირობების მიღწევის გარეშე შეთანხმებით კომპანიის/პროექტის კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება არ არის სავალდებულოდ მიჩნეული). ამ პირობებს შორის მოიაზრება არამარტო შეთანხმების მხარეთა მიერ ერთმანეთის მიმართ შესასრულებელი ვალდებულებები (მათ შორის, გასაფორმებელი ხელშეკრულებები), არამედ მესამე პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებებიც, მათ შორის კომპანიის/პროექტის კომპანიის მიერ გასაფორმებელი საკრედიტო ხელშეკრულებები. ფაქტიურად, კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გარკვეულწილად დამოკიდებულია მესამე პირებზე, რომლებიც ხელშეკრულების მხარე არ არიან. ეს ზრდის რისკებს კომპანიის/პროექტის კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით და ეს რისკები არაა სათანადოდ დაბალანსებული შეთანხმებით (მესამე პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებები).

4. შეთანხმება (პუნქტი 4.6) ითვალისწინებს გარკვეულ საჯარიმო სანქციებს, კომპანიის/პროექტის კომპანიის მიერ ნაკისრი ძირითადი ვალდებულებების (ნებართვის აღება, მშენებლობა და ხუდონ-ჰესის კომერციული ოპერირების დაწყება) შესრულების ვადების დარღვევასთან დაკავშირებით. ამ მიზნით გადასახდელი ჯარიმების მაქსიმალური ოდენობა შეზღუდულია 1 320 ათასი აშშ დოლარით, რაც, პროექტის ღირებულების გათვალისწინებით, ძალზე მცირე თანხაა. ამასთან, ეს ვალდებულება

არაა უზრუნველყოფილი საბანკო გარანტიით, ან სხვა რაიმე სახის უზრუნველყოფით. უფრო მეტიც, შეთანხმებით, ზოგადად (და არამარტო ჯარიმებთან მიმართებაში), კომპანიის/პროექტის კომპანიის ვალდებულებები საერთოდ არაა უზრუნველყოფილი (მათ შორის, არც საბანკო გარანტიით, როგორც სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმში და სხვა განხილულ მემორანდუმებში), რაც დაუბალანსებელს ხდის რისკებს. ამასთან, ამ შეთანხმებიდან გამომდინარე რისკები საკმაოდ მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობას (და შეთანხმების სხვა მხარეებს) კომპანიის/პროექტის კომპანიის წინაშე აღებული აქვთ მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

5. საქართველოს მთავრობის მიერ აღებულ მნიშვნელოვან ვალდებულებათაგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია ხუდონ-ჰესისთვის აუცილებელი მიწის და მასთან დაკავშირებული ყველა არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად, 1 აშშ დოლარად პროექტის კომპანიისთვის გადაცემის შესახებ საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პრეზიდენტისთვის წინადადების წარდგენის ვალდებულება (4.12 პუნქტის (c) ქვეპუნქტი). ამ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტმა შესაძლოა მრავალმილიონიანი ქონება, ფაქტიურად, უფასოდ გადასცეს ოფშორული კომპანიის კუთვნილ შპს-ს ყოველგვარი უზრუნველყოფის და უშუალო სარგებელის გარეშე, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს რაიმე გარანტია დაგეგმილი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს რისკი მით უფრო დიდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ პროექტის კომპანიას უფლება აქვს (ზოგ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის თანხმობით) აღნიშნული ქონება გამოიყენოს მის მიერ აღებული სესხების უზრუნველსაყოფად (მუხლი 11 და პუნქტი 4.12 (c)). ასევე არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანიამ გამოიყენოს პროექტის კომპანიის წილები სხვადასხვა საკრედიტო ორგანიზაციებიდან აღებული კრედიტების უზრუნველსაყოფად. ეს რისკები კი, არაა სათანადოდ დაბალანსებული შეთანხმებით.

შეთანხმების 4.15 პუნქტის თანახმად, გადასაცემი ქონების ნაციონალიზაციის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა ვალდებულია კომპანიას ამ სიმბოლურ ფასად მიღებული ქონების (ისევე როგორც სხვა ნაციონალიზებული ქონების) ღირებულება აუნაზღაუროს სამართლიანი საბაზრო ფასით. აღნიშნული დებულება შეიცავს დაუბალანსებელ ფინანსურ და კორუფციულ რისკებს.

გადასაცემ ქონებასთან დაკავშირებული რისკები არაა სათანადოდ გათვლილი არც, მაგალითად, ფორსმაჟორული გარემოებების მოქმედების მიზეზით (ანუ საპატიო მიზეზით) შეთანხმების შეწყვეტის შემთხვევაში. შეთანხმების 15.4 მუხლი მართლაც ითვალისწინებს ფორსმაჟორული გარემოებების ზემოქმედების მიზეზით შეთანხმების შეწყვეტის შესაძლებლობას, მაგრამ შეთანხმებით არაა გათვალისწინებული, ასეთ შემთხვევაში, პროექტის განსახორციელებლად პროექტის კომპანიის საკუთრებაში გადაცემული ქონების სახელმწიფოსთვის დაბრუნება. სულ მცირე, ასეთ შემთხვევებზე შეიძლებოდა გავრცელებულიყო შეთანხმების 6.6 მუხლით გათვალისწინებული წესი, თუმცა, ვინაიდან შეთანხმება მსგავს მექანიზმს ასეთი შემთხვევებისთვის არ ითვალისწინებს, ეს წარმოშობს დაუბალანსებელ რისკებს.

გადასაცემი ქონებისა და სხვა სახის პრივილეგიების რეალური ღირებულების გათვალისწინებით, ჩნდება კითხვა - რატომ უნდა გადაეცეს პროექტის კომპანიას ქონება 1 აშშ დოლარად და არა, მაგალითად, შეტანილ იქნეს მის საწესდებო კაპიტალში კომპანიის წილის სანაცვლოდ? მითუმეტეს, თუ ეს ქონება არის ის უზრუნველყოფა, რომლის ხარჯზეც მოზიდულ უნდა იქნეს პროექტის განსახორციელებლად საჭირო კრედიტები (ან მათი ნაწილი). იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის განსახორციელებლად თანხების მოზიდვა, შეთანხმების 4.1 პუნქტის (a) ქვეპუნქტის თანახმად, კომპანიის/პროექტის კომპანიის ვალდებულებაა, საქართველოს მთავრობის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლოა, უმჯობესი იყო, გამორიცხულიყო სახელმწიფოს მიერ პროექტის განსახორციელებლად გადაცემული ქონების პროექტის განხორციელებისთვის მოსაზიდი კრედიტების უზრუნველსაყოფად გამოყენების შესაძლებლობა, რადგან აღნიშნული კრედიტების გადაუხდელობის შემთხვევაში, ეს ქონება შეიძლება მესამე პირთა საკუთრებაში აღმოჩნდეს (მათ შორის, ეს, შესაძლოა, მოხდეს მანამ, სანამ კომპანია/პროექტის კომპანია შეასრულებს შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს).

შეთანხმებიდან საერთოდ გაუგებარი რჩება, რა ჯამური ღირებულების ქონება, უფლებები (მათ შორის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება) და სხვა სახის პრივილეგიები უნდა გადაეცეს კომპანიას/პროექტის კომპანიას სიმბოლურ ფასად.

6. შეთანხმებიდან ასევე არ არის ნათელი, რა კონკრეტული ღირებულების სარგებელი უნდა მიიღოს საქართველომ ამ შეთანხმებიდან გამომდინარე. მსგავსი გათვლების გარეშე, შეუძლებელია რეალურად შეფასდეს პოტენციური რისკები და შეთანხმების თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანობა საქართველოსთვის.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში არაპირდაპირი სახის ზოგად სარგებელს (როგორიცაა ზამთრის პერიოდში საქართველოს ბაზარზე ელექტროენერგიის სავალდებულო რეალიზაცია, გარკვეული ინფრასტრუქ-

ტურის შესაძლო განვითარება, გარკვეული რაოდენობის სამუშაო ადგილების სავარაუდო შექმნა, ახალი ინვესტიციის ქვეყანაში დაბანდება და ა.შ.), თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ შეთანხმებიდან საქართველო უშუალო და პირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს არ იღებს (ყოველ შემთხვევაში, ეს არ დგინდება შეთანხმების ტექსტიდან). ამასთან, საქართველოს მთავრობა იღებს მნიშვნელოვან ვალდებულებებს და არსებით რისკებს (მათ შორის, ფინანსურ, გარემოსდაცვით, სოციალურ და სხვა ხასიათის რისკებს), რომლებიც არაა სათანადოდ უზრუნველყოფილი ადექვატური გარანტიებით.

7. შეთანხმებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, იმოქმედებს, თუ არა მიწის გადაცემა მესამე პირთა კანონიერ უფლებებზე და შესაბამისად, შეთანხმებაში არ არსებობს მესამე პირთა უფლებების დაცვასთან/გათვალისწინებასთან დაკავშირებული რაიმე სპეციფიკური დებულებები.

განსახილველ შეთანხმებაში არსებობს სხვა რისკებიც, რომლებიც არასათანადოდაა დაბალანსებული.
8. მაგალითად, კომპანიის/პროექტის კომპანიის მიერ ვადების დარღვევის გამო შეთანხმების შეწყვეტის და უძრავი ქონების ძველი მესაკუთრისთვის დაბრუნების შემთხვევაში, კომპანიას/პროექტის კომპანიას, შეთანხმების 6.6 პუნქტის მიხედვით, უფლება აქვს მოახდინოს ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მის მიერ შექმნილი, ან დაფინანსებული უძრავი ქონების დემონტაჟი, თუ „ძირითადი მხარეები“ სხვაგვარად არ შეთანხმდებიან. მშენებლობის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მსგავსი უფლების მიცემა კომპანიისთვის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის და/ან სხვა აუცილებელი გარემოსდაცვითი ხასიათის მოთხოვნების დაუდგენლად, მნიშვნელოვან გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ხასიათის რისკებს შეიცავს. გარდა ამისა, მსგავსი სიტუაციისთვის, აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო ის, რომ გადაცემული ქონება, უკან დაბრუნების მომენტში, შესაძლოა დატვირთული იყოს მესამე პირთა უფლებებით (მაგალითად, იპოთეკით, პროექტის კომპანიის მიერ აღებული კრედიტის უზრუნველსაყოფად), რაც შეამცირებს მის ღირებულებას. შეთანხმება ასეთ ალბათობას არ ითვალისწინებს, რაც არ უნდა შედიოდეს საქართველოს მთავრობის ინტერესებში.

9. შეთანხმებიდან არ არის ნათელი, როგორ შესრულდება შეთანხმება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პრეზიდენტმა არ დააკმაყოფილა საქართველოს მთავრობის წინადადება პროექტის კომპანიისთვის ქონების 1 აშშ დოლარად გადაცემის შესახებ, ან შეთანხმებაში მითითებულმა რომელიმე მესამე პირმა (რომელიც შეთანხმების მხარე არაა) არ, ან ვერ (მაგალითად, გაკოტრების ან სხვა რაიმე ობიექტური მიზეზით) გააფორმა შეთანხმებით გათვალისწინებული რომელიმე ხელშეკრულება.

10. შეთანხმება მოიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც კომპანიას/პროექტის კომპანიას, სხვა მხარეებთან შედარებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს. მაგალითად, შეთანხმების 4.10 პუნქტში ჩამოთვლილია გარკვეული გარემოებები, რომელთა არსებობისას კომპანიას/პროექტის კომპანიას უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი ვალდებულებების შესრულების გადავადება. ამ ჩამონათვალში მითითებული გარემოებების უმრავლესობა თამამად შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო ფორსმაჟორული გარემოებების შესახებ მუხლში, რომელიც განსახილველი შეთანხმების ყველა მხარეზე გავრცელდებოდა და ყველას ერთნაირ პირობებში ჩააყენებდა; თუმცა, ეს ასე არ არის და 4.10 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათები ვრცელდება არა ყველა მხარეზე, არამედ მხოლოდ კომპანიასა და პროექტის კომპანიაზე.

11. შეთანხმების 15.4 პუნქტის (b) ქვეპუნქტის მიხედვით, კომპანიისთვის/პროექტის კომპანიისთვის დადგენილია დამატებითი უფლებები ფორსმაჟორული გარემოებების მიზეზით შეთანხმების შეწყვეტასთან დაკავშირებით. რბილად რომ ვთქვათ, ამ მუხლის ფორმულირება საკმაოდ ორაზროვანია, ვინაიდან შეწყვეტის უფლება მიბმულია კომპანიის/პროექტის კომპანიის ეკონომიკურ ან კომერციულ პოზიციებზე ფორსმაჟორული გარემოებების მატერიალურ და უარყოფით ზემოქმედებაზე. ამასთან, ეს მუხლი ექსკლუზიურ უფლებას ადგენს კომპანიისთვის და პროექტის კომპანიისთვის, მაშინ როდესაც შეთანხმების სხვა მხარეებს არ შეუძლიათ ისარგებლონ იგივე უფლებით იდენტურ შემთხვევებში.

12. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ასევე, შეთანხმების მე-9 მუხლის საფუძველზე საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებები. ამ მუხლით საქართველოს მთავრობამ შეიზღუდა უფლებები ისეთი საკანონმდებლო აქტების/ცვლილებების (მათ შორის, რომლებიც ეხება დისკრიმინაციულ გადასახადებს ან მსგავს ვალდებულებებს) ინიცირებასთან, ასევე სხვა ისეთი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით, რომლებსაც შეუძლიათ უშუალო გავლენა იქონიონ მხოლოდ განსახორციელებელ პროექტზე (და არა მსგავს პროექტებზე), მხოლოდ პროექტის კომპანიაზე ან კომპანიაზე (და არა სხვა პირებზე), მხოლოდ იმ კონტრაქტორებზე, ან ოპერატორებზე, რომლებიც კომპანიასთან და პროექტის კომპანიასთან საკონტრაქტო ურთიერთობებში არიან (და არა სხვა პირებზე). მსგავს გარანტიებს შეთანხმების მხარე სხვა კომპანიებისთვის ეს შეთანხმება არ ითვალისწინებს. უფრო მეტიც, თუ მე-9 მუხლი მხოლოდ სუბიექტური ხასიათის კანონებისა და რეგულაციების ინიცირების უფლებას უზღუდავს საქართველოს მთავრობას,

შეთანხმების 4.13 პუნქტით, ნებისმიერი ცვლილება საქართველოს კანონებში და რეგულაციებში, რომელიც ნეგატიური მატერიალური ეფექტის მქონეა კომპანიის/პროექტის კომპანიის მატერიალური მდგომარეობისთვის, კომპენსირებულ უნდა იქნეს. კერძოდ, აღნიშნული ცვლილებებით გამოწვეული კომპანიის/პროექტის კომპანიის ხარჯები კომპენსირებულ უნდა იქნეს ფასების (ე.წ. Put Option Price) გაზრდით. 4.13 პუნქტის მოქმედება ამოიწურება ჰიდროელექტროსადგურის კომერციული ოპერირების დაწყებიდან 10 წლის შემდეგ; ამ საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში კი, კომპანია/პროექტის კომპანია შეძლებს სრულად მიიღოს კომპენსაცია თუ რომელიმე კანონის, ან სხვა ნორმატიული აქტის (რეგულაციის) ზემოქმედების შედეგად ხარჯები გაეზრდება. მსგავსი პრივილეგიით არ სარგებლობს არა თუ შეთანხმების რომელიმე სხვა მხარე, არამედ საქართველოში მოქმედი კომპანიების აბსოლუტური უმრავლესობა.

14. შეთანხმება შეიცავს გარკვეულ შეზღუდვებს საქართველოს მთავრობისთვის, რომლებიც კომპანიას/პროექტის კომპანიას ერთგვარ უპირატეს პოზიციაში აყენებენ, საქართველოს მთავრობასთან შედარებით. მათ შორის, აღნიშვნის ღირსია შეთანხმების მე-7 მუხლის მოთხოვნები. ამ მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კომპანია/პროექტის კომპანია არღვევს ნაკისრ ვალდებულებებს, საქართველოს მთავრობას არ შეუძლია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს შეთანხმება - საქართველოს მთავრობა ვალდებულია ჯერ მიმართოს მსესხებელს (პროექტის განხორციელებისთვის სესხის ან ფინანსების გამომყოფ პირს) და გაიაროს საკმაოდ ხანგრძლივვადიანი პროცედურა პროექტში, ახალი პირობებით, დამრღვევი კომპანიის სხვა კომპანიით ჩასანაცვლებლად.

15. შეთანხმება ითვალისწინებს დავების გადაწყვეტას საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად გამართული არბიტრაჟის მეშვეობით, ჟენევაში (შვეიცარია). ეს დავების ობიექტურად გადაჭრის წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, მეორეს მხრივ, ხელშეკრულების ყოველი პუნქტი, რომელიც შეიცავს დაუბალანსებელ რისკებს საქართველოს მთავრობისთვის, დავის შემთხვევაში, შესაძლოა, საქართველოს ბიუჯეტისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგების მომტანი იყოს.

2.17 საქართველოს მთავრობას, შპს „დარიალი ენერჯი“-ს, შპს „ენერგო ტრანს“-ს და ესკო-ს შორის დადებული შეთანხმება

მოწონებულ იქნა:	საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის #891 განკარგულებით[37].
ხელმოწერის და ძალაში შესვლის თარიღი:	2011 წლის 19 მაისი
შეთანხმების მოქმედების ვადა:	20 წელი ძალაში შესვლის დღიდან
შეთანხმების მხარეები:	1. საქართველოს მთავრობა
	2. შპს „დარიალი ენერჯი“ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 401953061 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 09.12.2010 დღეის მდგომარეობით ეს შპს უკვე სააქციო საზოგადოებაა.
	3. შპს „ენერგოტრანსი“ (Energotrans LTD) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 204991786 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 12.09.2002
	4. შპს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“ (ესკო) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი. მონაცემები საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით: • საიდენტიფიკაციო კოდი: 205170036 • სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 07.08.2006 დღეის მდგომარეობით ეს შპს უკვე სააქციო საზოგადოებაა. სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო, რომლის საკუთრებაში არსებული კომპანიის აქციების 100% მართვის უფლებით გადაცემული აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.
პროექტის / პროექტების შესახებ: პროექტი ითვალისწინებს მდ. თერგზე, დარიალის ხეობაში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), საქართველო-რუსეთის საზღვართან ახლოს, 110 მეგავატი დადგმული სიმძლავის დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას (დერივაციის უბანზე წყლის 10%-იანი სანიტარული ხარჯით). პრობლემური საკითხები: პროექტი ითვალისწინებს მდინარე თერგის დაახლოებით 8 კმ სიგრძის მონაკვეთის წყლის გარეშე დატოვებას, ვინაიდან გათვალისწინებულია მდინარის წყლის უდიდესი ნაკადის, 90 პროცენტის, სადერივაციო არხსა და გვირაბში გადაგდება. სულ 11 კმ სიგრძის დარიალის ხეობის 8 კმ-იან მონაკვეთზე რადიკალურად შეიცვლება ლანდშაფტი და დაიკარგება ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურულ-ეთნოგრაფიული და ტურისტული ფასეულობა. პროექტს ექნება შეუქცევადი ზეგავლენა მდინარეზე დამოკიდებულ სახეობებზე, მათ შორის, წითელ ნუსხაში შეტანილ ნაკადულის კალმახზე და გამოიწვევს მდ. თერგში ამ პოპულაციის გაქრობას, ასევე ზეგავლენას იქონიებს ყაზბეგის ეროვნულ პარკზე. *წყაროები: დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (დარიალი ენერჯი, 2011) „არა დიდ კაშხლებს: 10 მიზეზი, თუ რატომ უნდა ვთქვათ უარი დიდ კაშხლებზე“ (მწვანე ალტერნატივა, 2012)*	

1. ეს შეთანხმება არ არის მემორანდუმი, თუმცა მის ტექსტში მოხსენიებული „მცხეთა-მთიანეთის რეგიონ-ში მდინარე თერგზე ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 მარტის #549 განკარგულების მიხედვით (რომლითაც მოწონებულ იქნა შპს „დარიალ ენერჯის“ მიერ წარდგენილი ინტერესთა გამოხატვის განაცხადი), საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დაევალა მოემზადებინა სწორედ მემორანდუმის პროექტი და არა შეთანხმება. სავარაუდოდ, შეთანხმება გაფორმდა მითითებული მემორანდუმის სანაცვლოდ, თუმცა, ამ შემთხვევაში, პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს დოკუმენტის ფორმალურ სათაურს, რადგან მთავარია მისი შინაარსი.

2. შეთანხმება ოთხმხრივი გარიგებაა, თუმცა, მას მხოლოდ ორი ე.წ. „ძირითადი მხარე“ (principle party) ჰყავს (საქართველოს მთავრობა და შპს „დარიალი ენერჯი“), რომლებზეც სრულფასოვნად ვრცელდება

[37] მთავრობის ეს განკარგულება არ იძებნება არც საქართველოს მთავრობის ინტერნეტ-გვერდზე, არც საკანონმდებლო მაცნეს და არც პროგრამა „კოდექსის“ ბაზებში.

შეთანხმების ყველა პუნქტი. დანარჩენ მხარეებს (ესკო-ს და შპს „ენერგოტრანსს“), ძირითადად, ნაკისრი აქვთ ე.წ. წინარე ვალდებულებები მომავალში ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით (თუმცა, ამ შეთანხმებითაც მათ საკმაოდ სერიოზული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ეკისრებათ).

3. შეთანხმება (პუნქტი 4.6) ითვალისწინებს გარკვეულ საჯარიმო სანქციებს, კომპანიის მიერ ნაკისრი ძირითადი ვალდებულებების (ნებართვის აღება, მშენებლობა და დარიალის ჰესის კომერციული ოპერირების დაწყება) შესრულების ვადების დარღვევასთან დაკავშირებით. ამ მიზნით გადასახდელი ჯარიმების მაქსიმალური ოდენობა შეზღუდულია 600 ათასი აშშ დოლარით, მაგრამ ეს ვალდებულება არაა უზრუნველყოფილი საბანკო გარანტიით, ან სხვა რაიმე სახის უზრუნველყოფით.

უფრო მეტიც, შეთანხმებით, ზოგადად (და არამარტო ჯარიმებთან დაკავშირებით), კომპანიის ვალ-დებულებები საერთოდ არაა უზრუნველყოფილი, არც საბანკო გარანტიით (როგორც სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმში და სხვა, ამ ანგარიშში განხილულ მემორანდუმებში) და არც სხვა სახის უზრუნველყოფით, რაც დაუბალანსებელს ხდის რისკებს. ამასთან, ამ შეთანხმებიდან გამომდინარე რის-კები საკმაოდ მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობას (და შეთანხმე-ბის სხვა მხარეებს) კომპანიის წინაშე აღებული აქვთ მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

4. საქართველოს მთავრობის მიერ ამ შეთანხმების საფუძველზე აღებულ მნიშვნელოვან ვალდებუ-ლებათაგან, აღსანიშნავია შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, კომპა-ნიისთვის დარიალის ჰესისთვის აუცილებელი მიწის გადაცემის შესახებ საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პრეზიდენტისთვის წინადადების წარდგენის ვალდებულება (შეთანხმების 4.12 (b) პუნქტი). შეთანხმებაში არაფერია ნათქვამი ქონების პრივატიზებისთვის გადასახდელი საფასურის შესახებ და ცალსახად არ დგინდება, უნდა გადაიხადოს, თუ არა შესაბამისი საფასური კომპანიამ ქო-ნების პრივატიზებისათვის. აღნიშნული ორაზროვანი ფორმულირება არ იძლევა საშუალებას, სწორად დადგინდეს ყველა შესაძლო რისკი. შეთანხმებაში არაფერია ნათქვამი არც იმის შესახებ, იმოქმედებს თუ არა მიწის გადაცემა მესამე პირთა კანონიერ უფლებაზე და შესაბამისად არაა გათვალისწინებული მესა-მე პირთა უფლებების დაცვა/გათვალისწინებასთან დაკავშირებული რაიმე სპეციფიური დებულებები.

5. შეთანხმებაში არ ჩანს, თუ რა ჯამური ღირებულების ქონება, უფლებები (მათ შორის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება) და სხვა სახის პრივილეგიები უნდა გადაეცეს კომპანიას და რა ფასად. ასევე, ნათელი არ არის, თუ რა კონკრეტული ღირებულების სარგებელი უნდა მიიღოს საქართველომ ამ შეთანხმებიდან. მსგავსი გათვლების გარეშე, შეუძლებელია რეალურად შეფასდეს პოტენციური რისკები და შეთანხმების თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანობა საქართველოსთვის.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში არაპირდაპირი სახის ზოგად სარგებელს (როგორიცაა ზამთრის პერიოდში საქართველოს ბაზარზე ელექტროენერგიის სავალდებულო რეალიზაცია, გარკვეული ინფრასტრუქტურის შესაძლო განვითარება, გარკვეული რაოდენობის სამუშაო ადგილების სავარაუდო შექმნა, ქვეყანაში ახალი ინვესტიციის დაბანდება და ა.შ.), თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ შეთანხმებიდან საქართველო უშუალო და პირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს არ იღებს (ყოველ შემთხვევაში, ეს არ დგინდება შეთანხმების ტექსტიდან). ამასთან, საქართველოს მთავრობა თავის თავზე იღებს მნიშვნელოვან ვალდებულებებს და არსებით (მათ შორის, ფინანსურ, გარემოსდაცვით, სოციალურ და სხვა სახის) რისკებს, რომლებიც არაა სათანადოდ უზრუნველყოფილი ადექვატური გარანტიებით.

6. შეთანხმებაში არსებობს სხვა რისკებიც, რომლებიც შეთანხმებით არასათანადოდაა დაბალანსებული. მაგალითად, კომპანიის მიერ ვადების დარღვევის გამო შეთანხმების შეწყვეტის და უძრავი ქონების ძველი მესაკუთრისთვის დაბრუნების შემთხვევაში, კომპანიას, შეთანხმების 6.4 მუხლის თანახმად, უფლება აქვს, მოახდინოს ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მის მიერ შექმნილი, ან დაფინანსებული უძრავი ქონების დემონტაჟი, თუ ძირითადი მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან. მშენებლობის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მსგავსი უფლების მიცემა კომპანიისთვის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის ან/და სხვა აუცილებელი გარემოსდაცვითი ხასიათის მოთხოვნების დაუდგენლად, მნიშვნელოვან გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ხასიათის რისკებს შეიცავს. გარდა ამისა, მსგავსი სიტუაციისთვის, აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო ის, რომ გადაცემული ქონება, უკან დაბრუნების მომენტში შესაძლოა დატვირთული იყოს მესამე პირთა უფლებებით (მაგალითად, იპოთეკით, კომპანიის მიერ აღებული კრედიტის უზრუნველსაყოფად, რაც არაა გამორიცხული შეთანხმების მე-11 მუხლის და 4.12 (b) პუნქტის გათვალისწინებით), რაც შეამცირებს მის ღირებულებას. შეთანხმება ასეთ ალბათობას არ ითვალისწინებს, რაც არ შედის საქართველოს მთავრობის ინტერესებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმების მე-11 მუხლში აშკარად შეცდომითაა მითითებული 4.12 (c) პუნქტი, ნაცვლად 4.12 (b) პუნტისა.

7. შეთანხმებაში არსებობს ისეთი დებულებები, რომლებიც კომპანიას, სხვა მხარეებთან შედარებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს. მაგალითად, შეთანხმების 4.10 მუხლში ჩამოთვლილია გარკვეული გარემოებები, რომელთა არსებობისას კომპანიას უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი ვალდებულებების შესრულების გადავადება. ამ ჩამონათვალში მითითებული გარემოებების უმრავლესობა თამამად შეიძლებოდა მითითებული ყოფილიყო ფორსმაჟორული გარემოებების შესახებ მუხლში, რომელიც შეთანხმების ყველა მხარეზე გავრცელდებოდა და ყველას ერთნაირ პირობებში ჩააყენებდა, თუმცა, ეს ასე არ მოხდა და 4.10 მუხლით გათვალისწინებული შეღავათები ვრცელდება არა ყველა მხარეზე, არამედ მხოლოდ კომპანიაზე.

შეთანხმების 15.4 (b) პუნქტის თანახმად, კომპანიისთვის დადგენილია დამატებითი უფლებები, ფორსმაჟორული გარემოებების დროს განსახილველი შეთანხმების შეწყვეტასთან დაკავშირებით. ამ მუხლის ფორმულირება საკმაოდ ორაზროვანია, რადგან შეწყვეტის უფლება მიბმულია ფორსმაჟორული გარემოებების მატერიალურ და უარყოფით ზემოქმედებაზე კომპანიის ეკონომიკურ, ან კომერციულ პოზიციებზე. ამასთან, ეს მუხლი ექსკლუზიურ უფლებას ადგენს კომპანიისთვის, რომლითაც შეთანხმების სხვა მხარეებს არ შეუძლიათ ისარგებლონ იდენტურ შემთხვევებში.

8. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ასევე, შეთანხმების მე-9 მუხლის საფუძველზე საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებები, რომელთა მიხედვით, საქართველოს მთავრობამ შეიზღუდა უფლებები ისეთი საკანონმდებლო აქტების/ცვლილებების (მათ შორის, რომლებიც ეხება დისკრიმინაციულ გადასახადებს ან მსგავს ვალდებულებებს) ინიცირებასთან, ასევე სხვა ისეთი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით, რომლებსაც შეუძლიათ უშუალო გავლენა იქონიონ მხოლოდ განსახორციელებელ პროექტზე (და არა მსგავს პროექტებზე), მხოლოდ კომპანიაზე (და არა სხვა პირებზე), მხოლოდ იმ კონტრაქტორებზე, ან ოპერატორებზე, რომლებიც კომპანიასთან და პროექტის კომპანიასთან საკონტრაქტო ურთიერთობებში არიან (და არა სხვა პირებზე). მსგავს გარანტიებს შეთანხმების მხარე სხვა კომპანიებისთვის ეს შეთანხმება არ ითვალისწინებს.

9. შეთანხმება ითვალისწინებს გარკვეული შეზღუდვების დაწესებას საქართველოს მთავრობისთვის, რის გამოც კომპანია ერთგვარ უპირატეს პოზიციაშია, საქართველოს მთავრობასთან შედარებით. მათ შორის, აღნიშვნის ღირსია, შეთანხმების მე-7 მუხლის მოთხოვნები. ამ მუხლის მიხედვით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კომპანია არღვევს ნაკისრ ვალდებულებებს, საქართველოს მთავრობას არ შეუძლია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს შეთანხმება. ამის ნაცვლად, საქართველოს მთავრობა ვალდებულია, ჯერ მიმართოს მსესხებელს (პროექტის განხორციელებისთვის სესხის ან ფინანსების გამომყოფ პირს) და გაიაროს საკმაოდ გრძელვადიანი პროცედურა, პროექტში დამრღვევი კომპანიის სხვა კომპანიით ჩასანაცვლებლად, ახალი პირობებით.

10. დავების გადაწყვეტას განსახილველი შეთანხმება ითვალისწინებს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად გამართული არბიტრაჟის მეშვეობით, ჟენევაში (შვეიცარია), რაც დავების ობიექტურად გადაჭრის წინაპირობა შეიძლება იყოს. მეორე მხრივ, ხელშეკრულების ყოველი პუნქტი, რომელიც შეიცავს დაუბალანსებელ რისკებს საქართველოს მთავრობისთვის, დავის შემთხვევაში, შესაძლოა მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგების მომტანი იყოს საქართველოს ბიუჯეტისთვის.

3. ურთიერთგაგების მემორანდუმებისა და შეთანხმებების საფუძველზე განსახორციელებელი ენერგო-პროექტების სავარაუდო გავლენა ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ვითარებაზე საქართველოში

107-ე დადგენილების, სამოდელო ურთიერთგაგების მემორანდუმის, ისევე როგორც, ზოგადად, საქართველოს მთავრობის მიერ ენერგეტიკული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმებისა და შეთანხმებების ანალიზი იძლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას:

1. ურთიერთგაგების მემორანდუმებისა და შეთანხმებების საფუძველზე პროექტების განხორციელების შედეგად, საქართველოს ბიუჯეტი უშუალო და პირდაპირი ეკონომიკურ სარგებელს, კონკრეტული მოგების სახით, არ მიიღებს. მიუხედავად აღნიშნულისა, გარკვეული არაპირდაპირი (ძირითადად, ეკონომიკური ხასიათის) სარგებელი მემორანდუმებისა და შეთანხმებების საფუძველზე განსახორციელებელი ენერგო-პროექტებიდან (მათ შორის 107-ე დადგენილებით დამტკიცებული პროგრამიდან) საქართველოს, სავარაუდოდ, მაინც ექნება.

2. ზამთრის პერიოდში კომპანიების მიერ საქართველოს ენერგო-ბაზარზე ელექტროენერგიის სავალდებულო გაყიდვის შედეგად, მოხდება ქვეყნის ენერგეტიკული სტაბილურობის უზრუნველყოფა, წლის ყველაზე პრობლემურ პერიოდში (თუმცა, ელექტროენერგიის დადგენილ ტარიფზე დადებითად ეს, სავარაუდოდ, არ იმოქმედებს).

3. ქვეყნის ენერგო-სექტორში დიდი რაოდენობით ინვესტიციების განხორციელება ხელს შეუწყობს, მათ შორის, ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას, რადგან ინვესტირებული თანხების გარკვეული ნაწილი მოხვდება სახელმწიფო ბიუჯეტში, გადასახადების და სხვადასხვა გადასახდელების სახით. ქვეყნის ბიუჯეტი გარკვეულ სარგებელს მიიღებს წარმოებული ელექტროენერგიის შემდგომი რეალიზაციიდანაც (ძირითადად, გადახდილი გადასახადების სახით), თუმცა, იმის გამო, რომ წარმოებული ელექტროენერგიის უდიდესი ნაწილი საექსპორტოდაა გამიზნული, საქართველოს საგადასახადო კოდექსით კი, ელექტროენერგიის ექსპორტი ნულოვანი განაკვეთით იბეგრება (ანუ, ფაქტიურად, არ იბეგრება), წარმოებული ელექტროენერგიის რეალიზაციიდან ქვეყნის ბიუჯეტის მიერ მიღებული სარგებელი ოპტიმალური ვერ იქნება.

4. ქვეყანაში შემოვლენ ახალი ინვესტორები და მნიშვნელოვან ინვესტიციებს განახორციელებენ ქვეყნის ენერგო-სექტორში. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ფინანსური სისტემა შედარებით ნაკლებ სარგებელს მიიღებს უცხოური კომპანიების მიერ პროექტის უშუალოდ თავისი ფილიალებისა და წარმომადგენლობების მეშვეობით (და არა საქართველოში რეგისტრირებული საწარმოების მეშვეობით) განხორციელების შემთხვევაში, რადგან ელექტროენერგიის რეალიზაციით მიღებული თანხების ძირითადი ნაწილი (იგულისხმება არამარტო უცხოეთში, არამედ საქართველოში გაყიდული ელექტროენერგია), საბოლოო ჯამში, გავა საქართველოს გარეთ.

5. გაჩნდება გარკვეული რაოდენობის ახალი სამუშაო ადგილები, მაგრამ იმის გამო, რომ არ არსებობს გარანტიები ადგილობრივი კადრების გამოყენებასთან დაკავშირებით, შესაძლოა ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაში ძირითადად დასაქმდნენ უცხოელი სპეციალისტები და უცხოური წარმოშობის იაფი (ზოგ შემთხვევაში კი, უფრო კვალიფიციური) მუშახელი, რაც ხელს შეუწყობს შრომით მიგრაციას და არა ადგილობრივი მუშახელის დასაქმებას (ეს, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ქვეყანაში არსებულ ისედაც მძიმე სოციალურ ფონზე).

6. სხვადასხვა სექტორში მოქმედი კომპანიები მიიღებენ სარგებელს განსახორციელებელ ენერგო-პროექტებში მონაწილეობისგან, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს, ზოგადად, ეკონომიკის განვითარებას; თუმცა, ვინაიდან არ არსებობს დათქმა პროექტების განხორციელებაში პრიორიტეტულად ადგილობრივი კომპანიების გამოყენებაზე, დიდი ალბათობით, პროექტების განხორციელებაში ჩართული იქნება, ძირითადად, უცხოური კომპანიები. პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები, საქონელი და მომსახურება ინვესტორმა კომპანიებმა შესაძლოა, ძირითადად შეიძინონ უცხოეთში (უცხოური კომპანიებისგან), რის გამოც, ადგილობრივი ბიზნესის სარგებელი მინიმალური იქნება. ამასთან, ინვესტირებული თანხების დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, დაიხარჯება ქვეყნის ფარგლებს გარეთ და შესაბამისად, ქვეყანა ვერ მიიღებს ინვესტიციისგან მაქსიმალურ დადებით ეფექტს.

7. აშენდება ახალი ენერგო-ობიექტები, რაც სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგო-დამოუკიდებლობას, მაგრამ ვინაიდან არ არსებობს დათქმა ახალი ტექნოლოგიების სავალდებულო დანერგვასთან დაკავშირებით, არსებობს ალბათობა, რომ სიიაფის გამო, ინვესტორმა კომპანიებმა, დანერგონ მოძველებული ტექნოლოგიები, რომლებიც როგორც ტექნიკური, ისე გარემოსდაცვითი

თვალსაზრისით, მეტი რისკების შემცველი იქნება და გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლოა, წამგებიანიც კი იყოს.

8. სავარაუდოდ, განვითარდება დამხმარე ინფრასტრუქტურა, მაგრამ, ვინაიდან არ არსებობს დათქმა ადგილობრივი თემ(ებ)ის ინტერესების და ზოგადად, სოციალური და კულტურული საკითხების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, დაგეგმილი პროექტების განხორციელებამ, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებზე და სოციალურ მდგომარეობაზე, გამოიწვიოს კონფლიქტური სიტუაციები და ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები.

9. გაიზრდება ჰიდრო და სხვა ბუნებრივი რესურსების მიმართ ინტერესი და მოთხოვნილება, მაგრამ ვინაიდან არ არსებობს დათქმა პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, არსებობს იმის ალბათობა, რომ პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაიდუმლოების გამო, საზოგადოების წარმომადგენლებს არ მიეცემათ საშუალება სათანადოდ მოახდინონ საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობით და საერთაშორისო შეთანხმებებით გარანტირებული უფლებების რეალიზება. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და საზოგადოებრივი მონიტორინგი პროექტის განხორციელებაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

10. დიდია ალბათობა იმისა, რომ ენერგეტიკული პროექტების გამო, გაიზრდება გარემოს დეგრადაციის ხარისხიც, ვინაიდან ამჟამად საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მეტად სუსტია, ისევე როგორც სუსტია გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუცია (როგორც შესაბამისი უფლებამოსილებებით, ისე რესურსებით აღჭურვის თვალსაზრისით).

11. ენერგო-პროექტების განხორციელება მოითხოვს მიწას, რომელიც ხშირ შემთხვევაში კერძო საკუთრებაშია ან სათემო სარგებლობაშია (საძოვრები, სათიბები). თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში არ არსებობს განვითარების პროექტებით გამოწვეული იძულებითი განსახლების მარეგულირებელი პოლიტიკა და სავალდებულოდ შესასრულებელი სტანდარტები, ასევე, ამ სფეროში პასუხისმგებელი ორგანოები, დიდია ალბათობა იმისა, რომ ენერგო-პროექტების განხორციელებას მოჰყვება ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით, მიწის საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების დარღვევები.

ამგვარად, საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმებისა და შეთანხმებების საფუძველზე განსახორციელებელი ენერგო-პროექტები, ნებისმიერ შემთხვევაში, გავლენას იქონიებს ქვეყნის ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ გარემოზე. განხორციელებულმა პროექტებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი დისკომფორტი შეუქმნან ადგილობრივ მოსახლეობას საქართველოს მრავალ რეგიონში. პროექტების საჭიროებისთვის შესაძლოა მოხდეს გარკვეული ოდენობის მიწის ნაკვეთების ექსპროპრიაცია; შემცირდეს ტყის, ტრადიციული საძოვრების და სასოფლო-სამეურნეო მიწების რაოდენობა, რაც ნეგატიურად აისახება ადგილობრივი თემების სოციალურ მდგომარეობაზე. აღნიშნული რისკების შემცირების მიზნით, შესაბამის კომპანიებთან გაფორმებულ მემორანდუმებში, მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სათანადოდ გათვალისწინებას.

სამწუხაროდ, ამ ანგარიშში განხილულ ურთიერთგაგების მემორანდუმებსა და შეთანხმებებში ძირითადი აქცენტი კეთდება მხოლოდ პროექტების დროულ განხორციელებაზე, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტები კი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, შესაძლოა ითქვას, რომ არაა გათვალისწინებული. უფრო მეტიც, რჩება შთაბეჭდილება, რომ განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებული, არამარტო სოციალური და გარემოსდაცვითი, არამედ ეკონომიკური ასპექტებიც კი არაა ბოლომდე შესწავლილი და ადექვატურად შეფასებული საქართველოს მთავრობის მიერ.

ასეთი მიდგომით განხორციელებული პროექტები, დაუბალანსებელ გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ რისკებს შეიცავს, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ნეგატიური შედეგების მოტანა როგორც მოკლევადიან, ისე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს კი, სავარაუდოდ, არც საქართველოს მთავრობის და არც ინვესტორი კომპანიის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს. ეს არ შედის არც, ზოგადად, ქართული საზოგადოების ინტერესებში, რომელსაც სრული უფლება აქვს სრულფასოვნად იყოს ჩართული განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, საქართველოს მთავრობა კი, ვალდებულია ყველა ზომა მიიღოს საზოგადოების ინტერესების დასაცავად და გასათვალისწინებლად.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წელს დაარსდა. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გზით.

ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ენერგეტიკა - მოპოვებითი მრეწველობა - კლიმატის ცვლილება; ტრანსპორტის სექტორის მდგრადი განვითარება; ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ხე-ტყის არალეგალური ჭრის აღკვეთა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა; ნარჩენებისა და წყლის მართვა. ამ თემატური მიმართულებების გარდა, მწვანე ალტერნატივას პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა: გარემოსდაცვითი მმართველობის ხელშეწყობა; ინფორმაციაზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესებსა და მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველოფა; გარემოსდაცვითი მართვისა და მდგრადი განვითარების ინსტრუმენტების გაუმჯობესება; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის და საქართველოსთვის გაწეული საერთაშორისო ფინანსური დახმარების მონიტორინგი.

მწვანე ალტერნატივა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2001 წელს მწვანე ალტერნატივამ საქართველოს სხვა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირებელთა ქსელი. 2002 წლიდან მწვანე ალტერნატივა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კოალიციის წევრია. 2006 წელს მწვანე ალტერნატივამ საფუძველი ჩაუყარა ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელს. დაარსების დღიდან ასოციაცია არის „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის“ წევრი; ორგანიზაცია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს დედამიწის მეგობრების საერთაშორისო ფედერაციასთან, „კლიმატის ცვლილების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელთან“, მდგრადი ენერგეტიკის საერთაშორისო ქსელთან, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან; მწვანე ალტერნატივა არის კოალიციის “გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის” წევრი, რომელიც დაარსდა 2008 წელს. 2010 წელს მწვანე ალტერნატივა ინიციატივით დაფუძნდა „საქართველოს მწვანე ქსელი“ - საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ექსპერტების არაფორმალური გაერთიანება, რომელიც მოწოდებულია დაიცვას გარემო, ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას და გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას საქართველოში.

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა გოლდმანის გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის განხორციელებული წარმატებული საქმიანობისათვის.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა
თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართული
ტელ: 222 38 74; 229 27 73; ფაქსი: 222 38 74
greenalt@greenalt.org; www.greenalt.org